

იბეჭდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით

„როცა ვფიქრობთ იმაზე, თუ რა არის ქართული იდეა, მივდივართ დასკვნამდე, რომ ქართველი ერის დანიშნულებაა – იქადაგოს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ხომ არსებობს წინასწარმეტყველება, რომ საქართველო, ქართველი ერი უკანასკნელ ჟამს გაბრწყინდება. ვიცით სახარებიდან, რომ უკანასკნელ ჟამს ყველგან დაეცემა რწმენა, ზნეობა, საქართველო კი ღვთის მადლითა და წყალობით გაბრწყინდება და ჯილდოდ ამისა, როგორც დიდი მამა და მოღვაწე ამბობს, მეორედ მოსვლის ჟამს მთელი ქვეყნიერება განიკითხება „ქართულითა ენითა“. ეს იქნება კიდევ ერთი მადლი, რომელსაც მოგვანიჭებს უფალი. მადლობას ვწირავთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელ დედას, რომელმაც იწება, რომ იყოს პატრონი საქართველოსი...“


უწმიდესი და უნეტარესი  
ილია II

ISSN 1987-5207

ISBN 9771987520003

უპაკ (UDC) 27 + 271.2

მ – 407

	<b>სსამეგრეო</b> შპრენალ-გაგუთიების სარედაქციო სამსახური ძირითადი რეგისტრაციის №.....	მიმდინარე რეგისტრაციის № 2-3(11-12) 23.08.13. თბილისი
	დასახელება: <i>ქუჩისა და ბუფალოვანი</i>	
რეცენზენტი: <i>მ.ჩინგიძე</i>		

## შინაარსი

ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.....	4	მოსე ჯანაშილი ვახტანგ VI.....	32
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრი- არქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ინტერვიუ RT-ს მიმომხილველთან.....	8	ილია ჭავჭავაძე ოსმალოს საქართველო.....	34
არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე) ქადაგებები.....	11	„შესწირეთ თავი სამშობლო ქვეყნის სამსახ- ურს“ (მღვდელმთავრე კირიონ II-ის და ეპისკოპოს ლენინდეს წერილი).....	38
ალექსანდრე შმემანის იდეოლოგია.....	16	იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი) ქართული ენა.....	41
არქიმანდრიტი პაისი ათონელი „რაც ახლა ხდება“.....	20	დეკანოზი ბიძინა (გუნია) ქადაგებები.....	43
ოლეგ პლატონოვი სოლომიტობა – დანაშაული ღვთისა და ადამი- ანის ბუნების წინაშე.....	26	ქრონიკა.....	49
		დიდმთავრე ქეთევანის ღოცვა-კურთხევა.....	54

### რედაქტორი:

მონოზონი ანა (ნიაური)

### სარედაქციო კოლეგია:

არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)

იღუმენია ქეთევანი (კოპალიანი)

### სტილისტი-კორექტორი:

შორენა სივსივაძე

### პასუხისმგებელი მდივანი:

მონოზონი ბარბარე (იაკობაძე)

მისამართი: მცხეთის სამთავროს

წმიდა ნინოს დედათა მონასტერი.

მირიან მეფის ქუჩა N 3

ტელ: 893 76 31 87; 893 30 07 07

ელ.ფოსტა: [samtavrosmonasteri@yahoo.com](mailto:samtavrosmonasteri@yahoo.com)

ანგარიშის ნომერი: GE65BG0000000158107700



## ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია

მართლმადიდებელმა მებრძოლმა ეკლესიამ რუსეთის გაქრისტიანების 1025 წლისთავის საიუბილეო დღეებზე დაამოწმა ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ერთობა; ჯერ კიდევ წლის დასაწყისში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საიუბილეო დღეებში, შემოკრა მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია და განაცხადა თავისი ცხოველყოფელი ძალმოსილება – „და ამას კლდესა ზედა დავაფუძნო ეკლესიად ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდინ მას.“

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა უხილავად კვლავაც განვლო თავისი სამოციქულო გზა, საქართველოდან (კერძოდ, აჭარიდან, სადაც საკვირველად აღესრულა საყოველთაო ნათლობა) – რუსეთის მხარეში, სადაც, წმიდა მოციქულის ჯვარი ჩააბრძანეს და მის წინაშე წარმოდგა საყოველთაო მართლმადიდებელი ეკლესია, „რომელიც დღეს მოწოდებულია მართლმადიდებლების განსამტკიცებლად, განსაკუთრებული მისიისათვის“ (უწმიდესი კირილე II).

მოსკოვში შეკრებილმა 15 მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა და წარმომადგენელმა რუსეთის გაქრისტიანების საიუბილეო დღეებში შეიმუშავა დოკუმენტი, რომელშიც ეკლესიის პრობლემები განიხილეს და ხმა აღიმადღეს მსოფლიოში მიმდინარე ანტიქრისტიანული პროცესების და ახლო აღმოსავლეთში ქრისტიანთა დევნის წინააღმდეგ, რომელსაც დუმილით შეხვდა მსოფლიო საინფორმაციო საშუალებები და მრავალი პოლიტიკური მოღვაწე.

ეკლესიის წინამძღვრები და წარმომადგენლები განცხადებაში მწუხარებას გამოთქვამენ, რომ მთელ ახლო აღმოსავლეთში და, კერძოდ, სირიაში განუკითხავად არბევენ ქრისტიანებს, ერაყში ყოველდღიურად ათასობით მორწმუნე ადამიანი იღუპება, ხოლო კოსოვოში არბევენ ტაძრებს და შეურაცხყოფენ სიწმიდეებს. განცხადებაში მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრები „სოლიდარობას და თანადგომას“ უცხადებენ ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქს, იოანე X-ს, რომელმაც უკიდურესი ძნელბედობის უამს სამწყსო არ

მიატოვა. მღვდელმთავრები მოითხოვენ, აგრეთვე, დატყვევებული სამღვდლოების გათავისუფლებას და ხმას იმაღლებენ ადამიანთა ღირსების შელახვის, დამცირების, საჯარო წამების, გატაცების და, ზოგადად, ადამიანის უფლებათა შელახვის წინააღმდეგ...

...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან და სრულიად რუსეთის კათოლიკოს-პატრიარქ უწმიდეს კირილე II-სთან შეხვედრისას გულისტკივილი გამოთქვა, რომ მართლმადიდებელთა ერთობლივ მემორანდუმში არ განიხილეს საქართველოს ტერიტორიების (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების) საკითხი.

მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია II-მ რუსეთის ქვეყნის პირველ პირებთან შეხვედრის შემდეგ, საინფორ-

მაციო საშუალებებთან განაცხადა, რომ რუსეთის ხელისუფლება მას ქართველი ლტოლვილების აფხაზეთსა და ცხინვალში დაბრუნებას შეჰპირდა: – „ისინი შემპირდნენ და უნდა დაიწყოს ლტოლვილების შინ დაბრუნება. ამისათვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რუსეთის პრეზიდენტი ალბათ შეასრულებს თავის დანაპირებს,“ – იმედი გამოთქვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ და აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში შეიქმნება დოკუმენტი, რომელშიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ქრისტიანთა პრობლემები ცალკე განიხილება. პატრიარქმა სრულიად საქართველოს მოუწოდა, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დასაბრუნებლად, წმიდა ნიკოლოზ სასწაულთმოქმედს ვევედროთ.

რედაქტორი

---

## რუსეთის ნათლისღების 1025 წლისთავზე წარმოთქმული სიტყვებიდან

\* \* \*

„ ... საქართველო ხომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. საქართველოს გაყოფა არ შეიძლება – ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი არ დაუშვებს ამას. ეს ღვთის წინაშე ჩადენილი უდიდესი ცოდვაა. აფხაზეთი და ცხინვალი საქართველოს უდიდესი ტერიტორიებია.

ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ, რუსები და ქართველები, როგორც მართლმადიდებელი ერები, აუცილებლად გამოვნახავთ ამ რთული ვითარებიდან გამოსავალს.“

29.07.2013 „Кавказская политика“

უწმიდესი და უნეტარესი ილია II

\* \* \*

„ ... ჩვენ გლობალიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ, როდესაც მრავალი სულიერი და კულტურული ფასეულობა თავის ძალას კარგავს; მაგრამ სინამდვილეში, ეს ფასეულობები შეგვეწვიან ჩვენ და ჩვენს ხალხებს. რწმენა, სასოება, სიყვარული, ჩვენი კულტურა და ლიტერატურა – ყოველივე ეს უნდა დავიცვათ, რათა მომავალში განვითარება შეძლონ ჩვენმა ეკლესიამ და ხალხებმა.“

25 ივლისი 2013

უწმიდესი და უნეტარესი ილია II



მოსკოვისა და სრულიად რუსეთის კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი კირილე II და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II

\* \* \*

„ ... ყველაფერი, რასაც მართლმადიდებელმა ერმა მიაღწია, – ეს არის ღვთის დიდი მოწყალება და კურთხევა... მართლმადიდებლობის ძალა მის სიმართლესა და ჭეშმარიტებაშია.

ჩვენ არ უნდა დავჯერდეთ იმას, რასაც მივადწიეთ, არამედ მომავალზე, ჩვენი ფასეულობების დაცვაზე უნდა ვიფიქროთ: სულიერ, კულტურულ და სხვა. ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა ყველაფერი იცვლება და შესაძლოა, რომ ფასეულობებმა თავისი მნიშვნელობა დაკარგონ. ჩვენი მოვალეობაა, დავიცვათ ჩვენი ნამდვილი, მართლმადიდებლური ფასეულობები – ჩვენი სარწმუნოება. მომავალზე უნდა ვიფიქროთ, ჩვენს ახალგაზრდობაზე უნდა ვიფიქროთ. იმისათვის, რომ დავიცვათ ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესია და მემკვიდრეობა, როგორც ეს ჩვენმა წინაპრებმა აღასრულეს, აუცილებელია ეკლესიის, ოჯახისა და სკოლის კავშირი. ეს შეგვეწევა და განგვაბრძნობს იმისათვის, რომ წარვეუძღვით ჩვენს ერს და ეკლესიას.“

29 ივლისი 2013

უწმიდესი და უნეტარესი ილია II

\* \* \*

„ ... ქართველი ფილოსოფოსები და რელიგიური მოღვაწეები მრავალი ასეული წლის მანძილზე ეძებდნენ ქართულ იდეას და ჩვენმა ერმა ჰპოვა ეს იდეა, რომელიც სამ უდიდეს ფასეულობაში მდგომარეობს: ღმერთი, სამშობლო, ადამიანი. ერთი მეორის გარეშე ვერ იარსებებს. ამ ფასეულობებს მხოლოდ ურთიერთთანხმობით შეუძლიათ არსებობა: – ღვთის ჭეშმარიტი რწმენა და ღმერთში ცხოვრება; სამშობლოს ფასეულობა, სადაც ჩვენი კულტურის ფესვებია

ჩადებული, ჩვენი წინაპრების სულიერი ძალით, მებრძოლ და მოზეიმე ეკლესიასთან ურთიერთობით; და მესამე უდიდესი ფასეულობა – ეს არის ადამიანი, თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით. ადამიანის ცხოვრების ფასეულობა, რომელიც მაცხოვრის დადგენილი გზით წარემართება: „იყავით სრულ, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს“ (მათე 5-48).

ყველაფერი იცვლება ჩვენს ცხოვრებაში: დრო-ჟამი, ადამიანები, მაგრამ სულიერი ფასეულობები ურყევად უნდა დარჩეს. ამაშია ჩვენი ხსნა და ამაშია ჩვენი ცხოვრება.

ვისურვებდი, რომ ყველას მოგვეხვეჭოს სული მშვიდობისა და მაშინ ჩვენი ხალხები ბედნიერი იქნებოდნენ.“

უწმიდესი და უნეტარესი ილია II

\* \* \*

„ ... ჩვენ, ყველა მართლმადიდებლები, ერთ, წმიდა, საყოველთაო, სამოციქულო ეკლესიას წარმოვადგენთ. უაღრესად მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ჩვენ ერთი ეკლესია ვართ და რომ საზღვრები, რომლებიც გვყოფენ – ეს არის ადამიანური საზღვრები. ამიტომ მათ ჩვენი გათიშვა არასდროს არ შეუძლიათ; არამედ, ღვთის მადლით, ქრისტეს სისხლით და მაცხოვრის აღდგომის ძალით, ჩვენ ყველა ქრისტეს სხეულში ვართ გაერთიანებულნი. სწორედ ამიტომ, თვალისჩინივით უნდა დავიცვათ ჩვენი ერთობა და გონებითა და სიყვარულით უნდა გადავვალხოთ ყველა ის პრობლემა, რომლებიც საერთო ისტორიული მომლოცველობის გზაზე შეგვხვდება.“

24.07.2013

„Русская Народная Линия“

უწმიდესი კირილე II

\* \* \*

„ ... ძალიან რთულ დროში ვცხოვრობთ, კონფრონტაციების, ცდუნებების, აბსოლუტურად ანტიქრისტიანული იდეოლოგიის გამოვლენის ეპოქაში, როცა ეს ყოველივე ადამიანთა პოლიტიკურ ცხოვრებაში იჭრება. ჩვენ მოწმეები ვართ, თუ როგორ იშლება დღეს საზღვრები სიმართლესა და სიცრუეს შორის, ცოდვასა და სიწმიდეს შორის და როგორ ცდილობენ, რომ, კანონის მეშვეობით, ცოდვა და უკანონობა გაამართლონ. დიდი დვაწლი გვმართებს. „ჩვენს“ რომ ვამბობ, ვგულისხმობ, ერთ წმიდა კათოლიკე (საყოველთაო) და სამოციქულო ეკლესიას, რომელიც არის ერთიანი და განუყოფელი. ჩვენს საზღვრებს ისტორიული წარმომავლობა აქვთ და არა ეკლესიოლოგიური; ამიტომ, ჩვენ ერთმანეთს ერთი ეკლესიის წევრებად და ძმებად ვაღიარებთ, რომლებიც ერთიან ეკლესიას ვემსახურებით და რომელიც დღეს მოწოდებულია მართლმადიდებლობის დასამოწმებლად განსაკუთრებული მსახურებისათვის.“

23 ივლისი 2013

უწმიდესი კირილე II



## SRULIAD SAQARTVELOS KATOLIKOS-PATRIARQIS, UWMIDESISA DA UNETARESIS ILIA II-IS INTERVIU RT-S MIMOMXILVELTAN

რუსეთის ნათლობიდან 1025 წლისთავის იუბილეზე მოსკოვში ვიზიტის წინ, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ინტერვიუ მისცა RT-ს მიმომხილველს **ნადეჟდა კეგორკოვს**, რომელიც საიტ „Кавказская политика“-ზე დაიდო სათაურით: „ძმები ვიყავით და ძმებად დავრჩებით!“

– თქვენო უწმიდესობაგ, ხუთი წელი გავიდა ტრაგიკული მოვლენებიდან (იგულისხმება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი – რედ.), რას გვეტყვოდით, როგორ მიმართავდით, ხომ არ შეაგონებდით ჩვენი ქვეყნების ხალხებს, რომლებმაც ასეთი ტრაგედია განიცადეს ჩვენი მართლმადიდებელი ერების საერთო ისტორიის მანძილზე?

– უწინარეს ყოვლისა, მინდა მივმართო ყველა ჩვენს მსმენელს და მკითხველს – ის დაძაბული ურთიერთობა, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის გაჩნდა, ხელოვნურად არის შექმნილი. მიუხედავად რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ყველა სირთულისა, ჩვენმა ეკლესიებმა ძმური ურთიერთობა შეინარჩუნეს და ჩვენს ხალხთა შორისაც კეთილი დამოკიდებულება შენარჩუნდა.

ჩვენ დიდი სიყვარულით ვხვდებით რუსეთის მომლოცველებს, რომლებიც ჩვენს ღვთისმსახურებას ესწრებიან. ჩვენ-განაც ძალიან ხშირად მოდიან რუსეთის წმიდა ადგილების და სიწმიდეების მოსალოცად.

იმის თქმა მსურს, რომ არ შეიძლება ასე დიდხანს გასტანოს – საქართველოშიც და რუსეთშიც არიან კეთილი ძალები, რომლებიც ამ რაღაც გაუგებარ დამოკიდებულებას გამოასწორებენ; მე ვფიქრობ, რომ აფხაზეთი და ცხინვალი კვლავ საქართველოს შემადგენლობაში იქნება.

ასევე კეთილი დამოკიდებულება შევინარჩუნეთ ჩვენ აფხაზეთისა და ოსებისადმიც. მე ძალიან კარგად ვიცნობ ოსებს, ისინი კეთილი და ნიჭიერი ხალხია. ჩვენ დიდი სიახლოვე გვაკავშირებდა, ჩვენი ოჯახის მოძღვარი ოსი მღვდელი, მამა მიქაელ ძალოვეი იყო. რაც შეეხება აფხაზეთს – მე თერთმეტი წელი ვიყავი აფხაზეთის მიტროპოლიტი და არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ ჩვენს შორის რაიმე გართულება ყოფილიყო.

მე ვფიქრობ, რომ არ არსებობს არც ჩიხი და არც კედელი. როდესაც კედელს ვაწყდებით, მაშინ მას გვერდი უნდა აგუაროთ, ჩიხს უნდა შემოვუაროთ – კარი, ფანჯარა ან გასასვლელი უნდა მოვნახოთ.

**– თქვენო უწმიდესობავ, თქვენ დღეს ერთადერთი სულიერი ხელისუფლებით აღჭურვილი ადამიანი ბრძანდებით – პირდაპირი გაგებით ერთადერთი, ვისაც რუსეთთან მოლაპარაკება შეუძლია. თქვენ იმ მცირედთაგანიც ხართ, ვისაც, საერთოდ, დღეს საქართველოდან რუსეთში წასვლა შეუძლია. ჩვენი ქვეყნების ისტორიაში მსგავსი რამ არ ყოფილა, რომ პატრიარქი და რჩენილიყოს მხოლოდ ის ერთადერთი, ვისაც მოლაპარაკების გამართვა შესძლებოდა. როგორ უნდა მოვიქცეთ, როგორ გავიგოთ ეს?**

– მოლაპარაკებების გამართვა სასულიერო პირებსაც შეუძლიათ და საეროებსაც, ამას არაფერი ეწინააღმდეგება, მით უმეტეს, რომ უკვე ათი თვეა, რაც ჩვენ ახალი ხელისუფლება გვყავს და ის მზად არის მოლაპარაკებებისათვის. ვფიქრობ, რომ ასეთი მოლაპარაკებები შედგება.

მე მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებ, მით უმეტეს – პოლიტიკურს. უბრალოდ, ყოველთვის ჩემს აზრს გამოვთქვამ – არ შეიძლება იმ სიძნელებზე და სირთულეებზე თვალების დახუჭვა, რომლებიც რუსეთსა და საქართველოს შორის წამოიჭრა.

ვფიქრობ, რომ ჩვენ ძმები ვიყავით და ძმებად დავრჩებით, ოღონდ გულწრფელნი უნდა ვიყოთ ერთმანეთთან. მაგალითად, ახლახან 300 მეტრით გადმოწიეს საზღვარი. რუსეთისათვის ეს არაფერს ნიშნავს, მაგრამ საქართველოსთვის ეს ძალიან ბევრია.

**– სად უნდა ვთქვათ ამის შესახებ?**

– ჩვენთან?

**– რუსეთში. ჩვენ არ ვიცით, ვინ აგებს რუსეთში ამაზე პასუხს.**

– პრეზიდენტი აგებს პასუხს. ხოლო ჩვენთან – ახალი პრემიერ-მინისტრი. მათ უნდა აწარმოონ მოლაპარაკება. უნდა შეხვდნენ და მოილაპარაკონ, თუ როგორ გადაწყდეს ეს საკითხი.

საქართველო ხომ ღვთისმშობლის წილხვედრია. საქართველოს გაყოფა არ შეიძლება. ყოველდღეა ღვთისმშობელი არ დაუშვებს ამას. ეს ღვთის წინაშე დიდი ცოდვაა. აფხაზეთი და ცხინვალი – საქართველოს უძველესი ტერიტორიებია.

ამიტომ, ვფიქრობ, რომ ჩვენ, რუსები და ქართველები, როგორც მართლმადიდებელი ერები, აუცილებლად გამოვნახავთ ამ რთული ვითარებიდან გამოსავალს.

მე ძალიან მიყვარს რუსეთი. იქ მივიღე განათლება – ზაგორსკში, ღირსი სერგის ლავრაში დავასრულე სასულიერო სემინარია და აკადემია. ღირს სერგის ჩემს სულიერ მოძღვრად ვთვლი და ყოველთვის ვლოცულობ მის წინაშე. გუშინ ღირსი სერაფიმეს დღესასწაული იყო, მის უწმიდესობას, პატრიარქ კირილეს, მისალოცი ტელეგრამა გავუგზავნე და დღესასწაული მიეულოცე.

**– კიდევ რას დაასახელებდით ჩვენი ხალხების დამაკავშირებლად?**

– ჩვენ არა მარტო რელიგია გვაერთიანებს, არა მარტო მართლმადიდებლობა, არამედ – ჩვენი კულტურა. საქართველოს ძალიან უყვარს რუსეთის კულტურა.



ქართველები კითხულობენ და ძალიან უყვართ რუსული ლიტერატურა, ფილოსოფია... მახსოვს, სემინარიისა და აკადემიის სტუდენტი რომ ვიყავი, ეს ლიტერატურა აკრძალული იყო საბჭოთა პერიოდში და ჩვენ მაინც ვპოულობდით მისი წაკითხვის საშუალებას.

– დღეს მაიაკოვსკის დაბადების დღეა...

– მაიაკოვსკი საქართველოში დაიბადა. მე რატომღაც ნაკლებად ვუგებ მას... .. (აქ პოეტის ლექსიდან ციტატაა მოყვანილი – რედ.), ლამაზი სიტყვებია, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია.

– რადგან სიტყვა ჩამოვარდა მნიშვნელოვან ფიგურებზე, დიდი სურვილი მაქვს, გკითხოთ სტალინის შესახებ. ალბათ, შენიშნეთ, რომ რაც უფრო დაცილდა რუსეთი სტალინის ეპოქას, სტალინი მით უფრო წარმოადგენს მისთვის, სამართლიანი სახელმწიფო მოწყობის სახეს თუ არა, რადაც სამართლიანობის განსახიერებას. საქართველოში კი ბევრი მეუბნება, რომ მას მთლად ქართველად არ მიიჩნევენ და რომ იგი გარუსებული ქართველი იყო.

– არა, ის ქართველი იყო და იმავე დროს რუსიც. იგი წარმოშობით ქართველი იყო და შესანიშნავად იცოდა ქართული ენა, ქართული სიმღერა, საეკლესიო გალობა.

როცა გარდაიცვალა, მე მაშინ სასულიერო სემინარიის სტუდენტი ვიყავი. როდესაც მას მარხავდნენ, ჩვენ ყველა სააქტო დარბაზში ვისხედით და ვტიროდით.

სტალინის პიროვნების შესახებ ბევრს გვიამბობდა ჩვენი რექტორი, მამა კონსტანტინე (რუჟიცკი). ხოლო მან ეს მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდეს ალექსი I-სგან (სიმანსკი) მოისმინა. უწმიდესი ალექსი I იშვიათი ადამიანი იყო. დიდი კულტურის და დიდი სულიერების. იგი დიდად აფასებდა და ძალიან უყვარდა სტალინი.

ერთხელ, როდესაც მასთან მიღებაზე იყვნენ უწმიდესი ალექსი I, მაშინდელი პატრიარქი სერგი, მიტროპოლიტი ნიკოლოზი (იარუშევიჩი) და პროტოპრესვიტერი ნიკოლოზ კოლჩიცკი, სტალინმა

მათ მიმართა: „რა გჭირდებათ?“ სასულიერო პირებმა უპასუხეს, რომ მადლობელი არიან, ტაძრების გახსნის ნებართვისათვის. სტალინმა კი მიუგო: „არა, ეს არ არის საკმარისი, სასულიერო სემინარიები და აკადემიები გახსენით.“ – ეს თავად სოქვა. იგი ხომ სემინარიელი იყო. მან იცოდა სასულიერო განათლების ფასი.

სტალინი გამოჩენილი პიროვნებაა. ასეთები იშვიათად იბადებიან. მან რუსეთის მსოფლიო მნიშვნელობა იცოდა.

– მაგრამ საქართველოსთვის რა გააკეთა სტალინმა? ჩემთვის ისიც კი უთქვამთ, რომ სტალინი საქართველოსთვის სრულიად არ ზრუნავდა, ბევრის გაკეთება კი შეეძლო მისთვის. თუმცადა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მის დროს ტაძრებიც კი გაიხსნა.

– იგი ყველასათვის ერთი იყო, ყველას ერთნაირად ეპყრობოდა. საქართველოს განსაკუთრებულად არ გამოარჩევდა. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს, პროცენტული რაოდენობით, ყველაზე მეტად ქართველები გაწყდნენ. იგი მორწმუნე იყო, განსაკუთრებით ბოლო დროს, მე ასე ვფიქრობ.

– ჩვენი დრო იწურება. დასასრულ, რას უსურვებდით ჩვენს ხალხს?

– ჩვენ ძალიან რთულ დროში ვცხოვრობთ – გლობალიზაციის ჟამია. რუსეთმა და საქართველომ მრავალი საუკუნის მანძილზე დიდი სულიერი ფასეულობები დააგროვეს. და ამიტომ, ჩვენ დიდი ძალისხმევით უნდა ვადევნოთ თვალყური, რომ ეს ფასეულობები არ დაგვარგოთ, რომელიც არის ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი სამშობლო და ჩვენი კულტურა.

რუს ხალხს ვუსურვებ კეთილდღეობას და ჩვენს ხალხსაც – მშვიდობასა და კეთილდღეობას. და მსგავსი რთული ურთიერთობები, როგორც რუსეთსა და საქართველოს შორის დამყარდა – აღარასოდეს განმეორებულიყოს...

29.07.2013

# ARQIMANDRITI LAZARE (GAGNIZE)

## SAKVIRAO QADAGEBA

(ლუკა, 8, 28-32)



არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე)

დღეს ჩვენ წავიკითხეთ ნაწყვეტი ლუკას სახარებიდან, სადაც საუბარია იესო ქრისტეს მიერ მოხდენილი მორიგი სასწაულის შესახებ. ამ სასწაულის საშუალებით, მაცხოვარმა ორი გერგესეველი ეშმაკეულისაგან განასხა უწმიდური სული, რის შემდეგაც ორივე ეშმაკისეული განიკურნა და დაუბრუნდა ცხოვრების ჩვეულებრივ, ნორმალურ წესს. ამ კაცებიდან გამოდევნილი ეშმაკები, მაცხოვრის ბრძანებით, შევიდნენ ღორების კოლტში, რომლებიც მათ ზღვის კბოდეზე გადაჩეხეს და წყალში დაახრჩეს. კაცობრიობის ისტორიიდან ცნობილია უამრავი მაგალითი თუ რამდენი ადამიანი დაიმონა და დაიმორჩილა ბოროტმა სულმა და აქცია ისინი პირუტყვეებად. და უნდა ითქვას, რომ ეშმაკის მორჩილებაში აღმოჩენილან არა მარტო ცალკეული ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები, არამედ – უფალს განშორებული მთელი ერიც კი.

წაკითხული სახარება და მასში მოთხრობილი იგავი – ღორების კოლტში ეშმაკების შესვლისა და ამგვარად მათი დაღუპვის

ამბავი ამ ფაქტის მრავალმხრივი განზოგადების საშუალებას გვაძლევს. ადამიანები, რომლებიც განუდგებიან ღმერთს, ძალიან ადვილად ემონებიან საკუთარ ეგოს და ამით მორჩილებენ ეშმაკს. ეგოსტი ადამიანები კი დაპირისპირებული არიან სიკეთესთან, რამეთუ განძარცულნი არიან სიყვარულის გრძნობისაგან. მათ ამოქმედებთ მხოლოდ და მხოლოდ ბოროტი ზრახვები. საკუთარი ეგოს დაკმაყოფილება ხდება არა კეთილი საქმეების აღსრულებით, რომლის საწყისი უფალშია, არამედ მუხანათური საქმეებით, რომელთა მიღმა ბოროტი საწყისია. ბოროტის მორჩილებაში მყოფი ადამიანები ზნეობრივი და ეთიკური პოზიციით, თავისი სულისკვეთებით, ემსგავსებიან პირუტყვეს, ისე, როგორც ეს, უკიდურესი ფორმით, გაკვეთილის სახით, მოწოდებულია წაკითხულ სახარებაში.

მსგავს მოვლენებს ადგილი აქვს უძღვები შვილის იგავშიც, როცა ბოროტს და მის უზნეობას დამონებული ადამიანი ემსგავსება პირუტყვეს, არა მარტო ზნეობის თვალსაზრისით, არამედ სოციალურადაც – იგი იკვებება და საზრდოობს იგივე საკვებით, რითაც იკვებებიან ღორები. ადამიანები უძღვები შვილის მდგომარეობამდე მიდიან, როცა განეშორებიან უფალს. ეს პროცესი ხშირად არ ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ არის შემთხვევებიც, როცა თავად უფალი არ გასწორავს ადამიანს, არ გასწორავს ერს. ეს კარგად ჩანს ქართველი ერის მაგალითზე. უფალმა ქართველ ერს მხსნელად მოუვლინა მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც საიმედოდ მოძღვრავს თავის შვილებს. იგი ქრისტეს მოძღვრების საფუძველზე უჩვენებს მას ხსნის გზას. ჩვენი ეკლესიის ეს ფუნქცია შეუშინეველი

არ რჩება ჩვენდამი მტრულად განწყობილ უცხო ქვეყნების ხელისუფალთ, უცხო ქვეყნების პოლიტიკოსებს, ექსპერტებს, ჟურნალისტებს, რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალს ქვეყანაში მიმდინარე ყველა პროცესს და განსაკუთრებით, ჩვენი ეკლესიის საქმიანობას. ზოგი მათგანი გვეკითხება კიდევ, თუ რით აიხსნება ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ასეთი აქტიურობა. მიზეზი კი ნათელია – ქართველმა ახალგაზრდობამ კარგად გააცნობიერა ერთის მხრივ – დასავლეთის ქვეყნების, კერძოდ, აშშ-ს და ევროკავშირში შემავალი ქვეყნების რეალური დამოკიდებულება საქართველოსთან, მათი მიზანი, იზოლაციაში მოაქციონ ქართველი ხალხი და ამგვარად, თვითმკვლელობამდე მიიყვანონ იგი. მეორეს მხრივ – უკანასკნელ თვეებში ქართველობა საბოლოოდ დარწმუნდა, საკუთარი მთავრობის დასავლეთის ნება-სურვილებისადმი, ერისათვის საზიანოდ, კაპიტულანტურ, კონფორმისტულ დამოკიდებულებაში. ქართველი ხალხი აღარ ენდობა დასავლეთს და მისდამი მლიქვნელურად დამოკიდებულ ხელისუფლებას და იმედებს ამყარებს ეკლესიაზე, რომელსაც აქვს გამოცდილება და უნარი, სათავეში ჩაუდგეს ერს, ქრისტეს სიყვარულით გაუძღვეს ხალხს და აარიდოს კარს მომდგარი მიძიმე განსაცდელი. ამას კარგად აცნობიერებენ დასავლეთი და მის მიერ მოსყიდული მოღალატეები. მათ ბრძოლა გამოუცხადეს ეკლესიას და ამით – ქართველ ხალხს, რაც იმის მომასწავებელია, რომ მომავალში ეს ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდება.

დღეს ჩვენ წავიკითხეთ ლუკას სახარებიდან იგავი ორი გერგესეველი ეშმაკულის შესახებ. ლუკას სახარების გარდა, წმიდა წერილში ხშირად ვხვდებით საუბარს ეშმაკული ადამიანების შესახებ, რომელთა შორის ზოგი თავისი საკუთარი ნებით, ზოგიც ეშმაკის ძალადობის, შედეგად აღმოჩნდა ბოროტი ძალების მონობაში. ამ საკითხებზე უამრავი გამოკვლევაა დაწერილი, უამრავ კომენტარს შეხვდებით თეოლოგიურ ლიტერატურაში. მათში აღწერილია ეშმაკულთა გარეგანი ნიშნები, შინაგანი ბუნება. ეშმაკული ადამიანების აზროვნება, გრძნობა და ნება-სურვილები ამ ადამიანებში დაბუდებული ბოროტი ძალის მიერ იმართება. მეტყველი ამ ადამიანებში

არა კონკრეტულად ეშმაკული ადამიანია, არამედ მისით საუბრობს და საქმიანობს ეშმაკი. ეშმაკისეულისათვის დამახასიათებელია ხმამაღლა ღრიალი, კრუნჩხვა, მიწაზე გორაობა, თვითგვემა, კბილების ღრჭენა და სხვადასხვა სახის აფექტური ქცევა, ტანსაცმლის შემოხვევა, ხალხში შიშვლად სირბილი და სხვა ამგვარი ქმედებები. და, როგორც მოგახსენეთ, ამას ეშმაკულ ადამიანს აკეთებინებს ეშმაკი.

სახარებაში თვალსაჩინოდაა გაცხადებული, რომ ამ სამყაროს მართავს მეუფე ამა ქვეყნისა, ეშმაკი. დღევანდელი სამყარო თავისი ზეხელისუფლებით და მართვის მოდელით, რომელსაც გლობალიზაციას უწოდებენ, იმართება მათი საშუალებებით. ისინი კარნახობენ დასავლეთის დიდი ქვეყნების მთავრობებს ე. წ. თამაშის წესებს, აძლევენ სამოქმედო რეკომენდაციებსა და მითითებებს, იწვევენ ეკონომიკურ კრიზისებს, ე. წ. განვითარებად სახელმწიფოებში – დესტაბილიზაციას, მაგალითად, როგორსაც ადგილი აქვს არაბულ სამყაროში – ერაყში, სირიაში, ლიბანში, ეგვიპტეში. თავიანთი ქვეყნების მოქალაქეების ყურადღება გადააქვთ ამ ქვეყნებში მიმდინარე სისხლიან სამოქალაქო დაპირისპირებაზე. ამ ქვეყნების მთავრობები თავიანთ ქვეყნებში მშვიდობას ინარჩუნებენ იმით, რომ ორგანიზებას უწევენ ხალხის მასობრივ უაზრო, მდარე და წრეგადასულ გართობა-დროსტარებას. აწყობენ ნარკოტიკებით გაბრუებული მუსიკალური ჯგუფების ხალხმრავალ შოუებს; მედიასაშუალებებით პროპაგანდას უწევენ შეუზღუდავ თავისუფლებას, რომელიც ორიენტირებულია ზნეობის დევაღვაციაზე. მოხუცი და ახალგაზრდა, მთელი საზოგადოება, მუდმივ ექსტაზში იმყოფება. აღარავის აკვირვებს ქუჩებში და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში საცვლების ამარა მასობრივად გამოსული ქალბატონები, მამაკაცის ფუნქციაშემოსილი ქალბატონები და ქალის მაკიაჟით, სილიკონის მკერდით, პრანჭვით, ქუჩებში მოსეირნე ე. წ. მამაკაცები. ამგვარი საზოგადოების მართვა ადვილია. მით უმეტეს, რომ მათ, სახლიდან გასულებს, თვალყურს ადევნებს ყველა კუთხე-კუნჭულში დამონტაჟებული ვიდეოკამერა, სახლში კი, ინტერნეტში ჩასაფრებული ვირტუალური აგენტურა. აღარაფერს ვიტყვი სატელეფონო მოსმენებზე.

ევროსაბჭოში შემაჯავლი ქვეყნები იმყოფებიან დემოკრატიის ზენიტში და დემოკრატიის ოლიმპიდან მოძღვრავენ მათ, ვისაც მათთან კავშირის სურვილი აქვთ. მათი აზრით, ისინი იმყოფებიან დემოკრატიის ოლიმპზე, ქრისტიანული პოზიციიდან კი ისინი, სინამდვილეში, დასული არიან ცხოველურ ინსტინქტებამდე. მათი თვალსაზრისით, უზნეობა მაღალი ზნეობაა და განვითარებადმა ერებმა მაგალითი უნდა აიღონ მათგან. „ნაციონალები“ მოხიბლული იყვნენ ევროპელთა ცხოვრებით და ყოფით; გადმოიღეს მათი ცხოვრების წესი და ახლა მისტირიან ამ „მონაპოვარის“ დაკარგვას.

დღეს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, უკრაინელ და ბელორუს მართლმადიდებლებთან ერთად, ზეიმობს რუსეთის გაქრისტიანების 1025 წლისთავს. კათოლიკურ და ევანგელისტურ სამყაროში მიმდინარე აღვირახსნილი სოლომიტური პროცესების ფონზე, როცა მართლმადიდებელი

ბელი ქვეყნების მოსახლეობაზე დასავლეთის ურცხვი ზეწოლა მიმდინარეობს – ეს დღესასწაული იქცა მსოფლიო მართლმადიდებლობის ზეიმად, გარანტად იმისა, რომ იგი წინ აღუდგება დემოკრატიის სახელით, სამყაროს გარყვნას..

რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი კირილეს, საქართველოს პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის და მსოფლიოს თითქმის ყველა ადგილობრივი ეკლესიების პატრიარქების გარდა, კიევში საზეიმო წირვაში მონაწილეობას იღებს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინიც, რაც ამ ზეიმს განსაკუთრებულ პოლიტიკურ ელფერსაც სძენს. აღნიშნული ფაქტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მართლმადიდებელი ხალხები ემიჯნებიან მსოფლიოს სოლომიტაციის პროცესს, და იმასაც, რომ მართლმადიდებლობას ვერ გათიშავს ვერავითარი ძალა.

## SITYVA, TOMULI NINOOBIS DRESASWAULZE

სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა!

ჩვენთან არს ღმერთი!

დღეს ნინობაა, ქართველი ერის გამორჩეული დღესასწაული. საქართველოს ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს, მათ შორის ყველა იმ ქალბატონს, ვინც ნინოს სახელს ატარებს, ვულოცავ ამ მშვენიერ დღესასწაულს.

ნინობის დღესასწაულს საქართველოში ჩვიდმეტსაუკუნოვანი ისტორია აქვს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ წმიდა ნინოს შემოსვლამ საქართველოს მიწაზე, ძირეულად შესცვალა ქართლის ცხოვრება. თუ ქართულ მიწაზე წმიდა მოციქულების: ანდრია პირველწოდებულის, სვიმონ კანანელის და მატათას მიერ სახარების ქადაგებამ ქრისტიანობის პირველი იმპულსები შემოიტანა ქართულ ცნობიერებაში, წმიდა ნინომ, თავისი მოციქულებრივი საქმიანობით, ხელი შეუწყო ჯერ ქართლის და შემდგომ მთელი საქართველოს ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევას; მისმა ღვაწლმა საქართველოში წარმართული ცნობიერება საბოლოოდ დაარღვია და ქვეყნად ახალი, ქრისტიანული აზროვნების

ჩამოყალიბებას დაუდო საფუძველი. წმიდა ნინოს მოციქულებრივ საქმიანობას შედეგად მოჰყვა ის, რომ ქართული სახელმწიფო მთლიანად გაემიჯნა წარმართობას, აღმოსავლურ კერპთმსახურებას და გეზი აიღო და მთლიანად ჩაერთო კონსტანტინე დიდის და ელენე დედოფლის მიერ წმიდა მიწაზე, ახლო აღმოსავლეთსა და ევროპის კონტინენტზე ფართოდ გაშლილ ქრისტიანობის პროცესში. წმიდა ნინოს მიერ მოქცეულმა მეფე მირიანმა და დედოფალმა ნანამ, ისევე როგორც ბიზანტიასა და რომის იმპერიაში კონსტანტინე დიდმა და ელენე დედოფალმა, ქრისტიანობა ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადეს; ამან საფუძველი ჩაუყარა საქართველოს მიწაზე ზოგადქრისტიანული კულტურის ჩამოყალიბებას, მის შემდგომ განვითარებასა და აყვავებას. წმიდა ნინოს სახელს უკავშირდება საქართველოში სულიერ-ინტელექტუალური აღმავლობის დაწყება. ქრისტიანობამ დააჩქარა და აღარ ვიტყვი, რომ ხელი შეუწყო ქართველი ერის კონსოლიდაციას. ქართველი ერის განვითარების მიმართულება გადაიხარა ბიზანტიისაკენ და ზოგადად, ევროპისაკენ, რაც

ბრძნული ნაბიჯი იყო. მოციქულთასწორ მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას ძალისხმევით, ქართლის გაქრისტიანების შემდეგ, ჩვენ ვისწრაფოდით ევროპისაკენ, ბიზანტიისაკენ, მაგრამ მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმსარებელი ბიზანტია დაანგრია თავად ბიზანტიის მმართველი ელიტის ზნედაცემულობამ და, ჯვაროსნების სახით, კათოლიკური ქრისტიანობის აღზევებამ, რომელიც ისტორიული ქარტეხილების ჩაგლის შემდეგ, დღეს ევროკავშირად ჩამოყალიბდა, თავისი ბიუროკრატიული სათათბიროთი და მკვდრადშობილი აღმასრულებელი ინსტიტუციების სახით.

ბიზანტიის ნგრევით გამოწვეული ხანგრძლივი წყვეტის შემდგომ, დღეს საქართველო ისევ ევროპისაკენ მიიღტვის, სურს ევროპული ოჯახის წევრი გახდეს; მაგრამ ევროპას არ სჭირდება ნავთობისა და გაზის არმქონე საქართველო, ის მისთვის ზედმეტი ტვირთია და სხვადასხვა ბრალდებით ამუხრუჭებს ქართველი პოლიტიკოსების ლტოლვას ევროპისაკენ. ამის საუცხოო დასტურია ევროპარლამენტის უგვიდით, დროდადრო ქართველი ხალხის წინააღმდეგ მოწყობილი შეურაცხყოფელი დემარშები. ზოგიერთი ევროპარლამენტარი, ოქტომბრის შემდგომ, საქართველოს უკანასკნელი არჩევნების შედეგად მიღებულ ქართულ კომმარად მიიჩნევს. მე კი ვფიქრობ, რომ კომმარა არის თავად კორუმპირებული და ბიუროკრატიული ევროკავშირი, რომელიც აშენებულია ძირგამომძაღ ჯვაროსნულ საძირკველზე, და რომელიც თითქმის არაფრით განსხვავდება, თავისი შედეგებით, „ესენგესაგან“.

ევროკავშირი უკვე განიცდის დამანგრეველ რყევებს, მას ფარულად გაურბიან წამყვანი ევროპული სახელმწიფოები; ინგლისმა კი ამჯობინა, ღიად გამოეცხადებინა ამ ხელოვნური ხუხულისაგან გასვლის სურვილი. ჰელსინკისა და პარიზის აქტებით შემუშავებული ჰუმანისტური ღირებულებები ევროკავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კარგა ხანია დაასამარეს. ევროპაში აღარაფერი დარჩა ჰუმანისტური. ისინი დაუფარავად უწევენ პროპაგანდას სექსუალურ აღვირახსნილობას, რყვნიან ახალგაზრდობას, ნერგავენ გლობალურ უხეობას; ევროპას სოდომურ ცოდვას ნაზიარები საქართველო სჭირდება, ამიტომ, ქართველებს გემართებს

დაფიქრება: „გამოვიცვალეთ სქესი“ და გაავარძელოთ ევროპისაკენ მსვლელობა თუ დავრჩეთ ისეთები, როგორც უფალმა შეგვქმნა და დავუბრუნდეთ წარსულს, სადაც ქართველებს, ჩვენს სხვა მეზობლებთან ერთად, არასოდეს შეგვლახვია ადამიანური ღირსება.

ისტორიის მანძილზე ქართველი პოლიტიკოსები ხშირად უშეებდნენ შეცდომებს; ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას კი არასოდეს დაუშვია შეცდომა. მან განუხრელად განვლო მძიმე გზა ისე, რომ სამეფეო გზიდან არც მარჯვნივ და არც მარცხნივ არ გადაუხვევია; და უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ორი სუკუნის განმავლობაში, ჩვენი სამოციქულო ეკლესია და მისი მრევლი სიმტკიცის გამოცდას აბარებდა რუსეთის სახელმწიფოსა და ეკლესიის ბიუროკრაციას – იგი არ დაემორჩილა რუსეთის სინოდალურ მმართველობას და მისი ობერპროკურორის ანტიკანონიკურ გადაწყვეტილებას და მაინც ალაღვინა თავისი დამოუკიდებლობა. ეს გამოცდა, ისტორიის ცალკეულ პერიოდში, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ჩვენი ეკლესიის ლეგიტიმიზებას. საქართველოს ეკლესიამ ქრისტეს მოძღვრების, წმიდა ნინოს ერთგულებით, ღირსეულად ჩააბარა ყველა გამოცდა. საქართველოს სამოციქულო ეკლესია, მისი უწმიდესობის ბრძნული ხელმძღვანელობით, სულ ორი ათეული წლის წინათ დევნილი, დღეს, დასავლეთის ე. წ. დემოკრატიული ქვეყნების ძირგამომთხრელი და მზაკრული მცდელობების მიუხედავად, კვლავ მიზანდასახულად მიიღტვის საუფლო გზით, ჩვენ მიმართ ყველა ბოროტი ქმედებების გულწრფელად მიმტვევებელი, მსოფლიოს ყველა ერის შვილებისადმი ქრისტესმიერი სიყვარულით განმსჭვალული. ამ დღეებში მართლმადიდებელი ეკლესია ისხენებს ყოველთა ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ათონის წმიდა მთაზე გაბრწყინებულთა, აგრეთვე რუსეთის მიწაზე გაბრწყინებულ წმიდანებს. რუსეთის ეკლესია მასშტაბურად უდგება ამ დღესასწაულს და ლოცულობს ნოვგოროდის, ბელორუსიის, ფსკოვის და სანკტ-პეტერბურგის მიწაზე ღვაწლით გაბრწყინებული რუსი წმიდანების მიმართ, რომლებმაც თავიანთი ამქვეყნიური ცხოვრებით, კეთილი კვალი გაავლეს ზოგადად მსოფლიო ეკლესიის ისტორიაში.

ამ წმიდათა ხსენების დღე დაემთხვა რუსეთის გაქრისტიანების 1025 წლის საიუბილეო დღეებიც, რომელიც მსოფლიო მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღნიშნა.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია დღეს მყარად დგას ყოველთა წმიდათა რუსეთის მიწაზე გაბრწყინებულთა ტრადიციაზე. იგი დღესდღეობით იღვწის იმისათვის, რომ მხარში დაუდგეს მსოფლიოს ადგილობრივ მოძმე მართლმადიდებელ ეკლესიებს, რომლებიც ტერიტორიულად მოქცეულნი არიან კათოლიკურ გარემოცვაში და წნეხს განიცდიან ევროპელი და ამერიკელი ე. წ. დემოკრატიული ხელისუფლებისაგან, როგორც მატერიალური, ასევე სულიერი თვალსაზრისით; რუსეთის ეკლესია ცდილობს, გარკვეული ზეგავლენა მოახდინოს საკუთრივ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზეც. 17 მაისის ფონზე, ჩვენი ხელისუფლებისაგან განსხვავებით, რუსეთის ხელისუფლებამ გამოიჩინა შესაშური სულიერი სიმტკიცე და პოლიტიკური გამჭრიახობა და სამართლებრივად აკრძალა რუსეთის ტერიტორიაზე ერთსქესიან წყვილთა ქორწინება და მისი პროპაგანდა – რითაც, ფაქტობრივად, დაუპირისპირდა მთელ დანარჩენ სამყაროს. ამ, მე ვიტყვოდი, მსოფლიო ისტორიული ფაქტის რეალიზაცია, უდავოდ განაპირობა რუსულმა მართლმადიდებელურმა ტრადიციამ და მისადმი ერთგულებამ; იმ დვაწლმა, რომელიც გასწიეს რუსმა წმიდანებმა, რუსული მართლმადიდებლობის ზნეობრივად შელახვისაგან დასაცავად. როცა ჩვენ ვსაუბრობთ რუსეთის მიწაზე დვაწლით გაბრწყინებულ წმიდანებზე, არ შეიძლება გულისტკივილი არ გამოვთქვათ რუსეთის ხელისუფლების მიმართ, რომელსაც უფლისგან მიცემული აქვს შესაძლებლობა, რომ ქრისტესმიერი სიყვარულით, მართლმადიდებლური სულისკვეთებით, მიუდგეს უშუალოდ მის მეზობელ პატარა მართლმადიდებელ ქვეყნებს, ქრისტესმიერ შეაკავშიროს ისინი და წინ აღუდგეს ერთაშორის სიძულვილს, დასავლეთ სამყაროსაგან თავ-

სმოხვეულ საყოველთაო უზნეობას, უსამართლობას და განუკითხაობას; რომელსაც, სხვა ხალხებისადმი ბიუროკრატიული მიდგომით, ფაქტობრივად, პროპაგანდას უწევენ ამერიკის შეერთებულ შტატებს სულიერად დამონებული ევროკავშირის ე. წ. დემოკრატები. ამის დასტურია მათი მენტორული, ამასთან, ფარისევლური დამოკიდებულება ქართველი ხალხისადმი. ისინი სიტყვით გვიხსნიან ევრო-ატლანტიკურ სივრცეში შესასვლელ კარს, მაგრამ საქმით – საიმედოდ უქოლავენ ახალგაზრდა, გულუბრყვილო ქართულ სახელმწიფოს. მე ვფიქრობ, გულგრილი არ უნდა დავრჩეთ ჩვენდამი დასავლეთის ამგვარი დამოკიდებულების მიმართ, მით უმეტეს, რომ არსებობს ევრო-ატლანტიკური სივრცის ალტერნატივა. ევროპელები ყოველმხრივ გვიბიძგებენ, რომ შევიდეთ იმ კარში, რომელიც ღიაა ჩვენთვის.

ნუ იფიქრებთ, რომ თავს გახვევთ საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ჩვენმა მრევლმა და, საზოგადოდ, საქართველოს მოქალაქეებმა უნდა იფიქრონ, გააანალიზონ ეს ურთიერთობები, და ბოლოს და ბოლოს, შექმნან ქართული იდეოლოგია, რომელიც სწორ რეკომენდაციებს მისცემს ჩვენს პოლიტიკოსებს.

ღმერთმა დაგლოცოთ. მე იმედი მაქვს, რომ წმიდა ნინო, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი არ დაუშვებენ ქართველი ერის გადაშენებას, რომ ისინი კვლავინდებურად წაგვიძღვებიან. და რომ ჩვენი ეკლესია, და არა პოლიტიკოსები, ქართველ ერს კვლავაც მიიყვანს გამარჯვებისაკენ და აღდგომისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ, წმიდა ნინო შეეწიოს თქვენს ოჯახებს, სრულიად საქართველოს, და კვლავაც ისეთივე გზით გვატაროს, როგორც საუკუნეების წინ ატარა წმიდა ნინომ და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ჩვენი წინაპარი. დაგლოცოთ ღმერთმა! ამინ.

# ALEQSANDRE SMEMANIS IDEOLOGIA

უკანასკნელ ხანს ფართოდ შექდება ამერიკელი პროტოპრესვიტერის, ალექსანდრე შმემანის ნაშრომები და ქადაგებები, ავტორისა – რომელიც XX საუკუნის ერთ-ერთ „მსხვილ ეკუმენისტ ღვთისმეტყველად მიიჩნევა“.

რუსული ემიგრაციის წარმომადგენელი, მოდერნისტი ღვთისმეტყველი ალექსანდრე შმემანი დაიბადა 1921 წელს, ტალინში (ესტონეთი). საშუალო განათლება მიიღო ვერსალის რუსულ კადეტთა კორპუსში (1930-1938). სწავლა გააგრძელა ფრანგულ ლიცეუმ კარნოში, ხოლო მოგვიანებით (1945 წლამდე), ეკუმენისტური სულისკვეთებით ცნობილ, პარიზის წმიდა სერგის საღვთისმეტყველო ინსტიტუტში სწავლობდა. 1945 წელს მღვდლად ეკურთხა. 1964-1983 წლებში ამერიკის სამიტროპოლიტო საბჭოს წევრი იყო. 1970-იან წლებში იგი ცნობილ მოდერნისტ ღვთისმეტყველ, პროტოპრესვიტერ იოანე მეიენდორფთან და მთავარეპისკოპოს იოანე შახოვსკისთან ერთად, ამერიკის ავტოკეფალური ეკლესიის დაარსების მონაწილეა. 1953 წელს მან პარიზის საღვთისმეტყველო ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია თემაზე „ლიტურგიკული ღვთისმეტყველების შესავალი“. შმემანის სპეციალობა იყო ეკლესიის ისტორია. მას ხელმძღვანელობდა მოდერნისტი ღვთისმეტყველი ალექსანდრე კარტაშოვი. 1951 წელს პროტოპრესვიტერი ალექსანდრე ნიუ-იორკის წმიდა ვლადიმირის სემინარიის დოცენტია ეკლესიის ისტორიის და ლიტურგიკის კათედრაზე. 1963-79 წლებში შმემანი გახმაურებული ეკუმენისტური რუსული სტუდენტური მოძრაობის თავმჯდომარე იყო. 1979-83 წლებში დააარსა მასონური საძმო „სინდესმოსი“ და მისი პირველი თავმჯდომარე გახდა. შმემანი 1961-65 წლებში გამართულ ვატიკანის II კრებას ოფიციალური სტატუსით ესწრებოდა. ოცდაათი წლის მანძილზე მიჰყავდა რადიო „Свобода-ს“ რელიგიური პროგრამა. პროტოპრესვიტერი გარდაიცვ-

ადა 1983 წ.

ალექსანდრე შმემანის ნაშრომები ტელეარს „СНХЗ-ის“ ეთერში მიმოიხილა მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორმა, თავადვე მოდერნისტული მიმართულების ღვთისმეტყველმა, ალექსანდრე ოსიპოვმა (ეკატერინბურგის ეპარქიის ოფიციალური გამოცემა „Православная газета“). იგი აცხადებს: „შმემანი, შეიძლება ითქვას, ძალიან ნიჭიერია, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან შორსაა სულიერი ცხოვრების გაგებისაგან. იგი თავის დღიურებში პირდაპირ წერს: „მე არ შემიძლია ამ ბრიანჩანინოვების და თეოფანე დაყუდებულის მიღება-გათავისება“.

შმემანის შრომებს უფრო ღრმა ანალიზი გაუკეთა ცნობილმა უკრაინელმა პუბლიცისტმა იგორ დრუზმა, რომელიც აღნიშნავს, რომ: „პროტოპრესვიტერ შმემანის ბუნდოვანი და ორაზროვანი წიგნები არ შეესატყვისებინ სახარებისეულ სიტყვას, სულისკვეთებას და წმინდა მამათა ნაშრომებს – სადაც ყველგან ზუსტად და ცხადად არის განსაზღვრული ცოდვა, მკაფიოდ არის გამიჯნული ნათელი ბნელისაგან, ცოდვა – მადლისაგან, და სადაც საუბარია ჯოჯოხეთსა და მისაგებელზე. შმემანის წიგნებში ეს ცნებები და სიტყვები უკუგდებულია დუმილით.

ალექსანდრე შმემანი, ფაქტობრივად, ჭეშმარიტების გაგების შეცვლას ცდილობდა, ურთიერთგამომრიცხავ ალოგიკურ თეზისებს მოიხმობდა და გამობდა მარხვას და ლოცვას, წმიდანებს, მოღვაწეებს და აღმსარებლებს... მღვდელ ალექსანდრეს წიგნები და განსაკუთრებით კი მისი „დღიურები“ მხოლოდ იმიტომ კი არ წარმოადგენს საფრთხეს, რომ აშკარად ცილს სწამებს ეკლესიას და რომ ეკლესიაში დამანგრეველი რეფორმების გატარება სურს – არამედ იგი ცდილობს ჭეშმარიტების, როგორც ასეთის, უარყოფას დაუნდა ოსტატურად არიოს, ერთმანეთშისიცრუე და სიმართლე. ყველა წიგნი არის სიკეთისა

და ბოროტების მტკიცე კრიტიკიუმების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა. „დაე, თქვენი სიტყვა იყოს „ჰე, ჰე და არა, არა“. სხვა ყოველივე მაცდურისაგანაა“. იგორ დრუზი აღნიშნავს, რომ პროტოპრესვიტერის ყველა ანტიეკლესიურ გამონათქვამს საფენად ადევს სიტყვები: „შესაძლოა“, „აღბათ“, „ეცეობა“, „როგორც ჩანს“...

„Благодатный огонь“ 11.8.10.

**მღვდელმონოზონი დამასკინი  
(ქრისტენსენი)  
(„Не от мира сего“)**

მამა სერაფიმეს (როუზი) იმ გარემოში მოუწია ცხოვრება, სადაც მეცნიერთა და ფილოსოფოსთა შორის „წმიდა მამათა“ შესახებ მსჯელობა „მოდაში იყო“. ეს თემა ე. წ. „პარიზული სკოლის“ ახალი თაობის წარმომადგენლებმა, რუსმა ინტელიგენტებმა წამოჭრეს... ბევრი მათგანი (მაგ. პეტრე სტრუვე – რუსულად მარქსის მთარგმნელი) რევოლუციის მომხრე იყო, მაგრამ შემდეგ შეინანეს მარქსიზმით გატაცება და რუსეთი დატოვეს... მოგვიანებით მათ პარიზში ემიგრაციული სათვისტომო დააარსეს.

„პარიზული სკოლის“ წარმომადგენლები ზემოდან დასცქეროდნენ უბრალო ადამიანთა ღვთისმოსაობას და, როგორც მაღალგანვითარებული ადამიანები, თავის მოვალეობად თვლიდნენ მართლმადიდებლობის „ამაღლებას“ და „გაკეთილშობილებას“. „პარიზული სკოლის“ ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ რუსი ფილოსოფოსები ნიკოლოზ ბერდიაევი და სერგი ბუღაკოვი, რომლებსაც მთელი რიგი ანტიეკლესიური შეხედულებები ჰქონდათ. ზოგი მათგანი ამერიკაში გადაბარგდა, მათ შორის ცნობილი პროტოპრესვიტერი ალექსანდრე შმემანი.

1951 წელს შმემანი პარიზიდან ამერიკაში ჩავიდა და ამერიკის სამიტროპოლიტოში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. წინამორბედი მოდერნისტების მსგავსად, „ძველმოდურ ღვთისმოსაობას“ აკრიტიკებდა... იგი ამბობდა, რომ ბევრი რამ იყო შესაცვლელი, რომ „მართლმადიდებლურ

ღვთისმეტყველებაში ახალი გზების ძიებას“ აპირებდა და რომ ამ გზით „მართლმადიდებლობას თავისი ნამდვილი სახით აღადგენდა“. შმემანი ამაში „ახალი საღვთისმეტყველო მოძრაობის“ ამოცანას ხედავდა, რომელიც 20-იან წლებში „ძველის“, „მოძველებული მართლმადიდებლობის“ გაგების სანაცვლოდ აღმოცენდა. მამა სერაფიმეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „შმემანისათვის მართლმადიდებლობა უხვეულოდ მნიშვნელოვანი „პრობლემების“ რიგი იყო, რომელთა გადაჭრაც მხოლოდ „იშვიათ სწავლულ პირებს შეეძლოთ.“

შმემანის აზრით, მართლმადიდებლობა მხოლოდ მოიგებდა, თუკი იგი „ძველმოდურ“ აზროვნებას უარყოფდა. მას და მის მიმდევრებს სურდათ, მართლმადიდებლობა თანამედროვე ღვთისმეტყველების ავტორიტეტებს და ეკუმენისტურ მოძრაობას ელიარებინა, რათა მართლმადიდებლებს დასავლეთის ქრისტიანებთან დიალოგში მონაწილეობა მიეღოთ და „გაბედულად, ახლებურად მიდგომოდნენ“ განსახილველ „პრობლემებს“. რა თქმა უნდა, ამის მისაღწევად მართლმადიდებლები „ფეხდაფეხ უნდა მიჰყოლოდნენ“ თანამედროვე საღვთისმეტყველო მოდას და ბრტყყიალა სიტყვებით უნდა ეუბნებოდნათ, როგორცაა: „კრიზისი“, „სამყაროს კურთხევა“ (შარდენის შემოღებული ტერმინი)...

ერთ-ერთ „პროგრესულ“ ქრისტიანულ მიმართულებად მიიჩნეოდა ე.წ. „პირადი სათნოებების“ დამცირება. ამ თეორიას სათავე დაუდო ტომას მერტონმა, ხოლო შმემანმა ამ სიახლეში თავისი წვლილი შეიტანა და განაცხადა, რომ „მართლმადიდებლური ღვთისმოსაობა მეტისმეტად ეგოცენტრული გახდა“ და „ინდივიდუალური“ ანუ მხოლოდ საკუთარი სულის ხსნაზე მიმართულიო...

მამა გერმანე (მამა სერაფიმე როუზის თანამოღვაწე) ჯერ კიდევ ჯორდანვილიაში სწავლის დროს გაეცნო ალექსანდრე შმემანის წიგნებს. მოგვიანებით იგი იხსენებს: „სამი წიგნი წავიკითხე ჯორდანვილიაში ჩასვლისას, რომლებიც მართლმადიდებლობაზე მოქცევაში შემეწივნენ:



„ღირსი სერაფიმე საროველის ცხოვრება“, „ღირსი ამბროსი ოპტელის ცხოვრება“ და „მწირის თხრობანი სულიერი მამისადმი“. აღმოვაჩინე, რომ მართლმადიდებლობაში ყველაზე საინტერესონი მოღვაწეები არიან. ისინი იესო ქრისტეს მიერ ღვთის სასუფეველზე ნათქვამის აზრს განმარტავენ. მოგვიანებით მირჩიეს: – „თუ გინდა იცოდე თანამედროვე მართლმადიდებლობა – შმემანი წაიკითხო“. ასეც მოვიქეცი, მაგრამ მალევე მომწყინდა მისი კითხვა; თუმც კი ბოლომდე წავიკითხე და საბოლოოდ მივხვდი, რომ მამა ალექსანდრე მართლმადიდებლობაზე ენაწყლიანად, მაგრამ ზოგადად საუბრობდა; ხოლო მოღვაწე მამები კი რეალურად განცდილი გამოცდილებიდან გამომდინარე; მაშინ გავიფიქრე: დიდი საქმე არ ყოფილა უბრალოდ წიგნების კითხვა და მათზე მსჯელობა. ამას ხომ მეც შევძლებ? მაგრამ ჩემი წარმოსახვა „სწორხაზოვანია“ და არა „მომცველობითი“, როგორც წმიდანებისა; რამეთუ წმიდანები ღვთის სასუფეველს, ღვთის ჭეშმარიტებას ეძიებენ, პოულობენ და ცდილობენ, თავიანთი გამოცდილება ჩვენამდე მოიტანონ; და მხოლოდ ჩვენი უმეცრების სიბნელე გვიშლის, რომ ამას მივხვდეთ“.

ალექსანდრე შმემანმა მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების თავად არსი გააკრიტიკა. იგი პროტესტანტული შეხედულებებიდან უფრო გამოდიოდა, ვიდრე მართლმადიდებლობიდან. და თუმცაღა ამტკიცებდა, რომ ლიტურგიკაში „დასაუფლურ გავლენას“ გაუბოდა, სინამდვილეში არამართლმადიდებლურ დასაუფლურ წყაროებს ეყრდნობოდა; უარყოფდა ღვთისმსახურების ტრადიციულ, მართლმადიდებლურ „ღვთივგანგებულებას“ და „წინაგანგებულებას“ და მას განიხილა და, როგორც ისტორიული განვითარების „უბრალო შედეგს“. პროტესტანტი ღვთისმეტყველების მსგავსად, შმემანი ეჭვს გამოთქვამდა კონსტანტინე დიდის ეპოქის დასაწყისის ცვლილებებზე და მას „ღვთისმსახურების აღქმის გარდაქმნად და პირველქრისტიანული ლიტურგიკის სულისკვეთებისგან და ფორმისგან გადახრად“ მიიჩნევდა. შმემანის აზრით, ნამდვილი, „ესქატოლოგიური“ ღვთისმოსაობა

მრავალმხრივ არის შეცვლილი „მისტერიული ღვთისმოსაობით“, „სიმბოლოების განმარტებებით“ და „ინდივიდუალური კურთხევით“, რაშიც, პროტოპრესვიტერის აზრით, ნაწილობრივ მონაზვნობასაც „მიუძღვის ბრალი“. შესაბამისად, მას ღვთისმსახურების დღიური განაწესიც „მეორად პლასტებად“ მიაჩნდა და მათ აღდგენას „თანამედროვე ღვთისმეტყველთა საქმედ“ თვლიდა. ანუ მამა ალექსანდრე მეორად თვლიდა იმას, რაც პროტესტანტებმაც უარყვეს: ევქარისტის საიდუმლო – როგორც პიროვნების განმწმენდელი, მორწმუნეთა კლერიკოსებად და ერისკაცებად დაყოფა, საეკლესიო დღესასწაულების გამოყოფა, მართლმადიდებელ წმიდანთა ნაწილების თაყვანისცემა და სხვა. ყოველივე ამას პროტოპრესვიტერმა „მისტერიათა კულტი“ და „წმიდათა კულტი“ უწოდა. შმემანმა ეჭვი შეიტანა მართლმადიდებლობის ლიტურგიკული შედგენილობის სისრულეშიც. მან მკვეთრად გააკრიტიკა თანამედროვე „ლიტურგიკული ღვთისმოსაობა“ და განაცხადა, რომ „ეკლესია ლიტურგიკულ კრიზისში იმყოფება“. გასაკვირი აღარაა, რომ შმემანის წიგნებს მაღალ შეფასებას აძლევენ არამართლმადიდებელი ღვთისმეტყველები... ხოლო ავტორიტეტული მართლმადიდებელი ღვთისმეტყველი, როგორცაა მიხეილ პომპიანსკი, ასე აფასებს შმემანის ცნობილ წიგნს: „Введение в Литургическое богословие“ – „შმემანმა ხარკი გადაუხადა მეთოდს, რომელიც სრულიად გაბატონებულია თანამედროვე მეცნიერებაში. მან გვერდით გაწია, უარყო მადლმოსილების იდეა, საღვთისმსახურო წეს-განგების შემქმნელთა წმიდანობის აზრი და მთელი რიგი მიხეზ-შედგობრიობით შემოიფარგლა“...

მამა სერაფიმე როუზი წერს: „შმემანი მზად არის გადაწეროს ტიპიკონი (საღვთისმსახურო) თანამედროვე ისტორიული შემეცნების შუქზე. მოკლედ რომ ვთქვათ, მისი აზრით, ღვთისმსახურება დაბალი სულიერების მქონე ადამიანების დონეს უნდა შეესაბამებოდესო! შმემანი ცეცხლის აღში ეხვევა“...

მამა გერმანე და მამა სერაფიმე გულისტკივილით უყურებდნენ შმემანის მიერ „ამერიკული“ ეკლესიის შექმნის მცდელობას; რამეთუ ამერიკას არა აქვს

დრმა, მყარი მართლმადიდებლური საფუძველი, ამდენად, ცოცხალ ტრადიციასთან კავშირის გაწყვეტა დამღუპველია. მამა სერაფიმეს თქმით, შემეანი გზას უკაფავდა ახალ, ფესვებს მოწყვეტილ მართლმადიდებლობას, და ამერიკის მომავალი თაობა „ველარც კი მიხვდება, თუ რა მოაკლდათ“. მას „სუფთად ამერიკული“, სრულიად დამოუკიდებელი მართლმადიდებლობის შექმნა სურდა, რომელიც თანამედროვე ღვთისმეტყველებაზე იქნებოდა დაფუძნებული და არა სულიერი სიწმიდის ცოცხალ გარდამოცემაზე, რომელიც წმიდანებმა გადმოგვცეს. გარდამოცემასთან გაწყვეტილი კავშირი კი აღარ აღდგება...

მამა სერაფიმე საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, თუ რაოდენ ცხოველმყოფელია გარდამოცემა. ეს რომ არა, იგი ვერ ეზიარებოდა მართლმადიდებელი ცხოვრების ყველაზე სანუკვარს, რისთვისაც როუზმა ყოველივე მსოფლიო (ამქვეყნიური) დაუტევა. როგორც ცნობილია, მან, ჭეშმარიტების სიყვარულით, უარი თქვა საერო კარიერაზე, მიატოვა მეცნიერება, რომელიც სხვადასხვა თეორიით იყო გაჯერებული. ახლა კი იგივეს გადააწყდა, ოღონდ, უკვე, მეცნიერებით კი არ ერთობოდნენ, არამედ მისთვის ყველაზე უძვირფასესით – მართლმადიდებელი ქრისტიანობით. როუზი წერდა: „აწინდელი ღვთისმეტყველები ცდილობენ, რომ ჯერ მოიპოვონ თავიანთი კვლევის საგანი, ხოლო შემდეგ კი უფრო „მარჯვედ“ შესასწავლად, მას გამოშიგნავენ. ხშირად მათი დისკუსიები საღვთისმეტყველო ტერმინებით ჟონგლირობამდეც დადიოდა“...

შემეანი მნიშვნელობას არ ანიჭებდა მართლმადიდებლური ტრადიციის ცოცხალ მემკვიდრეებს, მტვირთველ, რომლებიც „წმიდა მამებთან დამაკავშირებელი რგოლები იყვნენ.“ სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი გვმოდგვრავდა, რომ მხოლოდ მათი შემწეობით არის შესაძლებელი ძველ წმიდანებთან კავშირი...

მამა სერაფიმემ, ახალი თაობის ღვთისმეტყველთა მაგალითზე ნახა, თუ რაოდენ საშიშია მათი შეხედულება, ვინც „ბრძენ-

თა უბრძენსია“ და რამდენად უშლიან ისინი ხელს ცოცხალი ტრადიციის გარდამოცემას. როუზი წერდა: „ჩვენს არეულ დროში, როდესაც მაუწყებელ-მქადაგებელთა მთელი წყება გამოდის, მთავარია მიხვდე, თუ რომელ მათგანს უნდა ენდო, რომელია ნამდვილი მართლმადიდებელი. მართლმადიდებლობის შესხმა და ბრძოლა ცოტას ნიშნავს, თავადვე უნდა განიმსჭვალო ძირძველი ტრადიციებით; და ეს ყველაფერი თავიდან კი არ უნდა აღმოაჩინო, თანამედროვე სემინარიებისა და აკადემიების ლექციებზე, არამედ – ეს მიიღო უშუალოდ წმიდა მამათა მიერ“...

შემეანი სიტყვით მაღლა აყენებდა მონოზენობას, მაგრამ საქმით, არ ცნობდა მას – „ნაკლის“ გამო, ღვთისმოსაობისა და საეკლესიო ტრადიციების „დამღუპველი“ გავლენის გამო. მისი რწმენით, მონოზენური ღვაწლი „საერო მართლმადიდებლობასთან“ წინააღმდეგობაში მოდის. შემეანს არ ესმოდა, რომ ერისკაცებს ჭეშმარიტი ქრისტიანობისკენ სწორედ მონოზენობა უბიძგებდა, თავისი ტრადიციებით. მამა სერაფიმე როუზი წერდა: „საეკლესიო ღვთისმსახურება მონასტრული მსახურების სახით არის აგებული, რადგან სწორედ მონოზენობა გამოხატავს ნათლად იმ იდეას, რასაც მთელი ეკლესია ესწრაფვის. ყოველ დროში სწორედ მონოზენობის მდგომარეობა განსაზღვრავდა, ყველაზე მეტად, როგორც მთლიანად ეკლესიის, ასევე ნებისმიერი ცალკეული ეკლესიის სულიერ სიჯანსაღეს; და შესაბამისად: რაც უფრო ძლიერ ესწრაფვის მრევლი სამონასტრო მსახურების იდეას, მით უფრო მაღალია იქ ჩატარებული მსახურების სულიერება“...

**მამა სერაფიმე აქვე აღნიშნავდა: „მთავარია – სულიერი ცხოვრებით ცხოვრება და არა მასზე მსჯელობა“.**

წმიდა იოანე კიბისაღმწერელი წერდა: „ადამიანმა ღვთისმეტყველებაში პირველი ნაბიჯების გადადგამდე, ჯერ საკუთარ ვნებებს უნდა სძლიოს“.

თარგმნა და შეადგინა  
**მონოზონმა ანამ (ნიაური)**

# ARQIMANDRITI PAISI MTAWMIDELI

## ~ RAC AXLA XDEBA ~ (BERIS SITYVEBIDAN)

– მამაო, რას ფიქრობთ იმაზე, რაც ახლა ხდება?

– თქვენ რა აზრისა ხართ?

– ჩვენ რა ვთქვათ, მამაო?!

– მე გამეფებული გულგრილობა მაწუხებს. სხვა რამ მაწუხებს... რაღაც მზადდება და ჩვენ კიდევ ვერ შეგვიგნია ჯეროვნად ვერც ის, თუ რა დროში ვცხოვრობთ და ვერც ის, რომ მოგვკვდებით. არ ვიცი, რა მოჰყვება ყოველივე ამას, რაც ახლა ხდება; ძალიან რთული ვითარებაა. მსოფლიოს ბედი რამდენიმე კაცზეა დამოკიდებული, მაგრამ ღმერთს ჯერ კიდევ შეკავებული აქვს სადავე. ჩვენ ბევრი და ტკივილიანი ღოცვა გვმართებს, რათა უფალი ჩაერიოს იმაში, რაც ხდება. მსურვალედ ღოცვა გვმართებს და სულიერი ცხოვრება. ძალიან რთული დროა. ბევრი მტკერი, ნაგავი და გულგრილობა დაგროვდა. ძლიერმა ქარმა უნდა დაჰბეროს ყოველივე ამის განსაქარვებლად. ბერები ამბობენ, რომ „დადგება დრო, როდესაც ადამიანები წიხვნას დაიწყებენო“. და აი, ზღუდეებს შლიან, არაფერს ანგარიშს არ უწევენ, საშინელებაა! ბაბილონის გოდოლის ორომტრიალი ჩამოდგა! სამი ყრმის ღოცვა წაიკითხეთ და ნახეთ, რა სიმდაბლით ღოცულობენ ისინი (დაბ. 2, 21. ღოცვა აზარიასი და გალობა სამთა ყრმათა) და იხილეთ აგრეთვე 82-ე ფსალმუნი: „ღმერთო, ვინ გემსგავსოს შენ? ნუ დასდუმნები...“ – აი, ეს არის საჭირო, სხვაგვარად, კარგს არ ელოდეთ. ღვთის შეწევნა გვჭირდება. ზოგიერთმა ევროპულმა სენმა ჩვენშიც იჩინა თავი და სულ უფრო აღვირახსნილ ფორმას იღებს. ერთმა კვიპროსელმა ოჯახის თავკაცმა, რომელიც ინგლისში ცხოვრობდა, მითხრა: „ჩვენ სულიერი საფრთხე გველის. მთელი ჩემი ოჯახით უნდა გავიქცე ინგლისიდან. აქეთ გაიხედავ – მამა ქალიშვილზე ქორწინდება, იქით, დედა – ვაჟიშვილზე“...

ისეთი რამეები ხდება, თქმაც კი სა-

მარცხვინოა. ჩვენ კი წრუწუნებით გვიძინავს. მე პლაკატების აღმართვისაკენ არ მოვუწოდებ, არამედ მინდა, ყურადღება რომ მიაპყრონ კარსმომდგარ უდიდეს საფრთხეს და და ღმრთისაკენ ხელი აღაპყრონ. ვიფიქროთ, თუ როგორ დავიცვათ თავი ბოროტისაგან. მუხრუჭი უნდა შევაკავოთ, რამეთუ ყველაფრის წარხოცვას ეშურებიან. ახლა წინასწარმეტყველის ღოცვის უამია: „დასხენ მთავარნი მათნი, ვითარცა ორებ და ზიბ და ზებეე და სალმანა, ყოველნი მთავარნი მათნი, რომელთა თქუეს: „დავიმკვიდროთ თვისად სიწმიდე ღმრთისაი“ (ფს. 82. 11-12). დიდი შფოთია ჩამომდგარი. ისეთი არეულობაა, რომ ხალხს ტვინი აქვს ახდილი. ფუტკარივითაა ხალხი. სკას რომ დაარტყამ, ფუტკარი მაშინ გარეთ ამოდის და ზუზუნს იწყებს: „გუ-უ-უ“ – აწრიალებული ჯერ სკას უფლის გარს, შემდეგ კი იმ მიმარულებით წავა, საითაც ქარი დაუბერავს; ჩრდილოეთის ქარი თუ დაჰქროლავს – სკას დაუბრუნდებიან, ხოლო თუ სამხრეთისა – გაფრინდებიან. ხალხიც ასეა, რომელსაც ხან „ჩრდილოეთის ნაციონალური ქარი დაჰბერავს“, ხანაც „სამხრეთული“, და საწყალი თავბრუდახვეულია. მაგრამ ამ მღელვარების მიუხედავად, რაღაც საიმედოს, არწმუნებს ვხედავ... ზეთისხილი შეიძლება კიდევ გახმეს, მაგრამ იგი ახალ ყლორტებს იყრის კვლავაც. არსებობს კიდევ ქრისტიანთა ნაწილი, ვისშიც უფალი განისვენებს და ჯერაც არიან ღვთის კაცნი, მლოცველი ადამიანები, და სახიერი უფალი გვითმენს და კვლავაც ყოველივეს მოაწესრიგებს. სწორედ ეს მლოცველები გვანუგეშებენ ჩვენ. ნუ გეშინიათ! ჩვენ, როგორც ეთნოსმა, იმდენი განსაცდელი გადავიტანეთ და არ წარვწყმდით. მაშ, რაღად უნდა გვეშინოდეს მოსალოდნელი ქარიშხლის? – არც ახლა დავიდუპებით. ღმერთს ვუყვარვართ. ადამიანში აუცილ-

ბელი შემთხვევისათვის დაფარული ძალა. რამდენიმე წელი მიძიმე იქნება, მხოლოდ არსებობისთვის ერთს დაიქუხებს... ამას თქვენ შესაშინებლად როდი ვამბობ, არამედ უწყოდეთ თუ სად ვიმყოფებით. ჩვენთვის ეს პერიოდი, ძალიან ხელსაყრელია, რომელიც ღვაწლის და მოწამეობის ზემის შესაძლებლობას წარმოადგენს. ქრისტესთან იყავით და მისი მცნებების

ერად, უფრო გულთბილად ვიცხოვროთ და შევეწიოთ მწუხარეთ და გაჭირვებულებს, რათა კეთილი ადამიანები გამოჩნდნენ.

### ღმერთი გამოსავალს გვიჩვენებს

სახიერი ღმერთი ყოველივეს კეთილად განაგებს, მაგრამ დიდი მოთმინება და ყურადღება გვმართებს, რამეთუ ადამიანები, სინჯარით, ნაცვლად ამოხვევისა, უფრო მეტად ხლართავენ ნართს. ის, რაც ამჟამად ხდება, დიდხანს არ გასტანს – ღმერთი აღგვის მათ!

1830 წელს წმიდა მთაზე თურქეთის ჯარი იდგა და ამიტომ, რაღაც პერიოდი, ივირონის მონასტერში არც ერთი ბერი აღარ დარჩა. მამები წავიდნენ – ზოგი წმიდა ნაწილებით, ზოგიც ამბოხებულთა დასახმარებლად. მონასტერში მხოლოდ ერთი ბერი მოდიოდა ხოლმე შორიდან, კანდელის ასანთუბად და ტაძრის დასაგველად. მონასტრის შიგნით და გარეთ უამრავი შეიარაღებული თურქი იდგა, ეს ბერი იატაკს გვიდა და დაღადებდა: – დედაო ღვთისაო! ეს რა ხდება და რა გველის?! ერთხელ იგი ტკივილით ლოცულობდა ღვთისმშობლისადმი და მისკენ მომავალი სახეგაბრწყინებული ქალი დაინახა. ეს იყო ყოველადწმიდა ღვთისმშობელი. მან ბერს ხელიდან გამოართვა ცოცხი და უთხრა: „კარგად ვერ გვი, მე თავად დაგვიო.“ დაგავა და შემდეგ საკურთხეველში გაუჩინარდა.

სამი დღის შემდეგ ყველა თურქი წავიდა წმიდა მთიდან – დედაღვთისმშობელმა გარეკა ისინი. ღმერთი გარე განაგებს ყოველივეს, რაც უმართებულოა და ჭუჭყისაგან განწმედს, ვითარცა ცრემლი – თვალს. ეშმაკი მუშაობს, მაგრამ ღმერთი იღვწის და ბოროტს სარგებლად მოაქცევს, რათა მისგან სიკეთე წარმოდგეს. მაგალითად, კაფელს



პაისი მთაწმიდელი

თანახმად იცხოვრეთ; ილოცეთ, რათა სიძნელეებს გაუმკლავდეთ და დაუტყვევებლები, რათა მაღლი უფლისა ჩვენისა იყოს თქვენთანა. ხოლო თუ დაფიქრდებით, სად ვართ და რა გველოდება, ეს დიდად შეგვეწვევა საჭირო ზომების მიღებაში და მზადყოფნაში. მოდით, უფრო სული-

ამტვრევენ, ხოლო ღმერთი მისი ნამსხვრევებისგან მშვენიერ მოზაიკას აკეთებს. ამიტომ, ოდნავადაც ნუ შეშფოთდებით, რამეთუ ყოველთა და ყოველსა ზედა არს ღმერთი, რომელიც განაგებს ყოველს და თითოეულს განსასჯელ სკამზე დასვამს „სიტყვისგებად საქმეთა თვისთა“, და მიიღებს კიდევ უფლისაგან მისაგებელს. ვინც კი რაიმეთი შეეწევა სიკეთეს, მას საზღაური მიემადლება, ხოლო ბოროტისმოქმედი დაისჯება. ღმერთი ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს, საბოლოოდ; მაგრამ ყოველი ჩვენგანი პასუხს აგებს იმისთვის, ამ მიმე წლებში, მან გააკეთა თუ არა რაიმე, ღოცვითა და სათნოებებით.

დღეს სარწმუნოების დამხობას ცდილობენ და რწმენის შენობის დანგრევას; ნელ-ნელა, თითო კენჭს აცლიან მას. მაგრამ ჩვენ ყველა პასუხისმგებლები ვართ ამ ნგრევისა: არა მარტო ისინი, ვინც შენობას კენჭებს აცლიან და ანგრევენ მას, არამედ – ჩვენც, რომელნიც ვხედავთ, თუ როგორ ირღვევა რწმენა და მის გასამაგრებლად ღონეს არ ვხმარობთ. ის ვინც ბოროტებისკენ უბიძგებს მოყვასს, ამისთვის პასუხს აგებს ღმერთთან; მაგრამ ისიც პასუხს აგებს – ვინც ამ დროს მის გვერდით იმყოფებოდა: რადგან ისიც ხედავდა, რომ ვიდაც ბოროტს უკეთებდა მოყვასს და წინ არ აღუდგებოდა. ერი ადვილად ენდობა იმ ადამიანს, რომელსაც მათი დარწმუნება შეუძლია.

– მამაო, ადამიანები ცხოველებივით არიან...

– მე ცხოველებს არ ვუჩივი. იცი რა, ცხოველებს დიდი ბოროტების ჩადენა არ შეუძლიათ, რადგან მათ გონება არ აქვთ. მაშინ როცა, ღმერთს განშორებული ადამიანი ცხოველზე უარესი ხდება! იგი დიდ ბოროტებას სჩადის. ძლიერი ძმარი ამჟავებული ღვინისაგან ყენდება; სხვა, ხელოვნური სახეობის ძმარი ისე ძლიერი არ არის... შემზარავია, როდესაც ეშმაკი გარყვნილ ადამიანს უკავშირდება; მაშინ ეს ადამიანი ორმაგად ბოროტმოქმედი ხდება, ისევე როგორც ხორციელი ზრახვანი – როცა ხორცს ეშმაკი უკავშირდება, მას უფრო აბოროტებს. იმისთვის, რომ

ეშმაკმა ასეთ ადამიანთან „ითანამშრომლოს“, ამ ადამიანის იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ადამიანი თავის თავში ბოროტის ქონას ამჯობინებს.

შედგად კი, ღმერთმა გვაშოროს, ეს გამრყენელები შეგნებულად შეგვიქმნიან სიძნელებებს ჩვენ და მონასტრებს შეავიწროებენ. ისინი, გაბოროტდებიან ეკლესიაზე, მონაზვნობაზე, რადგან ეს უკანასკნელნი მათ გეგმებს ხელს შეუშლის. ახლანდელი სიტუაციისადმი წინაღობა მხოლოდ სულიერად შეიძლება და არა ერუღად. კიდევ ცოტა ხანს გაძლიერდება შტორმი და ნაპირზე გამოისვრის კონსერვის ქილებს, ნაგავს და ყოველივე უვარგისს; ხოლო შემდეგ კი ვითარება გაირკვევა და ნახავთ, ამ სიტუაციაში როგორ მიიღებენ, ერთნი ნაღდ საზღაურს, ხოლო – მეორენი ვალებს გადაიხდიან. აღმოჩნდება, რომ გადატანილი ტანჯვა ადამიანებისთვის შეუძლებელი არ იქნება, თუმცა, რა თქმა უნდა, არც „უფლის დიდებას“ იტყვიან.

როგორ ვუყვარვართ უფალს. ის რაც დღეს ხდება, ან რის გაკეთებასაც აპირებენ, ოცი წლის წინ რომ მომხდარიყო, მაშინ, როცა ადამიანები სულიერად უცოდინარნი იყვნენ – ძლიერ გაუსაძლისი იქნებოდა. ახლა ადამიანები გათვითცნობიერდნენ, ეკლესია უფრო გაძლიერდა. ადამიანებმა იციან, რომ ღმერთს უყვარს თავისი ქმნილება – ადამიანი და მისი საჭიროებისათვის იზრუნებს, ოღონდ კი თავად ადამიანმა ირწმუნოს და დაიცვას უფლის მცნებები.

## ბეჭდის შემოღების მზაკერული ხერხი

ბარათების და პირადობის მოწმობების ანუ პირადი დოსიეების შედგენის შემდეგ, ისინი ნელ-ნელა, მზაკერული ხერხით შეუღლებიან ბეჭდის შემოღებას. ადამიანებს სხვადასხვანაირი ხრიკით აიძულებენ, შუბლზე, ან ხელზე გამოისახონ (აღბეჭდონ) ბეჭედი. მიმე მდგომარეობაში ჩააყენებენ მათ და ეტყვიან: „ფული გაუქმდება, მხოლოდ საკრედიტო ბარათებით ისარგებლეთ“. მაღაზიაში რაიმეს შესა-

ძენად, ადამიანი გამყიდველს ბარათს მისცემს, ხოლო მაღაზიის მფლობელი მისი ანგარიშიდან ბანკში მიიღებს ფულს. ვისაც ბარათი არ ექნება, ის ვერც იყიდის და ვერც გაყიდის რამეს. ამასთანავე, ქვეყნის მპყრობელნი რეკლამას გაუწევენ თვალისათვის შეუმჩნეველი 666 რიცხვის მკლავსა და ხელზე გამოსახვის „სრულ სისტემას“; იმავე დროს, სატელევიზიო გადაცემებით აჩვენებენ, სხვისი მითვისებული ბარათით, თუ როგორ აიღებს ვიღაც ბანკიდან ფულს. განუწყვეტლად ილაპარაკებენ იმაზე, რომ: „ლაზერული სხივებით შუბლსა და ხელზე გამოსახული ბეჭედი უფრო საიმედოა, რადგან ბეჭდის ნომერი მხოლოდ მის მფლობელს ეცოდინება; რომ ბეჭედი სრულყოფილი სისტემაა და ქურდი ვერც თავს და ვერც ხელს ვერ მოგპარავთ და ვერც თქვენი ნომრის დანახვას შეძლებს. ამიტომაც აძლევენ ახლა ბანდიტებსა და ბოროტმოქმედებს თავისუფლად მოქმედების საშუალებას. ათონზე, კარეასის გარშემო, 15 სენაკი გაქურდეს და ერთი ბერი მოკლეს ქურდობისას – აი, ასე შეიძლება სხვისი ქონების მისაკუთრებამო. ანდა, ვთქვათ, ვინმე იცრუებს და მიწის ნაკვეთის შესაძენად იტყვის, რომ ოდესღაც ეს ნაკვეთი პაპამისის ეკუთვნოდა, ან რომ ოდესღაც თავად იყო მისი მფლობელი – როგორ უნდა გაკონტროლდეს ეს? მთავრობის წარმომადგენლები იტყვიან: „სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია ამის კონტროლი. მხოლოდ კომპიუტერის მეშვეობით არის ეს შესაძლებელი“ და შეუდგებიან ადამიანების აღბეჭდვას კომპიუტერში. შეამოწმებენ, ხარ თუ არა აღბეჭდილი და ამისდა მიხედვით ან მოგემსახურებიან, ან – არა.

სამწელიწადნახევარი იქნება უმძიმესი უამი. დიდი ჭირი დაატყდება მათ, ვინც ამ სისტემას არ დაეთანხმება; მათ დაპატიმრებას შეეცდებიან და ამისთვის გამუდმებით ახალ-ახალ მიზეზს რასმე მოიძიებენ; წლების მანძილზე მათ ერთიდან მეორე ქალაქში გადაიყვანენ, სხვადასხვა სასამართლოში საქმის განსახილველად, ბოლოს კი მოუბოდიშებენ: „უკაცრავად, უდანაშაულო ბრძანდებით. აი, აღბეჭდილი რომ

ყოფილიყავი, ერთ წუთში გავარკვევდით ყველაფერს შენს შესახებ. ახლა კი კონტროლი ვერ შევძელით“.

– მამაო, შეუძლიათ, რომ ძალადობით აღბეჭდონ ადამიანი?

– „ზრდილობის“ გამო არ მივლენ აქამდე. ისინი ხომ „კორექტულნი“ იქნებიან, როგორც ვეროპელებს შევნით. და გამოიჩინენ კიდევ უმაღლეს „კეთილშობილებას!“ ისინი ადამიანებს არ აწამებენ, მაგრამ ვინც არ მიიღებს ბეჭედს (არ აღიბეჭდება), მისთვის გაუსაძლისი გახდება ცხოვრება და მათ ეტყვიან: „თქვენ რომ ბეჭედი მიგელოთ, ასე არ გაგიჭირდებოდათ და არ დაიტანჯებოდითო.“

ადამიანები ვერც ოქროს მონეტებს და ვერც დოლარებს ვეღარ გამოიყენებენ. ამიტომ, თუკი ახლავე მიეჩვევით უბრალო, ზომიერ ცხოვრებას, მაშინ იმ წლების გადატანა შესაძლებელი იქნება; და თუ მომცრო ნაკვეთს იქონიებთ, მცირედ ხორბალს, კარტოფილს მოიყვანთ, დარგავთ ზეთისხილს და რომელსამე საქონელს და ფრინველს იყოლიებთ – მაშინ ქრისტიანი შეიძლება თავისი ოჯახის გამოკვებას; მარაგსაც არ მოაქვს დიდი სარგებელი, რადგან პროდუქტები დიდხანს ვერ ძლებენ, მალე ფუჭდებიან... და რა თქმა უნდა, ეს შეჭირვებაც დიდხანს არ გასტანს. იგი სამი, სამნახევარი წლის განმავლობაში გაგრძელდება. რჩეულებისთვის ეს დღეები შემოკლდება, ისინი ვერც კი შეამჩნევენ, როგორ გაივლის ეს წლები. ღმერთი ადამიანს შეუწევნელად არ დატოვებს.

– მამაო, რაც ამ წლებში მოხდება, უფალი იესო ქრისტე ამ ყველაფერში ჩაერევა თუ არა?

– დიახ. ხომ ხედავთ, განსაცდელში მყოფ ზნეკეთილ ადამიანებს რა ხშირად ეცხადებიან მათ წმიდანები, ყოვლაწმიდა ღვთისმშობელი, და უფალი ჩვენი იესო ქრისტე, რათა განსაცდელისაგან იხსნან ისინი. ხოლო ამჟამად, როდესაც ადამიანები ასეთ გაუსაძლის მდგომარეობაში იმყოფებიან, უფლის შეწევნა უფრო დიდია. ახლა ერთსაც დაიქუხებს და დადგება ანტიქრისტეს ხანმოკლე დიქტატურა; ხოლო შემდეგ კი ქრისტე ჩაერევა და მთელ ამ

ანტიქრისტეს სისტემას კარგად მიბეჭავს – ბოროტება დაითრგუნება.

### ბეჭედი განდგომილების ტოლფასია

– მიუხედავად იმისა, რომ წმიდა მახარობელი იოანე ღვთისმეტყველი უაღრესად ნათლად წერს აპოკალიფსში, ბეჭდის დასმის შესახებ (აპოკ. 13,16; 14,19; 16,2; 20,4), ზოგიერთებისთვის ეს მაინც გაუგებარია. და რა შეიძლება, მათ უთხრა? სამწუხაროდ, ზოგიერთი თანამედროვე „ნოსტიკოსისგან“ ძალიან ბევრი სიბრყვიის მოსმენა შეიძლება, ერთნი ამბობენ: „მე მივიღებ სამი ექვსიანიტ გამოსახულ მოწმობას და მას ჯვარს გამოვსახავ“, მეორე ბანს აძლევს: – „მე კი შუბლზე მივიღებ ბეჭედს და შემდეგ პირჯვარს გადავიწერო“ – ამგვარ სისულელეთა მთელ წყობას იმეორებენ. მათ ჰგონიათ, რომ ამით განიწმიდებიან, მაშინ როცა ასეთი აზრები ხიბლს წარმოადგენს.

ერთმა მეუფემ მითხრა: „მოწმობაში, იქ, სადაც ხელს აწერენ, მე ჯვარს გამოვსახავ და ქრისტეს კი არ უარყოფ, არამედ მე მხოლოდ მომსახურე სისტემის მომხმარებელი ვარო.“ „– მაშ კარგი, – ვპასუხობ მე, – აი, შენ მეუფე ხარ და შენი სახელის წინ, პირადობის მოწმობაში, ჯვარს გამოვსახავ, შენი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო. სხვა – არქიმანდრიტია, მისი მდგომარეობაც განსაკუთრებულია და ისიც გამოვსახავს ჯვარს, თავის სახელის წინ; მაგრამ ხალხს რის გაკეთებას უბრძანებ? ჭუჭყის კურთხევა ხომ არ ხდება. მაღლს მხოლოდ სუფთა წყალი იღებს და წმიდა წყლად იქცევა, მაგრამ შარდი ვერ იქცევა წმიდა წყლად. ქვა, სასწაულებრივად, პურად იქცევა, მაგრამ უწმინდურობა კურთხევას არ იღებს. მაშასადამე, ეშმაკი, ანტიქრისტე, რომელიც თავისი სიმბოლოს სახით ჩვენს მოწმობაში იმყოფება, ან ჩვენს მკლავსა და შუბლზე – არ განიწმიდება, თუნდაც ჯვარი რომ გამოვსახოთ იქ. პატიოსანი ჯვრის ძალა – ამ წმიდა სიმბოლოს ქრისტეს ღვთაებრივი მაღლი, ჩვენ მხოლოდ მაშინ გაგვაჩნია, როდესაც წმიდა ნათლისღების მაღლს ვიმარხავთ, რომლითაც ჩვენ განვეშორებით სატანას,

ქრისტეს შევეუერთდებით და წმიდა ბეჭედს ვიღებთ – „სულიწმიდის ძღვენის ბეჭედს.“ ისინი კი, დახე, ყველაფერს უბრალო ლოგიკით განმარტავენ!.. – თურმე, მხეცის რიცხვს ჯვარს დაუსვამენ და ყველაფერი კარგად იქნება... ისინი, ანტიქრისტეს ბეჭდის მიღებით, ქრისტეს ბეჭედს განუდგებიან, რომელიც ჩვენ წმიდა ნათლისღებისას მოგვნიჭა და მაინც იტყვიან, რომ მათში ქრისტეა.

### წინასწარმეტყველთა განმარტება

– მამაო, ზოგიერთები ამბობენ: „რაც ღმერთისგან მოსახდენია, მაინც მოხდება და ჩვენ ეს არ გვეკითხებაო?“ – როგორ გავიგოთ ეს?!

– ჰო, შეილო, თქმით კი ამბობენ, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის! ზოგისგან მსმენია: „ებრაელები არც ისე სულელები არიან, რომ სამი ექვსიანიტ გამოიასკარაონ თავი, როდესაც ამის შესახებ იოანე მახარებელი წერს აპოკალიფსში. ასე რომ იყოს, მაშინ ისინი ყველაფერს უფრო ჭკვიანურად და საიდუმლოდ მოაწყობდნენ“ – და განა მწიგნობრებმა და ფარისევლებმა არ იცოდნენ ძველი აღთქმა? განა ანამ და კაიაფამ ყველაზე უკეთ არ უწყოდნენ წერილი იმის შესახებ, რომ ქრისტეს ოცდაათ ვერცხლად გაყიდნენ? მაშ რატომ მისცეს იუდას ოცდაათი ვერცხლი და არა ოცდაცხრა ან ოცდათერთმეტი? მაგრამ დაბრმავებულები იყვნენ ისინი. ღმერთმა უწყოდა, რომ ყველაფერი ასე მოხდებოდა. ღმერთი წინასწარ ხედავს, მაგრამ წინასწარ არ განუსაზღვრავს. ეს მხოლოდ თურქებს სჯერათ ბედის (ფატალიზმი), ქიშმეთის (არაბ. – ხვედრი); ღმერთმა უწყის, რომ მოვლენები ასეთნაირად განვითარდება, ხოლო ადამიანი, „თავისი სიბრყვიით“, იმას მოიმოქმედებს, რაც ღვთისთვის ადრევე იყო ცნობილი; იმიტომ კი არა, რომ ღმერთმა განკარგა ასე რაღაცის შესახებ, – არა. იგი ხედავს, თუ სადამდე მივა კაცთა ბოროტება და იცის, რომ ეს ადამიანები თავიანთ აზრს მაინც არ შეიცვლიან; მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ღმერთი მოვლენებს წინასწარ განკარგავს.

ზოგიერთები კი წინასწარმეტყველებებით არიან დაკავებული, რაზეც საკუთარ განმარტებებს იძლევიან და ყოველი შემთხვევისათვის, იმასაც კი არ დასძენენ: „ჩემი გულისხმა მეუბნება ამასო“ არამედ, ამტკიცებენ: „ეს ასეაო!“ და საკუთარ აზრებს დაახვავებენ. ისეთებიც არსებობენ, წინასწარმეტყველებას, როგორც სურთ, ისე რომ განმარტავენ, რათა თავიანთი ვნებები გაამართლონ. მაგალითად, წმიდა კირილეს სიტყვებზე: „უმჯობესია თუ ჩვენს ეპოქაში არ გამოჩნდება ანტიქრისტეს ნიშნები“ – საკუთარი თავის სიმხდალის გამართლების მოსურნე კაცი იტყვის: „აი, ხომ ხედავ, წმიდა კირილეს ეშინოდა, რომ იგი ღმერთს განუდგებოდა! და განა მე კი წმიდა კირილეს მეტი ვარ? მაშასადამე, მე კიდევ რომ განვუდგე ღმერთს, ამაში საშინელი არაფერი იქნებაო“. სინამდვილეში კი წმიდა კირილე ამბობს: „უმჯობესია, თუკი ეს არ მოხდებაო,“ და ამას იმიტომ იტყვის, რომ მისმა თვალებმა არ იხილონ ანტიქრისტე – და არა იმიტომ, რომ თითქოსდა მას ეშინოდა. ხედავ, რას აკეთებს ეშმაკი?!

სამწუხაროდ, ზოგიერთი თანამედროვე „გნოსტიკოსიც“ ჩვილივით ფუთავს თავის სულიერ შვილებს, ვითომ იმ მიზნით, რომ ისინი არ შეშფოთდნენ: „ეს უმნიშვნელოა, – ეუბნებიან იერარქები თავიანთ სულიერ შვილებს – საშიში არაფერია, ოღონდაც რწმენა გქონდეს დამარხულიო;“ ან კიდევ ასე აფრთხილებენ: „ამ თემაზე (პირადობის მოწმობებზე, ბეჭდებზე) ნუღარ ილაპარაკებთ, რომ ადამიანები არ აღელდნენ!“ მაგრამ ისინი იმავდროს, ადამიანებს ეუბნებიან: „უფრო სულიერად ცხოვრებას უნდა ვეცადოთ, ახლოს ვიყოთ ქრისტესთან და არაფრისა გვეშინოდეს. ყველაზე მთავარი ხომ ისაა, რომ მოწამეები გავხდებითო“... მაგრამ რამენაირად მაინც ხომ უნდა მოამზადონ ქრისტიანები მომავალი სიძნელეებისათვის?! ადამიანი

ჭეშმარიტებას რომ შეიტყობს, ძილისგან განიფრთხობს და მოვლენების მიმართ ტკივილი, განცდა ექნება, იგი ილოცებს და თავს დაიცავს, რათა მახეში არ გაებას.

ახლა კი რა ხდება? ასეთი „განმმარტებლები“, გარდა იმისა რომ თავისებურად ხსნიან წინასწარმეტყველებას, თავადვე ერისკაცებივით შეშინებულნი არიან. მაშინ, როცა, მათ ქრისტიანთა სულიერი მზრუნველობა და შემწეობა მართებთ. მწყემსები თავიანთ სულიერ შვილებში კეთილზრუნვას უნდა აღძრავდნენ, რათა სარწმუნოებაში განმტკიცდნენ და საღმრთო მშვიდობა განიცადონ. მიკვირს, ნუთუ მათ არ აფიქრებთ ის ყოველივე, რაც ახლა ხდება?! და საკუთარი გონებით განმარტების შემდეგ, კითხვას მაინც რატომ არ სვამენ?! ვაი თუ ისინი ანტიქრისტეს ბეჭდის მიღებაში შეეწევიან ხელს შეუწყობენ და სხვა სულებსაც მისკენ მისდრეკენ? სახარებაში ნათქვამია: „და ყვნეს ყოველნივე – მცირენი და დიდნი და მდიდარნი და გლახაკნი და აზნაურნი – მონანი“. აქ იგულისხმება, რომ ცდუნებიან ისინი, ვინც წმიდა წერილს საკუთარი გონებით განმარტავენ.

მაშასადამე, „საკრედიტო ბარათების“, სრულყოფილი სისტემის და კომპიუტერული უსაფრთხოების მიღმა, მსოფლიო დიქტატურა იმალება – ანტიქრისტეს უღელი: „რაითა მიიღონ ბეჭედი ხელსა მათსა მარჯუენასა ზედა, ანუ შუბლსა ზედა მისთა და რაითა არავის ხელეწიფებოდეს სყიდად, ანუ განსყიდად, გარნა რომელთა აქუნდეს ბეჭედი სახელისა მხეცისაი მის, ანუ რიცხვი სახელისა მისისაი. აქა არს სიბრძნე, რომელსა აქუს გონებაი, აღიპყრან რიცხვი იგი მხეცისაი, რამეთუ რიცხვი კაცისა არს რიცხვი მისი ექუსას სამეოც და ექუს“ (აპოკ.13,16-18).

თარგმნა  
**მონოზონმა ანამ (ნიაური)**



# SODOMITOBA – DANASAULI RVTISA DA ADAMIANIS BUNEBIS WINASE

იტყოდეს თავთა თვისთა ბრძენ, და განჰცოფნეს  
და ჰსცუალეს დიდებაჲ იგი უხრწნელისა ღუთისა მსგავსებად ხატისა მის  
განხრწნადისა კაცისა, და მფრინველთა და ოთხფეხთა და ქვეწარმავალთა  
ამისთვის მიჰსცნა იგინი ღმერთმან გულისთქმასა გულთა მათთასა არაწმიდე-  
ბად და გინებად ხორცთა მათთა თანა

რომელთა იგი გარდაჰსცვალეს ჭეშმარიტება ღუთისა სიცრუედ, და პატივჰსცემ-  
დეს და ჰმსახურებდეს დაბადებულთა უფროს დაბადებელისა, რომელი იგი არს  
კურთხეულ უკუნისამდე ამინ

ამისთვის მიჰსცნა იგინი ღმერთმან ვნებასა მას გინებისასა, რამეთუ დედათა  
მათთა გარდაჰსცვალეს ბუნებისა იგი წესი არა ბუნებად

ეგრეცა მამათა მათთა დაუტევეს ბუნებისა იგი წესი დედათა, განხურდეს გუ-  
ლისთქმითა მათითა, ურთიერთარს მამანი მამათათანა სარცხვინელსა იქმოდის,  
და კუალად საგებელი იგი რომელ ჯერ-არს საცთურისა მათისა ურთიერთარს  
მიიღიან

და ვითარცა არა გამოიცადეს ღმერთი რათამცა აქუნდა მეცნიერებით მიჰსცნა  
იგინი ღმერთმან გამოუცდელსა მას გონებასა საქმედ უჯეროდსა

აღსავსენი ყოვლითა სიცრუითა, სიძვითა უკეთურებითა, ანგარებითა, ბოროტე-  
ბითა, საესე შურითა კაცის-კლვითა, ხდომითა, ზაკვითა, ბოროტის ჩვეულებითა,  
ცუნდრუკებითა ძვირისმეტყუელ

ღუთის შემაწუხებელ, მაგინებელ ამპარტავან, ლად, მომპოვებელ ბოროტისა, მა-  
მა-დედათა ურჩ

უგულისხმო უწესო, უყვარულ, უწირავ უწყალო

რომელთა სამართალი ღუთისა იცოდეს, რამეთუ ესევეითარისა მოქმედნი ღირს  
არიან სიკუდილისა არცა ხოლო ამას იქმან არამედ თვითცა სათნო-ყოფიან მო-  
ქმედთა მათ. **ჰრომაელთა მიმართ ეპისტოლე წმიდისა მოციქულისა პავლესი 1,23-33**

ღუთისა და ადამიანის ბუნების წინაშე უმძიმესი დანაშაულის, სექსუალური რევი-  
ოლუციის ერთ-ერთი საშინელი შედეგია სოლომიტობის ფართოდ გავრცელება.

დოქტორ ალფერ კინსკის მოხსენებ-  
ის მონაცემებით, 1948 წელს, 16-55 წლის  
ამერიკელი მამაკაცებისა და ქალების 10  
პროცენტი ჰომოსექსუალი ან ლესბოსელი  
იყო.

სექსუალური რევიოლუციის და სოლო-  
მიტობის ფართო პროპაგანდის შემდეგ  
გეიებისა და ლესბოსელების წილი 2-3-  
ჯერ გაიზარდა და მოზრდილი მოსახ-  
ლეობის 25-30 პროცენტს მიაღწია. აშშ-ში,  
ინგლისში, გერმანიასა და დასავლეთის  
სხვა ქვეყნებში სოლომიტობა არა მარტო

ლეგალიზებულია, არამედ შეღავათებითაც  
სარგებლობს. ამ ქვეყნების კანონებით,  
სოლომიტებს აქვთ დაქორწინების, ბავშ-  
ვების აღსაზრდელად აყვანის, საბავშვო  
დაწესებულებებსა და სკოლებში მასწავ-  
ლებლობის უფლება. პრაქტიკულად, ყვე-  
ლა ამ ქვეყანაში სოლომიტები მთავრობის  
წევრები არიან.

სოლომიტობა იუდაისტურ-თაღმუდის-  
ტური კულტურის განუყოფელი ნაწილია  
და ყოველთვის ჰქონდა მეტროპოლი ანტი-  
ქრისტიანული ხასიათი.

ბიბლიაში (დაბად. თავი 19) მოთხრო-  
ბილია ქალაქების – სოლომისა და გო-  
მორის შესახებ, რომლის მცხოვრებლე-  
ბი ჰომოსექსუალები და პედოფილები

იყვნენ. სოღომელების დანაშაულებრივი ქმედებების მთელი სიმძიმე მათი სქესობრივი გრძნობების არანორმალურობიდან და გაუკუღმართებიდან წარმოდგებოდა, რითაც იშვა ბუნების საწინააღმდეგო მანკიერებანი და რასაც მოგვიანებით, ამ ქალაქის სახელის მიხედვით, „სოღომური ცოდვა“ ეწოდა. ძველ ებრაელებში და „განსაკუთრებით, უზნეო ქალაქის ბინადარ სოღომელებს შორის, ამ საძაგელი დანაშაულის ფართო პრაქტიკაზე ბიბლიის მთელი რიგი ადგილები მოწმობენ.

სოღომიტობა ქრისტიანულ ეთიკაში განიხილებოდა, როგორც საშინელი, მომაკვდინებელი ცოდვა, დანაშაული ღვთისა და ადამიანის ბუნების წინააღმდეგ. მხილებულ სოღომიტებს საშინელი მოკვდინებით სჯიდნენ, მაგალითად, XV-XVI საუკუნეების გერმანიაში ღესბოსელებსა და ჰომოსექსუალებს მხეცებს მიუგდებდნენ შესაჭმელად ან კოცონზე წვაგდნენ. XX საუკუნემდე ქრისტიანული სახელმწიფოების კანონები ჰომოსექსუალობისათვის სასჯელს ითვალისწინებდა.

სოღომიტური მოძრაობა და „ებრაული ემანსიპაცია“ ყოველთვის ერთმანეთის მხარდამხარ მიდიოდნენ, საერთო ბელადების მეთაურობით. თვით სოღომიტები, თავიანთი ბრძოლის დასაწყისს XIX საუკუნის ბოლოდან ითვლიან. 1997 წელს სან-ფრანცისკოში, სოღომიტების ერთგვარ მსოფლიო დედაქალაქში, ასი წლისთავის ზეიმი გაიმართა „სექსუალური გათავისუფლებისათვის“ ბრძოლის დაწყებიდან.

ამ „ზეიმისათვის“ სოღომიტობის ისტორიისადმი მიძღვნილი მრავალნაირი ლიტერატურა და ბუკლეტი გამოიცა. მათი მიხედვით, სოღომიტური მოძრაობის სათავეებთან იუდაისტურ-თაღმუდისტური კულტურის ორი ცნობილი მოღვაწე დგას – ზიგმუნდ ფროიდი და მიგნუს ჰირშფელდი.

ფროიდი, მსოფლიო იუდაიზმის კერპი, მართლმორწმუნე იუდეველი და ებრაელთა მისტიკურ-რელიგიური მოძღვრების – კაბალისტის განსაკუთრებული თაყვანისმცემელი იყო, აგრეთვე მასონური ლოჟის – „ბრაინ-ბრიტისა“ და სიონის-

ტური ორგანიზაციის წევრი. ფროიდის მეცნიერული შეხედულებები წარმოადგენდა კაბალისტის იდეების განვითარებას ფსიქოლოგიის სფეროში. კაბალისტური მოძღვრებით, ნეტარება ცხოვრების არა მხოლოდ ძირითადი კატეგორიაა, არამედ მიზანიც არის. ნეტარების ენერგია ყოველივე არსებობის ხორცშესხმას წარმოადგენს. ქრისტიანობის პოზიციისათვის ამ მკრეხელურ მოსაზრებებს, ფროიდი თავის ფსიქოანალიზის თეორიაში ავითარებდა და აღნიშნავდა, რომ: ადამიანი ცხოვრობს ნეტარების პრინციპით, ისწრაფვის, დაიკმაყოფილოს თავისი სურვილები, პირველ რიგში – სექსუალური; მისი აზრით, კაცობრიობის მთელი კულტურა წარმოადგენს სექსუალური სურვილების, ადამიანური „ლიბიდოს“ დაუკმაყოფილებლობის სუბლიმაციას. თუკი ადამიანი ვერ იკმაყოფილებს თავის სურვილებს, მაშინ იგი ხვდება გაუცნობიერებელ სფეროში და იწყება მისი შინაგანი ტრავმირება. ამ ტრავმირებისაგან თავის დაღწევა მხოლოდ ფსიქოანალიზის დახმარებით შეიძლება. შემდეგ ფროიდი აკეთებს სოღომიტებისათვის საგულისხმო დასკვნას, რაც კაბალისტის განვითარებას წარმოადგენს – ადამიანი თავისი საწყისით ბისექსუალურია და ნებისმიერი მისი ახირება, სექსის სფეროში, ყოველად ბუნებრივია. ფროიდის აზრით, ყოველგვარი აკრძალვა ამ სფეროში რელიგიურ (იგულისხმება: ქრისტიანულ) ცრურწმენას წარმოადგენს.

ის, რასაც ფროიდი თეორიულად ასაბუთებდა, ჰირშფელდმა პრაქტიკულად განახორციელა. 1896 წელს ჰირშფელდმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით – „საფო და სოკრატე“, რომელშიც ამტკიცებდა, რომ სოღომიტობა სრულიად ნორმალური მოვლენაა და საზოგადოებამ იგი არ უნდა გააკცხოს. 1897 წელს მდიდარი ებრაელების ფულით მან დააფუძნა „სამეცნიერო ჰუმანიტარული ფონდი“ – მსოფლიოში პირველი ლეგალურად არსებული სოღომიტების კავშირი, რომელმაც დაიწყო ჰომოსექსუალიზმის აქტიური პროპაგანდა და ხმაურიანი კამპანია წამოიწყო პრუსიული კანონის გასაუქმებლად, რომელიც

მამაკაცებს შორის ჰომოსექსუალურ კავშირს კრძალავდა.

1903-1922 წლებში ჰირშფელდის სოლომიტური კავშირი უშეგებდა მსოფლიოში პირველ აღმანახს გეიებისა და ლესბოსელებისათვის – „ყოველწლიური მიმოხილვა გაურკვეველი სქესობრივი ორიენტაციის ადამიანებისათვის“. ჰირშფელდმა მოახერხა, მოეპოვებინა მაღალჩინოსანი ჰომოსექსუალების მხარდაჭერა ვილჰელმ მეორის გარემოცვიდან. ციხეებიდან გამოუშვეს ათასობით დამნაშავე სოლომიტი. 1907 წელს აგორდა დიდი პოლიტიკური სკანდალი – მოლტკე-ჰარდეჰემენბერგის საქმე, რომლის პროცესში გერმანიის საზოგადოებამ გაიგო, რომ ებრაელი ბელადების კალთას ამოფარებულ სოლომიტებს ძლიერი მხარდაჭერა აქვთ მთავრობაში.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ორგანიზებული სოლომიტური მოძრაობა კიდევ ერთი დაწესებულებით შეივსო: „სამეცნიერო ჰუმანიტარულ ფონდთან“ ერთად „მუშაობა“ დაიწყო „სექსუალურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა“ იმავე ჰირშფელდის მოღვაწეობით. ინსტიტუტი სოლომიტური გარყვნილების ცენტრად იქცა, არა მარტო მთელი გერმანიისათვის, არამედ სხვა ქვეყნებისათვისაც. 1919 წელს მისი ეგიდით გამოდის ფილმი, რომელიც ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას წარმოადგენს. გერმანიაში, ინგლისსა და აშშ-ში ჩნდება ათასობით სოლომიტური ორგანიზაცია, თავისი ჟურნალ-გაზეთებით, კრებულებითა და თვით გართობისთვის განკუთვნილი სასტუმროებითაც კი.

1919 წელს გერმანელმა ებრაელმა ა. ბრენტმა დაიწყო გამოცემა გაზეთისა „ეგენი“, რომელიც იყო „მამაკაცური კულტურის, მეგობრობისა და თავისუფლების“ ორგანო. 1921 წ. მანვე, ვინმე ე. ფასბინდელთან ერთად, გამოსცა გაზეთი „მეგობრობა და თავისუფლება (ბურჟუაზიული მორალის წინააღმდეგ)“ (1921). 1924 წლიდან გაზეთი გამოდიოდა სახელწოდებით „მეგობრობა“ და თავი გამოაცხადა ყველა გეისა და ლესბოსელის ორგანოდ.

აშშ-ში სოლომიტებმა ჩამოაყალიბეს თა-

ვიანთი კავშირი ჩიკაგოში, საფრანგეთში – პარიზში, ინგლისში – ლონდონსა და მანჩესტერში. იქმნება სოლომიტების საერთო მსოფლიო ორგანიზაცია – „სექსუალური რეფორმების მსოფლიო ლიგა“...

სოლომიტების თარეში და დანაშაულობანი მრავალ ქვეყანაში დიდ აღშფოთებას იწვევდა. არაერთი მაგალითია იმისა, როცა აღშფოთებული ნორმალური ადამიანები სცემდნენ დამნაშავეებს, არბევდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ მათი კავშირებისა და რედაქციების ოფისებს. 1920 წელს, მაგალითად, განრისხებულმა მოქალაქეებმა დაშალეს მიუნჰენის ცენტრში სოლომიტების მიერ მოწყობილი მიტინგი, თვით ჰირშფელდი კი გვარიანად სცემეს. 1933 წლიდან გერმანიაში კვლავ აღდგა კანონი ჰომოსექსუალების წინააღმდეგ, ბევრი სოლომიტი კვლავ ციხეებში ჩასვეს, მათი „უწყინარი“ ლიტერატურა კი დაწვეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოლომიტურმა მოძრაობამ ისევ მოიკრიბა ძალა. „სექსუალური თანასწორობის საერთაშორისო კომიტეტის“ ეგიდით, ტარდება სოლომიტთა მსოფლიო კონგრესები.

მაგალითად, 1952 წლის 29 აგვისტო – 2 სექტემბერს მაინის ფრანკფურტში გაიმართა სექსუალური თანასწორობისთვის მებრძოლთა მე-2 კონგრესი. ეს იყო ბოლო თავყრილობა, რომელზეც გერმანელი სოლომიტები ლიდერობდნენ. 50-60-იან წლებში სექსუალურ დამნაშავეთა ცენტრმა აშშ-ში გადაინაცვლა, ამერიკელი ჰომოსექსუალების – ა. კინსის, ი. ვერესის, დ. არგოს, ი. ვიზენბახის, რ. ვიზენჟაგენის სახელები ყველას ესმის და აშშ-ის უმსხვილესი, მილიონიანი ტირაჟის ჟურნალ-გაზეთები ვრცელდება. ნიუ-იორკში არსდება „სექსუალურ უმცირესობათა განვითარების ფრონტი“, რომელიც სექსუალური რეოლუციის მთავარ შტაბად იქცა სოლომიტობის პროპაგანდისა და დანერგვის საკითხებში. სოლომიტების აქციები აშკარად მებრძოლ ხასიათს იძენდა. მაგალითად, 1969 წლის ზაფხულში ნიუ-იორკის კაფე „სტოუნუოლ ინში“ გეიებმა და ლესბოსელებმა მოაწყვეს „ჯანყი“



### ქრისტეს მხედრობა ზნეობის სადარაჯოზე

პოლიციელებისა და ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც მათ მიმართ ილაშქრებდა, დამნაშავეები სცემდნენ პოლიციელებს, ცეცხლს უკიდებდნენ სახლებს. „აჯანყებაში“ მონაწილეობდა 2 ათასზე მეტი სოლომიტი ნიუ-იორკიდან და მისი გარეუბნიდან. ამ დროს სოლომიტები თავიანთ პირობებს კარნახობდნენ ხელისუფლებას. გეიებმა და ლესბოსელებმა არა მარტო მიიღეს ყველა იურიდიული უფლება, რაზეც ზემოთ ვამბობდი, ამერიკულმა კანონმდებლობამ აკრძალა არათუ სოლომიტების წინააღმდეგ მოქმედება, არამედ მათი საქმიანობის წინააღმდეგ პროტესტის გამოთქმაც კი.

სოლომიტობა ამერიკის დიდი ნაწილის ცხოვრების წესად იქცა. დღეს მისი სიმბოლოა ებრაელი მსახიობი, ლესბოსელი მადონა (ნამდვილი გვარ-სახელი – ლ. ჩიკონე). ძნელია წააწყდე სისაძაგლის, უგემოვნებისა და დემონსტრაციული თავაშუებულობის ამგვარ ნაზავს, რითაც მან გაიკეთა კარიერა. მოელი ამერიკის წინაშე ეს სოლომიტი გამუდმებით დასცინის ქრისტიანულ ეკლესიას, უსაძაგლესად

მკრეხელობს ქრისტიანული სიმბოლოების მიმართ.

80-90-იან წლებში სოლომიტური „ქორწინებანი“ ამერიკაში მოღადა იქცა. ათასობით გეი და ლესბოსელი კანონიერად შედის „ერთსქესოვან ქორწინებაში“, ზოგიერთ შტატში მათ უპირატესობაც აქვთ, ბავშვების შვილად აყვანის დროს.

სოლომიტმა ლიდერებმა მოითხოვეს, რომ მათი „ჯვრისწერა“ სორციელდებოდეს ეკლესიის მიერ. ქრისტიან მღვდელმსახურთა გაუბედავი პროტესტები სწრაფად იქნა ჩახშობილი ხელისუფალთა დახმარებით.

სოლომიტების მოთხოვნებს პირველნი იუდეველები გამოეხმაურნენ. რეფორმატორული სინაგოგები ყოველგვარი ფორმალობის გარეშე ასრულებდნენ პომოსექსუალებისა და ლესბოსელების ქორწინების წესს. ზოგიერთი მოყოყმანე რაბინის ეჭვების გასაფანტად, ფილადელფიაში ჩატარდა რეფორმატორული სინაგოგების რაბინთა ცენტრალური კონფერენცია – სულ 1750 რაბინმა ოფიციალურად

მოიწონა სოლომიტური ქორწინებანი. „კონფერენციის გადაწყვეტილება სავალდებულო ხასიათისაა“, – განაცხადა ვისტიფილდის (ნიუ-ჯერსი) სინაგოგის რაბინმა ა. კროლოვმა.

სოლომიტობა ასევე მოიწონა აშშ-ის ბევრმა პროტესტანტულმა ეკლესიამ, კერძოდ: ლუთერანულმა, კალვინისტურმა, ევანგელისტურმა, აგრეთვე ეპისკოპალურმა ეკლესიამ, უნიტებმა და მეთოდისტებმა.

1997 წლის ზაფხულში მთელი მსოფლიოს სოლომიტებმა ორგანიზებული სოლომიტური მოძრაობის ასი წლისთავი აღნიშნეს, რომელიც „ქრისტიანულ ცრურწმენებზე გამარჯვებით დაგვირგვინდა.“ თითქმის 4 თვის განმავლობაში სოლომიტები მასობრივ ღონისძიებებს ატარებდნენ სან-ფრანცისკოს მთავარ ქუჩაში, რომლებიც მორთული იყო გეიებისა და ლესბოსელების დროშებით – „ცისარტყელებით“.

სოლომიტური „ზეიმები“ მოეწყო საკონცერტო დარბაზებში, კულტურის ცენტრებში, ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში.

ზეიმების „კულტურული პროგრამა“ განახორციელეს და დააფინანსეს სოლომიტურმა და ცალკეულმა ებრაულმა ორგანიზაციებმა – სან-ფრანცისკოს ჰომოსექსუალებისა და ლესბიანელების ცენტრმა, გოეთეს ინსტიტუტმა, ჰავეი მილკის ინსტიტუტმა, ჩრდილოეთ კალიფორნიის ფოლკლორის ცენტრმა, ებრაული ფესტივალების მოწყობის კომიტეტმა.

„კულტურულ პროგრამაში“, კერძოდ, შედიოდა:

- ლექციების ციკლი ჰომოსექსუალიზმისა და ლესბიანობის ისტორიისა და პრაქტიკის შესახებ, გოეთეს ინსტიტუტის ბიბლიოთეკისა და ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკაში.

- გეიებისა და ლესბოსელების გუნდების კონცერტები, კალიფორნიის მასონური ტემპლის დიდ დარბაზში;

- გეიებისა და ლესბოსელების ცხოვრების შესახებ კლასიკური ფილმების ჩვენება ქალაქის კინოთეატრებში;

- სოლომიტური ფილმების საკონკურსო ფესტივალების ჩატარება სოლომიტების

მთავარ კინოთეატრში, კასტროს რაიონში;

- მაგნუს ჰირშფელდის სახელობის სექსოლოგიის მუზეუმის გახსნა.

სოლომიტური ზეიმების კულმინაციად იქცა დიდი გეიპარადი სოლომიტების საერთაშორისო დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებში. ეს იყო ნამდვილად სატანისტური სანახაობა, რომლის სახეები თითქოს გოიას ფანტასმაგორიული კაპრიჩიოდან ჩამოვიდნენ.

სან-ფრანცისკოში გეიპარადები თუმცა ყოველწლიურად ტარდება (1970 წლიდან ეს 27-ე იყო), ქალაქის მცხოვრებნი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ასეთი რამ მათ არასოდეს უნახავთ. ოფიციალური მონაცემებით, სოლომიტურ ღრეობაში მონაწილეობდა 500 ათასიდან 700 ათასამდე ადამიანი 10 საათიდან 18 საათამდე. ქალაქის ცენტრის ახლომდებარე ქუჩები სავსე იყო სოლომიტებითა და მათი თანამგზობებით; ყველგან საქმიანად ფუსფუსებდნენ გეიები და ლესბიანელები, ამზადებდნენ ტექნიკას, ტრანსპარანტებს, დროშებს, სატანისტურ და სოლომიტურ სიმბოლოებსა და ნიშნებს; უპირველესად, თვალშისაცემი იყო მასობრიობა და ორგანიზებულობა, რისთვისაც დიდი ფული – ათობით მილიონი დოლარი იქნა გაღებული.

მასშტაბური გეიპარადი პირადად სან-ფრანცისკოს მერმა, ვილი ბრაუნმა გახსნა. სოლომიტებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს აშშ-ის მთავრობისა და კონგრესის წარმომადგენლებმა. მღელვარე სიტყვებით გამოვიდა აშშ-ის კონგრესის წევრი, ლესბიანელი ქალბატონი ს. სოკორნერი.

პარადი გახსნა წელამდე გაშიშვლებულმა 200-მა წყვილმა მოტოციკლისტმა. მათ მკერდი მყვირალა ფერებით ჰქონდათ შეღებილი, ზოგიერთს კი მუცელზე ეხატა სატანისტური ნიშნები. ლესბოსელები მიდიოდნენ ნელა, იძახდნენ თავიანთ ლოზუნგებს, ყოველი მოტოციკლის უკან მჯდომი ლესბიანელი კი მუჭა-მუჭა ყრიდა ხალხში პრეზერვატივებს და სოლომიტურ ფურცლებს.

ლესბიანელი მოტოციკლისტების კვალ

დაკვალ მოდიოდა ჰომოსექსუალების ასევე მოტორიზებული ასობით წყვილი, ისინიც დახატულ-შედებილნი იყვნენ, განსაკუთრებით მამრობითი სქესის „მეგობრები“. მოტორიზებულ ლესბოსელებს და ჰომოსექსუალებს ველოსიპედით მოჰყვებოდა სოლომიტების კოლონა.

ავტომობილების რამდენიმე პლატფორმით ჩაიარეს ჰომოსექსუალთა სპორტული კლუბების წევრებმა, რომლებიც, 20-იანი წლების საბჭოთა კომკავშირლების მსგავსად, სპორტულ ვარჯიშებს ასრულებდნენ და ლოზუნგებს გაიძახოდნენ.

დაუსრულებლად უკრავდა ხმამაღლა მუსიკა, ისმოდა სიმღერები სოლომიტური ორკესტრებისა და გუნდების შესრულებით.

მოტოციკლებისა და ავტომობილების შემდეგ, ქუჩაში დაიძრა ქვეითი სოლომიტებისა და სხვა უმსგავსოთა მწკრივად დაწყობილი უსასრულო კოლონა.

ჯვრების რახარუხით და შოლტების ტკაცუნით ჩაიარეს სახემოქუფრულმა მაზოხისტებმა და სადომაზოხისტებმა. მათ რამდენიმე ათეული მოტოციკლით მოჰყვებოდნენ ზოოფილები – მამაკაცები და ქალები, მოტოციკლის სავარძელში ყოველ მათგანს ესვა მისი საყვარელი ცხოველი, ჩვეულებრივ – ძაღლი.

შემდეგ კვლავ გამოჩნდა სოლომიტების ქვეითთა კოლონა. ცალკე ჩაიარეს აზიელი ჰომოსექსუალების კოლონებმა – იაპონელებმა, ჩინელებმა, კორეელებმა.

გეიებისა და ლესბოსელების კოლონების შემდეგ, იმ პირთა და ორგანიზაციათა კოლონები გამოჩნდნენ, რომლებიც სოლომიტებს მხარს უჭერდნენ. ჩაიარეს მრავალრიცხოვანმა მანქანებმა, რომლებზეც წარწერილი იყო ამერიკის სახელმწიფო, რელიგიური და კულტურული დაწესებულებების მისაღმებანი სოლომიტებისადმი. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას

ახდენდა მდიდრული ლიმუზინები, რომლითაც მაღალი სამთავრობო მოხელეები და უმსხვილესი კორპორაციების ხელმძღვანელები სარგებლობენ. ამ ლიმუზინებს შორის იყვნენ აშშ-ის მთავრობისა და კონგრესის წარმომადგენელთა მანქანები.

ცალკე კოლონებად ჩაიარეს ბისექსუალებმა და ტრანსსექსუალებმა, რომელთაც კვლავ სოლომიტთა მხარდამჭერი სხვადასხვა ორგანიზაციები მოჰყვნიენ.

ერთ-ერთ დიდ კოლონას წინ მოუძღოდა ტრანსპარანტი წარწერით: „იუდეველები გეიებისა და ლესბოსელების მხარდასაჭერად“. ისინი ასრულებდნენ ეროვნულ ცეკვებს და ყველა ებრაელს თავისთან იწვევდნენ.

ასობით პლატფორმიან მანქანაზე, მსახიობები ასრულებდნენ მუსიკალურ ნომრებს, შემდეგ კვლავ მოდიოდნენ სოლომიტთა მხარდამჭერი კოლონები – ტელევიზიის მუშაკები, ფეხბურთელები, მფრინავები და ა. შ.

დინჯად მოაბიჯებდნენ ამერიკელი „მღვდელმსახურები“. ყოველ ჯგუფს მოუძღოდა ტრანსპარანტი სოლომიტების მხარდამჭერი „ეკლესიის“ სახელწოდებით. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი გახლდათ სან-ფრანცისკოს ეპისკოპალური ეკლესიის კოლონა, რომელსაც ხელმძღვანელობს „ეპისკოპოსი“ სვინგი, ანტიქრისტეს ეკლესიის, გაერთიანებული რელიგიების ორგანიზაციის შექმნის ინიციატორი. ეპისკოპალიებს მოჰყვებოდნენ ლუთერანები, ბაპტისტები, მეთოდისტები, უნიტები, ქალაქის ეკლესია, ევანგელისტები და სხვები. ზოგიერთს ასეთი სახის მკრეხელური ლოზუნგები მოჰქონდა: „ღმერთი – გეი“, „ღმერთს ყველა თავისი შვილი უყვარს“.

ოლეგ პლატონოვი  
წიგნიდან „Почему погибнет Америка“  
თარგმნა ჯემალ შონიამ

## ვახტანგ VI



მეფე ვახტანგ VI


უკეთესნი დღენი დაუდგა საქართველოს მეფე ვახტანგ VI-ის დროს. თვით ვახტანგი იყო ღვთისმოყვარე, კეთილი, სწავლული კაცი. მან შეადგინა სჯულის კანონი, დამყარებული ქრისტიანებრივ სარწმუნოების სწავლაზე და ამან დიდად დაიფარა ხალხი გარყვნილობისაგან და მაჰმადიანთა სწავლისაგან. მეფემ აღიყვანა ქათოლიკოზის ტახტსა ზედა ხარისხნამოხდილი ქათოლიკოზი ნიკოლოზ (ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი), რომლის სიკვდილის შემდეგ ქათოლიკოზობა მისცა ძმასა თვისსა, დომენტი III-ს და მისი დახმარებით შეუდგა ეკლესიების აგებას, დანგრეულთა და გაოხრებულთა მონასტერთა განახლებას. ქრისტიანობის დასამკვიდრებლად

და სასულიერო წოდების გასამხნეებლად. შედგენილ იქმნა კრება სწავლულთა პირთაგან. ამისთანავე, პირთაგან შედგა კომისია, რომელმაც გამოიკვლია და შეადგინა ისტორია საქართველოსა, გიორგი ბრწყინვალიდამ – ვახტანგის დრომდის. მრავალნი საღმრთო და საერო წიგნნი აღბეჭდილ იქმნენ პირველად საქართველოში, ვახტანგისაგან დაარსებულ სტამბაში (ეს წიგნები არიან: სახარება, სამოციქულო, დავითნი, დაბადება, ლოცვანი, ქართლის ცხოვრება, ვეფხის-ტყაოსანი, სჯულის წიგნი და მრავალი სხვანი. ეს უკანასკნელი შემდეგში გადათარგმნილ იქმნა რუსულად და 1837 წელს დაიბეჭდა პეტერბურღში, სენატის ტიპოგრაფიაში – პ. იოსელიანი). აღბეჭდილნი სასულიერო წიგნნი იგზავნებოდნენ საქართველოს ყოველ კუთხისკენ ეკლესია-მონასტრებში სახმარებლად. ვახტანგ VI-მ დააარსა აგეთვე სასწავლებელნი, საცა ყველას ასწავლიდნენ, განურჩევლად წოდებისა და ხარისხისა: საღმრთო წერილს, ფილოსოფიასა და სხვ. ამგვარი მისის მოღვაწეობით, საქართველოს მონასტრებიდან მალე დროში სწავლა-მეცნიერება დატრიალდა მთელს საქართველოში; და ხალხი, ცოტა არ იყოს, მოსულიერდა, როგორც ზნეობის მხრით, ისე – ნივთიერის. მეფე ვახტანგმა იერუსალიმის ტაძრებსაც მიაწოდა თვისი წვლილი. მან იერუსალიმის ქართველთ ტაძრებს გაუგზავნა 2 000 თუმანი (20 000 მანეთი). კეთილთა ბერ-მონაზონთა ამისთვის მეფეს გამოუგზავნეს სასწაულთმოქმედი ოქონის ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ბოლო დრომდის ინახებოდა გაენათის ტაძარში.

სამწუხაროდ ეკლესიისა და საქართველოსა, ოსმალნი, რომელთაც ეპყრათ დასავლეთი ივერია, გადმოვიდნენ აღმოსავლეთის ნაწილშიაც, გაიმარჯვეს სპარსელებზე და აღიყვანეს ქართლის ტახტზე გამაჰმადიანებული იესე, მუსტაფა-ფაშად წოდებული. ვახტანგი კი ფრიად შეწუხებული საქართველოს უნუგეშო მდგომარეობით, რუსეთში წავიდა შემწეობის სათხოვნელად, წინააღმდეგ სპარსთა და ოსმალთა. იესემ ხელახლა გაავრცელა მაჰმადიანობა. ააგო მეჩეთები და მფარველობა დაუწყო მაჰმადიანთა. ქრისტიანთა მფარველი და უღვთო მეფე იესეს გამკიცხავნი იყვნენ ქათოლიკოზი დომენტი და დავით-გარეჯის უღაბნოს წინამძღვარი იოანე სააკაძე.

თუმცა სრულიად საქართველოს ჯერ-ჯერობით ოსმალნი ჰფლობდნენ, მაგრამ სპარსელთ ფიქრადაც არ მოსდიოდათ, მათთვის დაეთმოთ ეს ქვეყანა. იგინი ხშირად ეცემოდნენ საქართველოს, აოხრებდნენ ეკლესიებს და ატყვევებდნენ ქრისტიანებს. ამასობაში, ოსმალნიც განდევნეს ამერეთიდან, მაგრამ მალე (1723 წ.) ოსმალთა დიდი ჯარი წამოედგა სპარსელთა, დაამარცხა და განდევნა ისინი, გამოაცხადა თვისი მფარველობა ამერეთზე და მას განუჩინა მმართველად ფაშა, რომლის სატახტო ქალაქად გახდა თბილისი. სპარსელნი ხელახლა წამოედანენ ოსმალებს – „წაიკიდნენ დევები და შუაში კოზაკი გაჭყლიტესო“ – რომ იტყვიან, სწორეთ ისრე მოუვიდა საქართველოს; რომლის ნიადაგზე ბრძოლამ, ამ ორთა ხალხთა შორის, ქვეყანა სრულიად გააოხრა, ზნეობით დასცა და გააღარიბა. მძღაგრნი ოსმალნი ხარჯს გარდა კიდევ სხვაფრივაც ჰყვლეფავდნენ არა თუ ხალხსა – თვით ეკლესიებსაც, მონასტრებს და ეპისკოპოსთაც. იმერეთის ხალხისაგან ყოველწლივ, ფულს გარდა, იღებდნენ ხარჯად

(გადასახადი – რედ.) რამდენიმე ყრმასა და ქალსა; ამერეთზედაც გააწერეს ეს სამარცხვინო ხარჯი. ზოგიერთი იმერეთის წარჩინებულნი იმდენად ზნეობადაცემულნი იყვნენ, რომ ქრისტიანეთა ჰყიდდნენ ოსმალთ ბაზრებში. ამერეთის ქათოლიკოზი დომენტი III ცხადლივ ჰკიცხავდა ოსმალთა. მაგრამ იგინი არას უგონებდნენ; მაშინ დომენტი ქათოლიკოზი ვაჟკაცურად წარსდგა სტამბოლის კარზედ სულტანის წინაშე, რათა



მეფე ვახტანგ VI-ის ხელნაწერი

აღხადოს საქართველოს მწარე ესე სასმელი. ხოლო თბილისის ფაშის დაბეზღებით, დომენტისა არა თუ შეუსმინეს, არამედ ქათოლიკოზი დამწყვდეულ იქმნა საბერძნეთის ერთ კუნძულზე. მცხეთის ტახტზე მექრთამეობით აღვიდა კირილე. ამისთანა უნუგეშო მდგომარეობაში იყო ივერია და, მაშასადამე. ქრისტიანობაც, ქვეყანას ეჭირვებოდა მშველელი...

„საქართველოს საეკლესიო ისტორია“ ტფილისი 1886 წ.



# SAQARTVELOS MOQCEVA AWARIDAN DAIWYO

„ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ვიმყოფებით საქართველოს იმ წმიდა ადგილზე, სადაც პირველად დაირწა აკვანი ქრისტიანობისა, სადაც ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა პირველად იქადაგეს სახარება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“.

მსოფლიოში მიმდინარე მუსულმანიზაციის პროცესის ფონზე, როდესაც ქრისტიანთა შევიწროება მთელ ახლო აღმოსავლეთში ფიზიკურად მიმდინარეობს, ხოლო ევროპაში ქრისტიანულ ფასეულობათა არნახული დევნულებაა, უადრესად საგულისხმოა უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს პირველქრისტიანულ მიწაზე, აჭარაში, საყოველთაო ნათლობის აღსრულება, სადაც 3000-მდე ადამიანი მართლმადიდებლად მოინათლა. ეს არის ცხადი შეწვევა წმიდა ანდრია პირველწოდებულისა საქართველოზე, ეს არის ღვთისმშობლის მოხედვა თავის წილხვედრ ივერიაზე – საქართველოზე, სადაც ყოველადწმიდა დედამ ღვთისამ კვლავაც წარმოგზავნა და უხილავად შემოვიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული...

„ეს არის საუკუნის მოვლენა! გამოუთქმელი სიყვარული ხალხისა, – აღნიშნა თავის სატელევიზიო გამოსვლაში მეუფე ანანიამ, – სჯულის კიდობანთან რომ სიყვარულით მოედინებოდა ხალხი. ისე მოდიოდნენ ადამიანები და ფეხით ეშვებოდნენ მთებიდან, ხალხის სიყვარულით გაოცებული ვარ. ეს დიდი საქმის დაწყებას მოასწავებს, რომელიც დაიწყო მოციქულმა ანდრიამ; წმიდა ნინოც აქედან იწყებს ქადაგებას, კლარჯეთიდან, რომელიც დიდი აჭარის ერთი ნაწილია. ეს იყო მადლი ღვთისა.“

ბედნიერია ჩვენი თაობა, რომელიც ილია II-ის ეპოქას მოესწრო. ამ საუკუნეს ილია II-ის ეპოქა დაერქმევა. ეს იყო ერის გაერთიანება სულიერად და სარწმუნოებრივად. ეს არის წმიდა ანდრიას, წმიდა ნინოს დაწყებული საქმე...

საამაყო, რომ აჭარიდან დაიწყო მოქცევა საქართველოსი“.

რედაქცია

## ILIA WAWVAZE


### OSMALOS SAQARTVELO

ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძვე, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენი ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის დვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე

ჭირსა და ლხინში გამოტარებული – ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, – მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იღუმალი შემსჭვალება, იღუმალი მიმზიდველობა, იმოდენად სუფევს, რომ საყოფია ხოლმე ერთი რამე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.

„ივერიის“ წარსულ ნომერში მოხსენ-

ებუღს ნაწილებს ოსმალს საქართველო-სას დიდი პატივსაცემი და სახელოვანი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ერის ისტორიაში, დიდი შრომა გაუწევია, დიდი მსხვერპლი მოუტანია, მრავალი სისხლი დაუთხევია ჩვენთან ერთად საქართველოს ერის თვი-



წმიდა მოციქული ანდრია პირველწოდებული

თარსებობისათვის. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვართ ერთი სისხლისა და ხორცისანი, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაცა გვქონია. ოდეს ბიზანტია, სპარსეთი და ოსმალთ ამ ჩვენს მშვენიერ ქვეყანას ეტანებოდნენ და ურთიერთს ეცილებოდნენ, მაშინ ის საქართველოს ნაწილი, რომელიც დღეს ოსმალთს ხელშია, მედგრად იბრძოდა ჩვენის სარწმუნოების, განათლების, ერთ-მთავრობის დადგინების

სათვის და მათდა და ჩვენდა სასახელოდ, ძღვევითაც მოსილ იქმნა.

საკვირველს მედიდურს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში, როდესაც საქართველო დაყოფილი იყო წვრილ სამთავროებად და ერთი ნაწილი სპარსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მეორე ჯერ ბიზანტიისა და მერმე ოსმალთს ზემოქმედების ქვეშ, ზემო ქართლი, რომელსაც ესლა ოსმალთს საქართველოს ვუწოდებთ, ხან ერთს ნაწილს მიემხრობოდა, ხან მეორეს, და თვისის მომხრეობით განაძლიერებდა ქართველებს თვითარსებობის დასაცველად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭირა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა.

პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპთ-მსახურება სუფევდა. ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში ადერკი მეფეს (60 წ.) უნდოდა კერპთთაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისთვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს, მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით, უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა, ჯერ ისევ წმიდა ნინოს მოსვლამდე.

როდესაც ბიზანტიის და სპარსეთის შუა ატყდა ბრძოლა „ლაზიკის“ თაობაზედ, მაშინ ესლანდელი ოსმალთს საქართველო დიდ საისტორიო ასპარეზად შეიქმნა მათთა შორის. სპარსეთი ძღვეულ იქმნა და იგი ნაწილი საქართველოსი დარჩა ბიზანტიის უფლების ქვეშ. შემდეგ ქართლ-კახეთთან შეერთების სურვილმა აღმოიჩინა თავი, მაგრამ ბიზანტიამ დაუშალა და მისცა მხოლოდ უფლება ქართველი კათალიკოზი იყოლიონ, „რათა დასხდებოდენ კათალიკოზად ნათესავნი ქართველნი და არა ბერძენნი, და აქვანდეს უადრესობა ყოველთა ეკლესიათა და მღვდელთმთავართა ზედა“. ეს მოხდა 586 წ. ქრისტეს შობიდან. ამგვარად მთელის საქართველოს ერთობის წადილს ცოტად თუ ბევრად კმაყოფილება მიეცა,

სულიერად მაინც, თუ არა – ხორციელად. მეექვსე საუკუნის დასასრულს კლარჯეთის და ჯავახეთის მთავარი გურამ კურაპალატი, ბაგრატიონის გვარის კაცი, ბიზანტიის შემწეობით შეიქმნა მეფედ ქართლ-კახეთისაცა და ამგვარად დიდი




სხალთის ტაძარი  
XIII ს.

ნაწილი საქართველოსი შეერთდა საქართველოსვე, ეხლანდელის ოსმალის საქართველოს შემწეობითა. თუმცა, ამის შემდეგ ისევ დაირღვა საქართველო ნაწილებად, მაგრამ არტანუჯის ბაგრატიონთა გვარი გაძლიერდა და ამას მოჰყვა მთელის საქართველოსათვის ნაყოფიერი და საკეთილო შედეგი.

როდესაც არაბები საქართველოში შემოვიდნენ და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ეხლანდელი ოსმალეთის საქართველო ქრისტიანობისთვის იღწვოდა, ბაგრატიონების მეთაურობითა და წინამძღოლობითა. ეხლაც დარჩენილია მრავალი დიდმშენიერი თლილის ქვით ამოყვანილი და მხატვრობით შემკული ეკლესიები, იმ დროს აღშენებული. იმავე დროს სამცხე-კლარჯეთის ქართველნი მიდიოდნენ საბერძნეთს სწავლის მისაღებად, ნასწავლნი მოდიოდნენ უკანვე და ჰყენდნენ სწავ-

ლასა საქართველოს ხალხთა შორის. იმ დროს, როდესაც ტფილისსა და გარშემო ადგილებში მაჰმადიანობის გავრცელებას მეცადინეობდნენ, თავისი არაბულის წიგნების შუამავლობითა, სამცხე-კლარჯეთის ქართველნი საღმრთო და საერო წიგნებს ქრისტიანობისას ჰსთარგმნიდნენ და ქრისტიანობის განმტკიცებისათვის აწესებდნენ მონასტრებსა, რომლებშიაც ყმაწვილებისათვის სასწავლებლო მართავდნენ.

უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენნი, ეხლანდელის ოსმალის საქართველოს შეილნი და მცხოვრებნი იყვნენ. ჩვენი სასიქადულო „ვეფხისტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი, იმ მხრის კაცი იყო. რუსთავის დაბა, რომელსაც თავის სამშობლოდ იხსენიებს რუსთაველი, სამცხე-საათაბაგოშია. ჩვენი ყოფილი ცხოვრება აქ აღყვავე-



სულ. სხალთა

ბულა; ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას აქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა; თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამებებული სიყვარული, თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს.

ბოლოს ბაგრატიონთა გვარის კაცი, მეფე ბაგრატ III გაძლიერდა იმოდენად, რომ 1014 წ. შეაერთა სრულიად საქართველო და ჩვენი ქვეყანა შეიქმნა ძლიერ და სახელოვან. ესლანდელმა ოსმალოს საქართველომ იმ შეერთებისათვის დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს ქვეყანასა, დიდი სისხლი დაანთხია, დიდი ქველობა გასწია.

თამარ მეფის შემდეგ, ე. ი. მას უამს, როდესაც ჩვენის ქვეყნის ერთობა დაირღვა, ესლანდელს ოსმალოს საქართველოში მფლობელობდა სამცხის ათაბაგი, რომელიც ახალციხეში მკვიდრობდა და იგი ადგილი წოდებულ იყო სამცხე-საათაბაგოდ. ბიზანტიის იმპერიის დაპყრობის შემდეგ, ოსმალებმა მრავალი ჭირი მიაყენეს სამცხე-საათაბაგოსა, რომლის დაპყრობასაც ძლიერ ეტანებოდნენ და ამისთვის ქრისტიანობის აღმოფხვრა უნდოდათ. მაგრამ 1625 წლამდე სამცხე-საათაბაგოს მთავრებს მტკიცედ ეპყრათ ქრისტიანობა და ყოველთვის თავგანწირულობით, თავდადებით ებრძოდნენ ოსმალოთა, ასე რომ ოსმალებმა ვერა დააკლეს რა ვერც სარწმუნოებასა, ვერც ქართველობის გვარტომობასა, თუმცა მრავალი მსხვერპლი კი შეაწირვინეს. 1625 წ. ბექამ მოწამლა თავისი ძმისწული, უკანასკნელი ათაბაგი მანუჩარ, გადაუდგა ქრისტიანობას, ქართველობას, მიიღო ორთუდიანი ფაშობა ოსმალეთისაგან სამცხე-საათაბაგოში და სახელად დაირქვა საფარ-ფაშა. ამის გამო, ბევრნი თავადაზნაურნი და გლეხნი გადმოიხვეწნენ ქართლს, ზოგიერთებს იქ დარჩენილთა მიაღებინეს მაჰმადიანობა, ზოგს ძალდატანებით, ზოგს მოტყუებით და მაცდურობით; სამღვდელონი და ეპისკოპოზნი მოსწყვიტეს, საყდრები დასძარცვეს, და ყოველი საღმრთო-საერო წიგნები ცეცხლს მისცეს. ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესოდ და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უწყალოდ დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელად მიეცა მაჰმადიანობასა.

დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათს ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან. ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იღუ-

მალად აღიარებს ქრისტიანობასაო, რომ დღესაც ათისა თუ თორმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთ მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურად ჯვარსაც იწერს, ოსმალების იღუმალად თურმე.

ეგრეთ, — მძლავრობამ, მუხთლობამ, დაღატმა, შავით მოსიღმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენი ძმები — ერთად სისხლის მღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი. დიდმა ღვაწლმა ბაგრატ მესამისამ, დავით აღმაშენებლისამ, თამარ დედოფლისამ, უქმად ჩაუარა ამოდენად ტანჯულს, ბედისაგან დევნულს, ერთობისათვის და ქრისტიანობისათვის სისხლდანთხეულსა საქართველოსა. სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავისის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც, ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელები, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი — აქ, ჩვენში, ჰპოულობდნენ მშვიდობის საყოფელს სავანესა და სინიდისის თავისუფლებასა.

არ გვაშინებს მეტქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოდ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანასა, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდის ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ღმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი. და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს, ჯერ ჩვენი სისხლი დაიდვაროს, ნუთუ ქართველი უკუ-დრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა...

„ერი და ისტორია“ 1877 წ.  
თბილისი. 1987 წ.

# ~ SESWIRET TAVI SAMSOBLO QVEYNIS SAMSAXURS~

(მღვდელმოწამე კირიონ II-ის და იმხანად მთავარეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძე) წერილი, სამთავროს მონასტრის პედაგოგ სოფიო ციციშვილისადმი)

XIX-XX საუკუნეების მწვემსთავრები: მღვდელმოწამე კირიონ II (საძაგლიშვილი) და მთავარეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე, სოფიო ციციშვილისადმი მიწერილ მომცრო წერილში, დღეისათვის უაღრესად აქტუალურ საკითხებზე საუბრობენ: ქრისტიანულ ოჯახზე, მოზარდი თაობის აღზრდაზე, ქალის როლზე, მშობლიურ ენაზე, ეკლესიისა და სკოლის მნიშვნელობაზე – იმ საკითხებზე, რომლებსთვისაც დღესაც გულისტკივილით შეგვაგონებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II.



სოფიო ციციშვილი მეუღლესთან, დავით კალანდარიშვილთან

მღვდელმთავარმა ეროვნულ-სარწმუნოებრივი მრწამსით გაჯერებული წინამდებარე წერილი, წმიდა ნინოს მცხეთის სამთავროს დედათა მონასტრის და მისი წინამძღვრის, იღუმენია ნინო ამილახვარის, დვაწლის შესხმაა, რომლის მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაარსებულმა ქალთა სკოლამ ქართული საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. იმ პერიოდში ქართულენოვანი სკოლები თითქმის არც არსებობდ-

ნენ; ხოლო უსახსრობის და უამიანობის გამო, ამ სკოლასაც დახურვა ემუქრებოდა. სწორედ ამიტომ, შემფოთებული ორი მაღალირსი საეკლესიო მოღვაწე „შეჭაღადებს და მსხვერპლშეწირვის ტოლფას“ სამსახურს სთხოვს სოფიო ციციშვილს (წერილის ადრესატს): „ვიმედოვნებთ, რომ ამაზედ მეტს ღაღადს აღარ მოგვთხოვთ, მაგ სანეტარო მსხვერპლის შეწირვისათვისო.“

სოფიო ციციშვილი, რომელსაც ორი მღვდელმთავარი (მომავალში ორივე კათოლიკოს – პატრიარქი მიმართავს თხოვნით, რათა გვერდში ამოუდგეს სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის იღუმენია ნინოს და „თავი შესწიროს სამშობლო ქვეყნის სამსახურს“, როგორც გაირკვა, სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის ქალთა სკოლის, ქართული



სოფიო ციციშვილი-კალანდარიშვილისა მეგობრებთან – მცხეთაში, სამთავროს მონასტერში მოღვაწე პედაგოგებთან ერთად

ენის მასწავლებელი იყო, და მისი მეუღლე გახლდათ ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე, დავით კალანდარიშვილი.

სოფიო ციციშვილის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში პედაგოგად მოღვაწეობის შესახებ მასალა მოვიძიე გაზეთ „მწვემსში“ (1890 წლის № 11), სადაც დასტამებულია წერილი სათაურით

„მცხეთის დედათა მონასტრის საქალბო სასწავლებელი.“ წერილში აღნიშნულია, რომ 5 ივნისს დანიშნული იყო „ეგზამენი“ მცხეთის დედათა სასწავლებელში. მონასტერი დაუთვალა იერებია ეგზარქოს, მთავარეპისკოპოს პალადს, რომელსაც ახლდნენ ეპისკოპოსები: ალექსანდრე და გრიგოლი, „სინოდალური კანტორის“ პროკურორი და სამღვდლო პირნი. დედათა მონასტრის სკოლის გამოცდას დასწრებია ეპისკოპოსი ალექსანდრე (ოქროპირიძე). როგორც გახეთი იუწყება, ყველა აღტაცებაში მოუყვანია“ მოსწავლეების ნაწერებს, ქართული ენის ცოდნას და ხელსაქმეს. გახეთი ხაზგასმით აღნიშნავს და მადლობას უძღვნის ქართული ენის მასწავლებელს, სოფიო დავითის ასულ ციციშვილს და ანა გიორგის ასულ გოლიყვას, „რომელთაც, თითქმის უსასყიდლოდ, გაუ-

ღიათ შრომა და მცირე ხნის განმავლობაში ასე კარგად მოუმზადებიათ მოსწავლენი. ეს ორივე ქალი ეპისკოპოს გრიგოლს დაუჯილდოვებია 10 თუმნით“.

„მწყემსის“ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სამთავროს მონასტრის ფოტოარქივში და ინტერნეტში გავრცელებულ ფოტომასალაში მოვიძიეთ სოფიო ციციშვილის პორტრეტები, რომლებსაც მკითხველს ვთავაზობთ.

მღვდელმოწამე კირიონის და ეპისკოპოს ლეონიდეს წინამდებარე წერილი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში (№409-410), რომელიც გადმოგვიწერა ლიტერატორმა და მთარგმნელმა, ქალბატონმა მარიამ ქსოვრელმა.

რედაქტორი

## პატივცემულო სოფიო დავითის ასულო!

ვინც ეხლანდელს ჩვენს მდგომარეობას ჩაუკვირდება და კარგად გაითვალისწინებს, იგი ცხადად დაინახავს, რომ ამისთანა გაჭირვება ბევრჯერ არ უნახავს ქართველობას. ამიტომ, ყოველი გულშემატკივარი მამულიშვილი მოვალეა ეცადოს, საკეთილდღეოდ ქვეყნისა, განამტკიცოს ქრისტეს სარწმუნოება ხალხში. ვინაიდან სარწმუნოება გვიფარავდა წარსულში და მისივე იმედი უნდა ვიქონიოთ მომავალშიცა. ამ აზრის განსახორციელებლად, ბევრი საშუალებაა, მაგრამ უმთავრესი მათგანი არის – გაუმჯობესება ოჯახისა, ქრისტიანულ საფუძველზედ მოზარდი თაობის აღზრდით; ხოლო მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა და გავლენა ეკუთვნის ქალს, რომელიც დედაობითა ყოველის ოჯახისა. ამიტომაც, უმთავრესი ჩვენი ყურადღება მიმართულია ქალების სასწავლო სკოლების გამრავლებისათვის. ესრეთი სკოლები ბევრია ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ მცხეთის დედათა მონასტრის სკოლამ დიდად ისახელა თავი და დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენს ერსა; ეგ სკოლა უფრო შეეფერება ჩვენს

ეხლანდელ გაჭირვებულ მდგომარეობასა, ვიდრე სხვა რომელიმე. რადგან სამშობლო ენაზედ სწავლა-განათლების მიღების საქმეს მანდ უფრო მეტი დრო აქვს მიკერძილი, ვიდრე სხვაგან, და უფრო ხელმისაწვდენიც არის. აგერ, ერთი საუკუნის მესამედია (1866 წ. 6 სექტემბ.), რაც ეგ სკოლა ემსახურება თავის წმიდა დანიშნულებასა და დიდი სამსახური გაუწია ქართულ ოჯახსა. ამიტომ, მცხეთის დედათა მონასტრის სახელი და ბედი ... დაუკავშირდა მაგ მშვენიერ სკოლასა, ესრეთი სახელი მაგ მონასტერს, სკოლიანად მოუპოვა დაუდალავმა და ერთგულმა დეაწლმა და ზრუნვამ დიდად პატივცემულის დედა იღუმენია ნინოსამ; მაგრამ, სამწუხაროდ და სავალალოდ, იღუმენია ნინოს ღირსეულ მოადგილეს ვედარავის ვხედავთ! ნუთუ მაგ ღირსეული დედის მზრუნველობის ქვეშ აღზრდილ ქართველ ქალთა შორის, არავინ არ მოიპოვება ქვეყნის სიყვარულით განმსჭვალული, ვინც რომ ჩვენს ქვეყანას გაუწიოს ისეთივე ფასდაუდებელი სამსახური შემდეგში, რომელსაც აგერ ყველანი ვხედავთ სასიქადულოს და სამაგალითოს

ქართველ დედათა შორის, იღუმენია ნინოს წყალობით? „ვისცა ასხენ ყურნი სმენად – ისმინენ!“

ქვეყნის კეთილდღეობისათვის თავდადებულნი და მისის სიყვარულით აღვსილნი, მოგმართავთ თქვენ: დედა იღუმენია ნინოს მიერ დათესილი ამაგი და მადლიერება-პატივისცემა მაგ მონასტრისა და სკოლისა, უქმად არ ჩაატაროთ! მანდ კარგა ხანია თქვენ ჰმოდგაწეობთ, დიდი შრომა გაქვსთ გაწეული და გვჯერა, რომ ეგ მონასტერი და სკოლა სანეტარონი და სათაყვანებულნი არიან თქვენთვის და ყველასთვის ერთნაირად. ამიტომ, ჩვენს გაჭირვებაში მყოფ ქვეყანას სრული უფლება აქვს

სახელით, ნუ დაბრკოლდებით მაგ უწმიდესის მსხვერპლის შეწირვისათვის, შესწირეთ თავი სამშობლო ქვეყნის სამსახურსა! ნუ დაზოგავთ თავსა ქვეყნის კეთილდღეობისათვის! ჩვენ გვესმის სიძნელე მაგ ღვაწლისა და სამსახურისა და კიდევ მაგ სიძნელეში აღმოიკითხება ცხადად სიდიადე და უებრობა თქვენის უწმიდესი მსხვერპლისა, რომლის შეწირვისათვის აი, ჩვენ ასე სიწირფობით და გულახდით მოგმართავთ! ნუ დაივიწყებთ, რომ არც ჩვენ ვიყავით უთვისტომონი, უადგილ-მამულონი, არც ჩვენ გვქონდა მობეზრებული ცხოვრება, მაგრამ ჩვენ ყოველივე ესე უარყვავით და დაუტევეთ ქვეყნის სამსახურის გულისათვის!



სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარი, იღუმენია ნინო ამილახვარი (უმცროსი), მის მიერ დაარსებულ კეთილშობილ ქალთა სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან

მსხვერპლი მოითხოვოს ყველასაგან, მსხვერპლი მოგთხოვთ თქვენც, მსხვერპლი უწმიდესი და დაუფასებელი – მიჰბადოთ დედა იღუმენია ნინოს და ამოუდგეთ მხარში მაგის მოხუცებულებასა და მაგათთან ერთად, ბევრს ჩვენგანსაც ცრემლიანი თვალი მოუმშრალეთ, უკეთესის მერმისის იმედი ცოტად მაინც გაუღვივოთ!

**მოგმართავთ ქრისტეს სარწმუნოების და მისთვის თავდადებულ ქართველთა**

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამაზედ მეტს ღაღადს აღარ მოგვთხოვთ, მაგ სანეტარო მსხვერპლის შეწირვისათვის და იღუმენია ნინოს შეექმნებით დასაყრდნობელ ყავარჯნად, რომელიც ეგრე დიდად ამშვენებს ღვაწლითმოსილ მოხუცებულობასა! ვიმედოვნებთ, რომ მცხეთის დედათ-დედათ მონასტერი და სკოლა თქვენში პოვიან და შეიძენენ მეორე იღუმენია ნინოსა!

ვიმედოვნებთ, რომ მაგ წმიდა მონასტრის არემარეში პირველად ქრისტიანობის დამამყარებელი წმიდა მოციქულთასწორი ქალწული ნინო შეგექმნებათ მფარველ ანგელოსად ისე, როგორც დღემდე.

მოგუწოდებთ რა სულის წმიდის მადლსა და კურთხევასა ღვთისასა, დავითებით მარად თქვენთვის მლოცველნი:

კირიონი ეპისკოპოსი ალავერდისა.

ლეონიდი ეპისკოპოსი გორისა.

ჩუქთ. წ. ოკტომბრის ლ: დღესა

ქ. ტფილისი

QARTULI ENA

„ქართლად ფრიადი ქვეყანად აღირაცხების,  
რომელსაცა შინა ქართულითა ენითა უამი შეი-  
წირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების.“

გიორგი მერჩულე

„რა ენა წარხდეს, ერი დაეცეს...“

წმიდა ილია მართალი

„ღმერთი, სამშობლო, ადამიანი.“

უწმიდესი და უნეტარესი ილია II

ქართული ენა სამშობლოს ხმაა,  
კავკასიონით ცის კამარამდე,  
საქართველოა, იბერიაა –  
ნიკოფსიითგან დარუბანდამდე.

ქართული ენა ქართლის ჰიმნია,  
მსოფლიო ხმათა მარგალიტია,  
ნატიფია და კეთილქმუნულია,  
„ოროველაა“ და „ურმულია“...

ქართული ენა ქართველურია,  
ეროვნებისა სული, გულია,  
ერის ფესვებში ჩაკვართულია,  
მშობლიური და საამური.

ქართული ენა დედა-ენაა,  
„სიტყვის კონაა“, „ანბანთქებაა“,  
ზედაშეა და აზარფეშაა,  
არტანუჯი და ტაბახმელაა.

ქართული ენა უფლის ენაა,  
დაბადება და სახარებაა,  
ათი მცნება და ნეტარებაა,  
გოლგოთაა და ამადლეებაა.

ქართული ენა პალესტინაა,  
საღმრთო ცეცხლია, საფლავის ქვაა,  
გეთსიმანია, იორდანეა,  
ივერონია, ათონის მთაა.

ქართული ენა სიყვარულია,  
აღსარება და სინანულია,  
ქრისტეს შობისა სიხარულია,  
„ალილოა“ და „ალილუია“.

ქართული ენა სიბრძნის კარია,  
ფსალმუნთქნარია, ნიაჟარია,  
მთის ჩანჩქერივით შმაგი, მარდია,  
მაცოცხლებელი დილის ნამია.

ქართული ენა ქართლის დედაა,  
ყოვლადწმიდისა „ქებათქებაა“,  
ქართლის ჭირი და ქართლის ლხენაა,  
შვიდფეროვანი ცისარტყელაა.

ქართული ენა მცხეთის გულია,  
ზენაარისა კურთხეულია,  
ვარძიაა და ანანურია...  
იასპია და იაგუნდია.

ქართული ენა ქართლის გენია,  
უზენაესი ფენომენია,  
ძველთაძველია, კვართისფერია,  
სვეტიცხოველი, ალავერდია.

ქართული ენა ქართლის მთებია,  
ციხე-კოშკები და ტაძრებია,  
ტყენი, ხევნები, ჭალაკებია,  
ჭიუხები და ქარაფებია.

ქართული ენა ქართლის ფიქრია,  
ღვთივშვენიერად შემკობილია,  
რუსთაველია, ვაჟა, ილია...  
იდუმალი და მარადისია.

ქართული ენა გუთნისდედაა,  
ქართლის მიწაა, ქართლის ზეცაა,  
აღმაშენებლის ეპიტაფია,  
სამართალია, „ძეგლისდება“.



ქართული ენა გორგასალია,  
პატარა კახის გორდა ხმალია,  
აბჯარია და საომარია,  
მხედარია და სპასალარია.

ქართული ენა მთა-თუშეთია,  
ბაზალეთი და ხევსურეთია,  
ოქროს ქოშია, ოქროს ვერძია,  
კახეთია და სარკინეთია.

ქართული ენა „ქართლის ვარდია“,  
შირაზს ტანჯული დედოფალია,  
გმირთ ვარამია, გულის დარდია,  
ასპინძაა და ბასიანია.

ქართული ენა საღმრთო მადლია,  
წმიდა ნინოღს ვაზის ჯვარია,  
მაყვლოვანია, ტალავარია,  
გერგეტია და დარიალია.

ქართული ენა საგანძურია,  
ოქროპირია, ზეციურია,  
ბერი საღოსის სიტყვათქმულია:  
„ღმერთი არისო სიყვარულია.“

ქართული ენა იავნანაა,  
მესხეთია და – ოშკი, ბანაა,  
ოდოშია და პურის ყანაა,  
ოსანაა და სულთათანაა.

ქართული ენა მაჭახელაა,  
ახალი ცოტნეს დაბადებაა,  
ერთგულებაა, ჭირთა თმენაა,  
მამულისათვის თავდადებაა.

ქართული ენა გურჯისტანია,  
ლაზეთია და აფხაზეთია,  
სვანებია და მეგრელებია,  
ყველა ერთნია – იბერებია.

ქართული ენა დედუღეთია,  
ლექსუმი და მურის ციხეა,  
ხვამლის მთაა და ლაწუნდარაა,  
ამერია და იმერეთია.

ქართული ენა ებანიაო,  
დემეტრეს „შენ ხარ ვენახიაო“,  
მოძახილია „იაუაო“,  
„ოდელადელა, ოდელიაო“.

ქართული ენა ქართლის წყაროა,  
არა დაშრტების უკუნისამდე,  
რაბამ ტკბილია, რა საამოა,  
„შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“.

ქართული ენა საქართველოა,  
„უცხოობაში რაა სიამე?“,  
გახსოვდესაო, „ვის გორისა ხარ“,  
ნუ შეგაშინებს ჟამთა სიავე.

ქართული ენა თვით ლაზარეა,  
მიძინებული აქამომდეა,  
კვალად აღდგების ძლიერებითა,  
ოდეს მოვალსო ქრისტე მესია.

ქართული ენა სამშობლოს ხმაა,  
კავკასიონით ცის კამარამდე,  
საქართველოა, იბერიაა –  
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე.



# DEKANOZI BIZINA (GUNIA)

## YOVLADWMIDA RVTISMSOBLIS MIZINEBA

(გოდერძი ჩოხელის ხსოვნას)

გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას წითელ ხაზად გასდევს არსებულ მოვლენათა თუ საგანთა სიღრმისეული წვდომა, საკუთარი თავისა და ცხოვრების საზრისის შეცნობა.

ვისხენებთ მისი განვლილი ცხოვრების წლებს, თუ რა გააკეთა და როგორ აზროვნებდა, რითი სულდგმულობდა, და ანაზღად მისი მოთხრობა „ცასწავალა“ გვასხენდება: – გოდერძი, ეს ხომ შენ ხარ „ცასწავალა“, შენც ხომ ასეთი ცხოვრება განვლე! გოდერძი ბრძანებს:

„მეტნაკლებად ყველასა აქვს ცაში წასვლის სურვილი. პოეტები ვარსკვლავებს უმღერიან, ხეები ზეცას შეჰღაღადებენ, ...ყველას, ყველასა აქვს ზეცაში ამადლების სურვილი. იმათ შორის პატარა ცისფერთვალაა ჩიტსაც, რომელსაც ცასწავალას ეძახიან.

... ცაზე მსუბუქად მიცურავდა ყვითელი მზე. ლურჯი, ძალიან ლურჯი ცა, თითქოს თავის სიღრმეში სანაგარდოდ იხმობდა ყველას.

ცასწავალა კარგახანს იჯდა დაფიქრებული. მერე, ეტყობა, მოსწყინდა ასე ყოფნა, ფრთები გაშალა და ცაში აიჭრა:

– ცასწავალ! ცასწავალ! ცასწავალ! – იძახდა ცასწავალა და ისე მაღლა წავიდა, ოღნავლა ჩანდა, გაცდა იმ ზღვარს, სადამდისაც ადრეც მიდიოდა ხოლმე, ...

... ყველანი მას შეჰყურებდნენ.

ის წერტილივით ჩანდა.

უკანასკნელი ამოსუნთქვისთვისდა ეყო ღონე და გული გაუსკდა.

უკან მსუბუქად და მღუმარედ ეშვებოდა. მერე ასევე მსუბუქად დაეცა თავის საყვარელ ბალახებში.

საწყალი ცასწავალა ფრთოსნებმა ... გორზე დაასაფლავეს, ... მერე დაიშალნენ და დარჩა გორზე პატარა სასაფლაო. ეს ოღნავ ცისკენ ამოწეული მიწა, ზემოთ დარჩენილთ, თითქოს იმას მიანიშნებდა, რომ მის ქვეშ, ზეცაში წასვლის სურვილით შეპყრობილი, ცასწავალა იწვა; და ვინც კი ნახავდა, გული სწყდებოდა: „ეს სურვილი ხომ მეტნაკლებად ყველასა გვაქვს, ზოგი ვამჟღავნებთ, ზოგი გულში ვიმარხავთ სამუდამოდ“.

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, გოდერძიმ წმიდა ზიარება ჩემი ხელიდან მიიღო. ზიარებამდე ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინებასა და ამადლებაზე ვისაუბრეთ, რის შემდეგაც გოდერძიმ აღსარება თქვა და ეზიარა.

ბატონი გოდერძი გარდაიცვალა. მისი მეგრძოლი სული ცათა სასუფეველშია დავანებული, ხოლო სხეული კი – მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტრის წმიდა მიწასა მიბარებული. ღვთის განგებით, მის მახლობლად მისი უახლოესი მეგობარი, მისი თანამოაზრე – ბატონი მიხეილ ქურდიანი განისვენებს.

გოდერძი ჩოხელს უჭირდა დროითა და სივრცით შემოსაზღვრულ სამყაროში ცხოვრება, ზეცას მიიღტვოდა, ამადლებას ღამობდა, უფალს ეძიებდა.

ზემორეთქმულიდან გამომდინარე, გვსურს მიძინებასა და ამადლებაზე ვისაუბროთ, რითაც, ვფიქრობთ, მცირედ მაინც ჩავწვდებით გოდერძი ჩოხელის სულიერ სამყაროს, მისი ღვთისგამომეძიებელი სულის მდგომარეობას.

უდიდესი დღესასწაულების განხილვისას, უცილობლად ორი გარემოება უნდა გავითვალისწინოთ:

1) თუ რა მოხდა (მაშინ) ისტორიულად, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულებით, და 2) რა ხდება ახლა, ჩვენთვის, საღმრთო აღმშენებლობით.

განვმარტავთ, რომ ყოველივე ის, რაც აღსრულდა ადამიანთა ხსნისათვის (განკაცება, ნათლისღება, ჯვარზე ვნება, მკვდრეთით აღდგომა და ამაღლება), ადამიანურ ბუნებას ეხებოდა – დაცემული კაცობრივი ბუნების აღდგენას, რომელიც მთელ სისრულეს მაცხოვრის ზეცად ამაღლებისას იძენს. ხოლო ყოველივე ის, რაც ახლა ხდება, ჩვენთვის, მართლმადიდებელი ეკლესიის საიდუმლოებებში მონაწილეობით, პიროვნებას ეხება და ადამიანის პიროვნულ არჩევანზეა დამოკიდებული.

ყოველადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების საღმრთო საწაულო მსახურებაში მონაწილეობით, მორწმუნე ადამიანს საშუალება ეძლევა:

ა) სულიერი მზერა მიაპყროს საღმრთო ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდის, ზოგიერთი ეპიზოდის, ისტორიულ-ლიტურგიკულ თხრობას, კერძოდ:

„– იერუსალიმში მოციქულების სასწაულებრივ შეკრებას;

– მათ ბოლო საუბარს ღვთისმშობელთან;

– ყოველადწმიდა ღვთისმშობლის მიძინებასა და დასაფლავებას;

– დასაფლავების შემდგომ, მესამე დღეს, ღვთისმშობლის გამოცხადებას და სხვა...“

ბ) გაიაზროს ამ დღესასწაულის უდიდესი მნიშვნელობა ადამიანთა ხსნის საღმრთო აღმშენებლობის გზაზე, და მოხეიძე (ზეციურ) და მეზობლ (მიწიერ) ეკლესიასთან ერთად მთელი გულით განადიდოს ღვთისმშობელი, და მარხვით, მღვიძარებითა და ღოცვით, ცხონების ურთულეს გზაზე გამოითხოვოს მისგან შემწეობა.

ასეთ სულიერ მდგომარეობაში მყოფი, მლოცველი ადამიანისათვის საცნაურდე-

ბა, რომ ეს ცხოვრება ამო საზრუნავით, საღმრთო, იმედგაცრუებით, საცთურითა და სულიერი ტკივილითაა აღსავსე. ადამიანის სული ეკლესიის წიაღში აცნობიერებს წუთისოფლის ამაოებას. წუთისოფელში არ არის ჭეშმარიტი სიმშვიდე, ზეციური სიხარულის სისავსე, ბედნიერება, ღვთის წიაღში განსვენება და ნეტარება, და არც სრულყოფილება.

მიუხედავად ზემოთქმულისა, მაინც გვეშინია ხორციელი სიკვდილისა და მარადისობასთან შეხვედრისა. ძირითადი მიზეზი კი შემდეგშია: ჯერისაებრ არ გვიყვარს მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე. აკი ბრძანებს უფალი: „...უკუეთუ ვისმე უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, ...ხოლო რომელსა არა უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი არა დაიმარხნეს“ (იოან. 14, 23-24).

ამგვარად, ნაცვლად იესო ქრისტესი, დროებითი ცხოვრება, წუთიერი სიამენი შევიყვარეთ, მთელი არსებით ცოდვათა ზღვაში გადავეშვით, გული გავეხსენით მომაკვდინებელ ვნებებს და დავივიწყეთ უფლის სიტყვები: „ამინ, ამინ გეტყვით თქვენ, რამეთუ რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს და ჰრწმენეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხორებაი საუკუნოი, და სასჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხორებად“ (იოან. 5, 24).

სწორედ ამიტომ, ყურად უნდა ვიღოთ წმიდა წერილის შემდეგი სიტყვებიც „...კმა არიან ჩუენდა წარსულნიცა იგი ჟამნი ამის ცხორებისანი, ნებისა მისებრ წარმართთასა აღსრულებად...“ (1 პეტრ. 4.3), რათა მარადჟამს ვიღვიძებდეთ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება თითოეული მორწმუნისათვის განსვლა ამა ქვეყნიდან – დღე მარადიულ ნეტარ ცხოვრებაში შობისა.

საღმრთო საწაულო მსახურების საკითხავებში ნათლად ჩანს, თუ როგორ ეგებებოდა მიძინებას ყოველადწმიდა ღვთისმშობელი. მისთვის ეს იყო მეტად ნანატრი დღე, – დღე უფალთან შეხვედრისა, დღე



ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინება

– ნეტარი განსვენებისა, არამიწიერი, ზეციური, მარადიული სიხარულისა, დღე – მარადიულ ნეტარ ცხოვრებაში შობისა, სადაც მართალთათვის ყოვლითურთ სავსე, კეთილისგან მოუკლებელი, სრულყოფილი და ნეტარი ცხოვრება სუფევს, რასაც ასე გადმოსცემს ჰიმნოგრაფი:

„...იგი წარსრული სავანესა შინა საუკუნესა მხიარულ არს, და მივალს ზეცისა სიხარულად, საღმრთოსა შინა სიხარულსა და საუკუნესა საშუებელსა“ (მიძინების დღესასწაულის განგების მცირე მწუხრის „უფალო დაღად-ვჰყავსა ზედა“ I დასდებელი).

„შენ ხარ ტაძარი ცხოვრებისა, ამისთვისცა, ცხოვრებად მიიცვალე, სიკვდილითა შენითა; დღეს აღჰხედ კამარათა ცისათა, და ძისა შენისა თანა ღირსიქმენ სუფევისა“ (იქვე, საცისკრო კანონთა მე-9 გალობის II კანონის ბოლო ტროპარი).

ჭეშმარიტი მორწმუნისათვის სანატრელია ცოდვილ მიწაზე ამგვარი დასასრული, რასთანაც მხოლოდ ერთადერთი გზა, გოლგოთას გზა მიგვაახლებს, გზა – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სათნო ცხოვრებისადმი მიბაძვისა, გზა მისდამი დაუშრეტელი ლოცვა-ვედრებისა, გზა – სინანულისა, თავმდაბლობისა, მორჩილებისა, ჯვარცმისა, აღდგომისა და ამაღლებისა.

ადამიანი მარადიულობისთვისაა შექმნილი, მაგრამ ღვთის ნებისაგან გარდასვლის გამო, დროებით სიკვდილს დაექვემდებარა.

სწორედ ამიტომ, თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმაც გაიარა ცათა სასუფევლისაკენ მიმავალი სიკვდილის „კარიბჭე“, რასაც ასე უგალობს ჰიმნოგრაფი:

„ვითარცა ძემან მისმან ჯერიჩინა დადებად ნებსით საფლავსა შინა, ვითარცა მეუღარმან, შემოქმედმან ცათამან, ეგრეთვე დედამან მისმან, მიიღო სასმელი სიკუდილისა“ (იქვე, საცისკრო კანონთა მე-4 გალობის II კანონის ტროპარი);

„ბუნებისაგან მოკუდავისა იშვე, რომელმან გვიშვე ჩუენ ცხოვრება, და მოიწია შენდა დღეს, თანამდები ბუნებისა და ცხოვრებად მიგცვალა შენ ძისა შენისა, ღვთისმშობელო“ (იქვე, საცისკრო კანონთა მე-3 გალობის II კანონის ტროპარი).

სამოთხეში ცხოვრება მანამ იყო უსაფრთხო, სანამ ადამიანი სიკვდილზე ფიქრისაგან დაცული იყო: – „ხოლო ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა სჭამოთ მისგან, რამეთუ რომელსა დღესა სჭამოთ მისგან, სიკუდილით მოჰკუდეთ“ (დაბ. 2. 17). მაგრამ, მტერმა შეძლო და განაშორა ადამისა და ევასაგან სიკვდილის შიში: „და ჰრქუა გუელმან დედაკაცსა: არა სიკუდილით მოჰკუდეთ“ (დაბ. 3.4), – და შედეგად სიკვდილი შევიძოსეთ.

ამგვარად, შევიცნობთ რა ჩვენი დაცემის სიღრმეს, არ უნდა მივეცეთ სასოწარკვეთას, და მორჩილებით და მინდობით უნდა მივეყვით დედა ეკლესიის სწავლებას, შედეგად კი პიროვნულ ფერისცვალებას მივვახლოთ, ფერისცვალებას, რომელიც

ძირეულად ცვლის ადამიანს (გარეგანი კაციდან შინაგანისაკენ).

სწორედ ამიტომ, მიძინების დღესასწაულს ფერისცვალების დღესასწაული უძღვის წინ, რათა თითოეულმა გაიაზროს პიროვნული ფერისცვალების უაღრესად დიდი მნიშვნელობა, რის გარეშეც სიკვდილის „კარიბჭის“ გავლა უდიდეს განსაცდელს მოუვლენს მოუშხადებელ ადამიანს.

მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მოგვევლინება სიკვდილი ზეცად აღმაველ კიბედ. ამგვარი სიკვდილი მარადიული სიხარულის, ზეციური დიდების და ადამიანის ღმერთთან განუშორებელი ერთობის საწინდარია.

ჯეროვანია ფიქრი სიკვდილზე, როგორც მომავალ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე, რისთვისაც გულმოდგინე მზადება წინდაწინაა საჭირო, რაც უფლის ძალითა და მადლით, სიხარულითა და იმედით გააცისკროვნებს მორწმუნე ადამიანის გონებას. სიკვდილზე ფიქრი დაგვიცავს ყოველივე უჯეროსაგან; იმავედროულად – ყოველივე იმისგანაც, რაც სიკვდილს სახარელს ხდის. და თუ ოდენ წუთისოფლით ტკბობის მიზეზით, განვიშორებთ „აბეზარ“ აზრს სიკვდილზე, არათუ მხოლოდ სხეულებრივს, არამედ საშინელ, სულიერ, მარადიულ სიკვდილს მივეახლებით.

## ამაღლების დღესასწაულისათვის

ათორმეტ დღესასწაულთა შორის, ამაღლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საეკლესიო დღესასწაულია და მისი დაწესება წმიდა წერილში აღწერილმა უმნიშვნელოვანესმა მოვლენამ – მაცხოვრის ზეცად ამაღლებამ განაპირობა (მკ. 16, 19; ლკ. 24, 51; საქმ. მოც. 1, 9-12).

„საქმე მოციქულთაში“ (1,3) ვკითხულობთ, რომ მკვდრეთით აღდგომილი მაცხოვარი .... „ორმეოცთა დღეთა ეჩუენებოდა მათ (მოციქულებს – დკ. ბ.გ.) და ეტყოდა სასუფეველისათვის ღმრთისა“. ამგვარად, იესო ქრისტე შემდგომად მკვდრეთით აღდგომისა, დედამიწაზე თავისი მყოფობის ბოლო დღეს ერთად შეკრებილ მოციქუ-

ამრიგად, მიძინების დღესასწაულის საგალობლებისა და ლოცვების შინაარსიდან გამომდინარე, სიკვდილის წუთებში (ამ ქვეყნიდან მარადიულ ცხოვრებაში გადასვლისას) სულიერი მხნეობისა და სიმშვიდის მისაღწევად, ქრისტიანს ამქვეყნიურ ცხოვრებაში სამი ძირითადი საშუალება გააჩნია:

– ეკლესიური ცხოვრება და პირადული ღვაწლი (რომელიც, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის);

– ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შემწეობა (რაც რწმენასა და ეკლესიურ ცხოვრებაზე ბევრად არის დამოკიდებული);

– ღვთის განუზომელი მოწყალება, რისი იმედიც მუდამუამ უნდა ჰქონდეს თითოეულ მორწმუნეს, და რომლის გარეშეც შეუძლებელია ცხონება.

ამგვარად, მიძინების დღესასწაულის საღვთისმეტყველო მნიშვნელობიდან გამომდინარე, ორი უაღრესად საგულისხმო მომენტი საცნაურდება, კერძოდ ის, რომ:

1. მორწმუნეებს ასწავლოს სხეულებრივი სიკვდილისადმი ქრისტიანული დამოკიდებულება, და ეკლესიის წიაღში, ამ გარდაუვალი მომენტის სათანადოდ შესახვედრად, მოამზადოს ისინი;

2. გააცნობიერებინოს თითოეულ მორწმუნეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის განსაკუთრებული როლი, სიკვდილის წუთებში მისი შემწეობისა.

ლებს გამოეცხადა და უბრძანა, არ განშორებოდნენ იერუსალიმს და მოლოდინი ჰქონოდათ „სხუა ნუგეშინისმცემელისა“. მან მოციქულები იერუსალიმიდან ბეთანიამდე მიიყვანა, ზეთისხილის (ელეონის) მთასთან, და გზად მიმავალი, ცათა სასუფეველსა და ეკლესიის მოწყობაზე ესაუბრებოდა. ზეთისხილის მთის მწვერვალზე უფალმა აკურთხა მოციქულები და მათ თვალწინ ზეცად ამაღლდა.

აღთქმული „სხუა ნუგეშინისმცემელის“ მოვლინებაზე საუბრისას, მაცხოვარი სულიწმიდაზე მიანიშნებს, რომელიც განაბრძნობს და განსწავლის ადამიანებს ყოველივე იმის შესახებ, რაც უფალმა

მათი ხსენისათვის განაჩინა. აღნიშნული ცხადად არის წარმოჩენილი ჰიმნოგრაფიაშიც. ასე, მაგალითად:

„– ...ნუ დაგუტეობ აწ ობლად ... არამედ, ვითარცა იგი აღმითქუ, მომივლინენ ჩუენ ყოვლადწმიდად სული სახიერი თანამფლობელი შენი, განმანათლებლად სულთა ჩუენტა“;

– „უფალი ამალდა ზეცად, რადთა მოგუვლინოს ნუგეშინისმცემელი, ცათა განჰმზადეს საყდარი და ღრუბელმან აღსავალი. ანგელოსთა დაუკურდა კაცსა რად ჰხედვიდეს უხესთაეს ქერუბიმთა, რომელი იგი მამასა მიჰგუარა აწ ძემან ღმრთისამან, და აზიარა დიდებას ღუთისსა“ (ამაღლების განგების მწუხრის ჟამნი, „ღაღად-გჰყავსა ზედა“ I და IV დასდებლები) და სხვა.

ამაღლება, ისევე როგორც ჯვარზე ვნება და მკვდრეთით აღდგომა, ადამიანთა ხსენის საღმრთო განგებულების აუცილებელი შემადგენელია და უშუალო კავშირი აქვს მაცხოვრის გამომსხნელობით ღვაწლთან.

ღრო მაცხოვრის დამდაბლებისა – კაცობრივი სახით მოვლინებისა, დამთავრდა ჯვარზე ვნებითა და დაფლვით. შემდგომად მკვდრეთით აღდგომისა, მიეცა რა... „ყოველი ხელმწიფებად ცათა შინა და ქუეყანასა ზედა“ (მთ. 28. 18), დადგა ღრო მისი განდიდებისა, მაგრამ „უხეში“ და ცოდვიანი მიწა აშკარად არ არის უფლის საბრძანებელი, რადგან მიწა საყოფელია მათთვის, ვინც მიწისაგანია, ხოლო უფალი „გარდამოხდა ზეცით“ (ინ. 3. 13) და მიწისაგანი არ არის.

შემდგომად აღდგომისა, მისი სხეული შეიცვალა და სხვა თვისებების მატარებელი გახდა: იგი უხილავიც იყო და ხილულიც, ხორცი ესხა და დახშულ კარში გადიოდა. შემდგომად მკვდრეთით აღდგომისა მაცხოვარი 40 დღე იმყოფებოდა დედამიწაზე და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ მაშინ იყო ხილული, როცა თავს გამოუცხადებდა მოციქულებს.

სახარებისეულ თხრობასთან შედარებით, მაცხოვრის ამაღლების შესახებ უწყება საღვთისმსახურო ტექსტებში უფრო

განვრცობილად არის წარმოჩენილი. მათში ცხადად არის მოცემული ამაღლების დღესასწაულის მნიშვნელობა, ცოდვილი ადამიანის ხსენსთან მიმართებაში. ასე მაგალითად:

– „შეაერთენ რა თავსა თვსსა ადამიანი, ბუნება, პირველშთასრული სიღრმეთა შინა ქუეყანისათა, ზესთა ჰყავ იგი ყოველთა მთავრობათა და ხელმწიფებათა და უფლებათა ზესკნელისათა დღეს თანამაღლებითა შენითა, რამეთუ ვითარცა შეიყუარე, შეიტკბე, და ვითარცა შეიტკბე, შეაერთე თავსა თვსსა, ... ვნებითა შენითა შენთანა აღიდე იგი“... (ამაღლების განგების მწუხრის ჟამნი, „ლიტიასა ზედა“ მე-5 დასდებელი), ანდა:

– „...რომელმან იგი სათნო-იყო შენგან უმამოდ განკაცება ღმერთმან, რათა ხატი თვისი განაახლოს განხრწნილი ვნებათაგან, და ცთომილი იგი, მხეცთა მიერ წარტაცებული ცხოვარი ჰპოვოს, და ბეჭთა იტვრთოს და მამასა მიჰგუაროს, და თვსსა ნებასა და ზეცისა ძალთა შეაერთოს იგი, და აცხოვნოს სოფელი, ღმრთისმშობელო, ქრისტემან, რომელსა აქუს დიდი წყალობა“ (ზატიკის პერიოდის მე-5 კვირის განგების მწუხრის ჟამნი, „უფალო ღაღად-გჰყავსა ზედა“ დას-დებელთა „აწ-დას“ მუხლი) და სხვა.

წმიდა გრიგოლ პალამას სწავლებით, ქრისტემდეც იყო შემთხვევები მკვდრეთით აღდგომისა და ამაღლებისა. იერემია წინასწარმეტყველი სულის მიერ იყო ატაცებული, ამბაკუმი – ანგელოზის მიერ, განსაკუთრებით კი მათ შორის, ცეცხლოვანი ეტლით, ილია წინასწარმეტყველი იქნა ზეცად აყვანილი, მაგრამ მაცხოვრის ამაღლებასთან არც ერთის შედარება არ შეიძლება. მათი ზედასვლა ერთგვარი გადაადგილება იყო, რომელიც არ სცილდებოდა მიწიერ საზღვრებს. ასევე ისინი, ვინც მკვდრეთით აღდგნენ, გარდაიცვალნენ და კვლავ მიწად მიიქცნენ. ამდენად, ჩვენ განსაკუთრებით მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას და მის ზეცად ამაღლებას ვხეიძობთ, მათი გამომსხნელობითი მნიშვნელობის გამო (4, 216).

ამგვარად, პიროვნული ძალისხმევით,

ღვთის ნების გამოძიებით და მისი აღსრულებით, სულიერი ამაღლებით, ყოველი ადამიანის უფალთან „შეერთება“ ხდება ანუ აღესრულება მისი განღმრთობა. ასეც ვიტყვით: ადამიანი საეკლესიო დღესასწაულებში მონაწილეობით, საღმრთო მადლის თანაზიარი ხდება, იკურთხება და იკურნება, იკურნება მისი გონება, გული და ნება. აღნიშნული ძალზე მნიშვნელოვანია და იმ შემთხვევაში აღსრულდება, თუ ადამიანს გადარჩენის სურვილი აქვს და ძალას არ იშურებს ამისთვის (მთ. 11. 12).

კურნავს რა ადამიანის გონებას, მაცხოვარი კაცთა ცნობიერებას ღვთიურისაკენ, მარადიული ღირებულებებისაკენ მიმართავს; მიჰმადლებს მათ ძალას ღვთისადმი ლოცვების აღვლენისა, თანდათან მოაკვდინებს ცოდვილ აზროვნებას, ანუ აზროვნების ხორციელ, ვნებით სახეს; სახარებისეული სიტყვების შეთვისებით კი გონებას გულთან აერთიანებს, ორივეს კი უფალთან.

ჩვეულებრივ, ცოდვილთა გონება ხშირად იბინდება და იწყვლება ეშმაკეული ფიქრების შემოტევით. მაცხოვარი გონების მადლისმიერი გაცისკროვნებით ეშმაკეულ ბინდს ფანტავს, ბოლოს უღებს გაურკვევლობას, ძალასა და მხნეობას მიჰმადლებს ადამიანებს, რათა შეიცნონ ჭეშმარიტება. იგივე ეხება გულისა და ნების განკურნებასაც.

ამგვარად, ამაღლების სადღესასწაულო ღვთისმსახურებაში მონაწილეობით, საღმრთო ისტორიის ლიტურგიკული თხრობის თანამონაწილენი ვხდებით. ლოცვების, სახარებისეული სწავლების, საგალობლების მოსმენით, მაცხოვარი ცოდვილ ადამიანთა სულებს მარადიული ცხოვრებისაკენ წარმართავს, ცოდვითი ქმედებებისაგან განშორების სურვილს უჩენს, აღძრავს მათში ღვთიურ ზრახვებს და ეშმაკის მრავალრიცხოვანი ხრიკებით შერყეულ გონებას განამტკიცებს, რაც კარგად ჩანს ამაღლების განგების მწუხრის ჟამის „უფალო ღაღადჰყავსა ზედა“ მე-3 დასდებელში:

– „მთათა შინა წმიდათასა, განვიცდით

ჩვენ ამაღლებასა შენსა, ქრისტე ღმერთო, ნათელო და ბრწყინვალეაო დიდებისა მამულისაო, მივჰხედავთ ჩვენ ხატსა შენსა საკრველსა, ელვარესა და განუცდელსა თუალთა მიერ, თაყუანისვსცემთ შენთა ცხოველსმყოფელთა ვნებათა, და ვადიდებთ საფლავით აღდგომასა შენსა დიდებულსა, და პატივსვსცემთ ყოვლადდიდებულსა და ღმრთივბრწყინვალესა დიდებით ამაღლებასა შენსა. შეგვწყალებ ჩვენ ყოვლადძლიერო მეუფეო, შენნი მადიდებელნი“.

წმიდა გრიგოლ პალამას შეგონებით, ყოველი პიროვნება, რამდენადაც შესაძლებელია, თანაზიარი უნდა გახდეს ადამიანთა ხსნის საღმრთო აღმშენებლობის გზისა, რისი დასაწყისიც ნათლისდება გახლავთ, შუა ნაწილი – ღვთისსათნო ცხოვრება და საქმეთა სახარებისეული სწავლებით წარმართვა, ხოლო დასასრული – ვნებებზე გამარჯვება (4, 217).

და ბოლოს, შეჯამებულად ვიტყვით: წმიდა ეკლესია უდიდეს დღესასწაულთა დაწესებით, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულების არსს, საღმრთო აღმშენებლობის გზას წარმოაჩენს, რითაც საშუალებას აძლევს თითოეულ მორწმუნეს (ეკლესიის წიაღში) ღვთაებრივი ცხოვრების თანაზიარი გახდეს.

ეკლესიის წიაღში ადამიანი (ნათლისღებით) სულიერად იშვება, ხოლო საიდუმლოთა მღვდელმოქმედებით, ღვთისმსახურებაში მონაწილეობით, საეკლესიო წესჩვეულებების აღსრულებით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, ანგელოზებისა და წმიდანთა მეოხებით – სულიერად იზრდება, ძლიერდება და ვითარდება, რითაც მისი სული უნარს იძენს, მუდამ უფლის სიახლოვეს მყოფებოდეს, და ამ ქვეყნიდან გასვლის შემდეგ, იშვება კიდევ მარადიული ნეტარი ცხოვრებისათვის. ამინ!

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ტრიოდონი ზატკი (თბილისი, 1991წ.);
2. დიდი კურთხევანი (თბილისი, 2004წ.);
3. სადღესასწაულო (მოსკოვი, 1805წ.);
4. Беседы (омилии) Святителя Григория Паламы, ч. 1, (Москва, 1993г.).

## აღკვეცი



**24 მარტს**, მართლმადიდებლობის ზეიმის კვირას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის მოძღვარმა, არქიმანდრიტმა ლაზარემ (გაგნიძე) მონაზვნებად აღკვეცა მარიამ ნიაური – სახელად ეწოდა ანა და თამარ ზურაბაშვილი – სახელად ეწოდა ანასტასია.





27 მაისს, წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის მარჯვენის წმიდა ნაწილი თბილისიდან სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში ჩამოსვენეს საბერძნეთის კუნძულ კორფუს მიტროპოლიტმა ნექტარიოსმა (დიმიტრიოსმა) და თანმხლებმა პირებმა. ბერძენმა მიტროპოლიტმა მრევლს სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მოწვევით, „სულიერი კავშირი განმტკიცდა ორ მართლმადიდებელ ერს შორის“. მიტროპოლიტმა ნექტარიოსმა განაცხადა აგრეთვე, რომ „ნებისმიერს ადაფრთოვანებს საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა და ის სიძველეები და ტრადიციები, რომლებიც აქ არის



შემორჩენილი... კიდევ ერთხელ ვრწმუნდები მკვდრებით აღდგომილი მაცხოვრისადმი თქვენს გულწრფელ სასოებასა და ჭეშმარიტ რწმენაში. წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელს ჰქონდა მტკიცე რწმენა, რომელიც ჩვენამდე მოიტანა. ცნობილია, რომ წმიდა სპირიდონმა I მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ყოვლადწმიდა სამების დოგმატი დაამოწმა“.



შემდგომ, კუნძულ კორფუს დელეგაციამ სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის სიწმიდეები მოილოცა და თაყვანი სცეს წმიდა მოციქულთასწორთა მეფე მირიანისა და ნანა დედოფლის, წმიდა აბიბოს ნეკრესელის, და წმიდა გაბრიელ აღმსარებელისა და სალოსის საფლავებს.



**13 ივნისს** მონასტრის სტიქაროსნისა და ქველმოქმედის, ბატონ თამაზ შარიქაძის ვაჟი პატრიარქის ნათლულებს შეემატა. სამთავროს დედათა მონასტერში ნათლობის წესი აღასრულა მონასტრის მოძღვარმა არქიმანდრიტმა ლაზარემ (გაგნიძე) და ახლად მონათლულს სახელად მირიანი უწოდა, სახსენებელად მოციქულთასწორ მეფე მირიანისა.



მიმდინარე ზაფხულს, წმიდა ნინოს დედათა მონასტრის სტიქაროსანმა და ქველმოქმედმა თამაზ შარიქაძემ კეთილმოაწყო და ნარგავებით განაშვენა მონასტრის ეზო.

სამთავროს დედათა მონასტერი, დღეგრძელობას უსურვებს და ღოცავს ერისა და ეკლესიისათვის მოღვაწე ბატონ თამაზს.



**24-25 ივნისს** საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ბატონი ბიძინა ივანიშვილი, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ისრაელში. ვიზიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრმა წმიდა ადგილები მოილოცა.

კური ეკლესიის კარმელიტა ორდენის მონოზენებს უკავიათ.

მომლოცველთა ჯგუფმა, არქიმანდრიტ ლაზარეს წინამძღოლობით, ხსენებულ ტერიტორიაზე არსებული უძველესი ტაძრის ადგილზე განთავსებული პავილიონი დაათვალიერა, სადაც კერამიკულ ფილებზე, მსოფლიოს ხალხთა 140 ენაზე, მოჭიქული იყო „მამაო ჩვენოს“ ლოცვა. მათ შორის ლათინური შრიფტით და შეცდომებით იყო წარმოდგენილი ლოცვის ქართულენოვანი ტექსტი. არქიმანდრიტ ლაზარეს კურთხევით და ბატონების: გიგა მაზშიაშვილის, ოთარ ორჯონიკიძისა და საქართველოს ელჩის, არჩილ კეკელიას შემწევობით, აღნიშნული ტექსტი ქართული შრიფტით გამართეს და სხვა ენათა და დამწერლობათა შორის, პავილიონში ქართული ენის მემორიალაც განთავსდა, რომლის პირველი დამთვალიერებელი გახლ-




პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი იერუსალიმში ქართული ენის მემორიალური დაფის გახსნაზე

იგი ქართულ დელეგაციასთან ერთად მიიწვიეს ზეთისხილის მთაზე მდებარე კათოლიკურ სამონასტრო კომპლექსში, სადაც „მამაო ჩვენოს“ ლოცვის ქართული ტრანსლიტერაციით შესრულებული მემორიალური დაფა გაიხსნა.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინათ, სამთავროს დედათა მონასტრის მოძღვარი არქიმანდრიტი ლაზარე (გაგნიძე), მგალობლებთან და მრევლის ჯგუფთან ერთად, იერუსალიმის წმიდა მიწაზე მოსალოცად იმყოფებოდა. მათ მოიხილეს ადგილი, სადაც მაცხოვარმა საუფლო ლოცვა ასწავლა მოწაფეებს. ამ წმიდა ადგილზე IV საუკუნეში წმიდა ელენე დედოფალმა მართლმადიდებლური ტაძარი ააგო, რომელიც ჯერ სპარსელებმა დაანგრიეს (1106), ხოლო მოგვიანებით ჯვაროსნები დაეპატრონენ და დღემდე კათოლი-



დათ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბატონი ბიძინა ივანიშვილი.



## „ღვთისმშობელი არ დატოვებს საქართველოს, დღეს უფალმა თავისი შესამოსელი ჩამოუშვა და შეეხო საქართველოს...“



უწმიდესი და უნეტარესი ილია II მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერში, ფერისცვალების დღესასწაულზე

**19 აგვისტოს** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მაცხოვრის ფერისცვალების სადღესასწაულო წირვა აღასრულა სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტრის ფერისცვალების ტაძარში. თანამწირველები იყვნენ: ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი), თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტი თადეოზი (იორამაშვილი), ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი) და რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი). მისმა უწმიდესობამ მონასტრის დედაებს ტაძრის დღესასწაული მიულოცა და განმარტა:

„ფერისცვალების დღესასწაული იმაზე მიგვითითებს, რომ ჩვენ ფერი უნდა ვიცვალოთ; რომ ჩვენს ცოდვებს უკან კი არ უნდა მივუბრუნდეთ, არამედ ცოდვებისაგან უნდა განვიწმიდოთ და ჩვენი მსვლელობა სრულყოფის ამ გზით, მაღლა, კიბეზე უნდა ადიოდეს...“

უწმიდესმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ „სამთავროს წმიდა ნინოს დედათა მონასტერი განსაკუთრებულია, სადაც მე ვიზრდებოდი ბავშვობაში და სადაც მე დიდი მადლი მივიღე ღვთისაგან.“

წირვის დასასრულს უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მიტრის ტარების უფლებით დააჯილდოვა დეკანოზი გაბრიელი (კობახიძე), ხოლო უცხოეთში მოღვაწე მღვდელმონაზონი გაბრიელი (ღურწკაია) ოქროს ჯვრით დააჯილდოვა და აღიყვანა იღუმენის ხარისხში.

წირვის შემდეგ გამართულ ტრაპეზზე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სასულიერო და საერო პირებს აუწყა: „დღეს უფალმა ჩამოუშვა თავისი შესამოსელი, ყველას შეგვეხო და მოგვმადლა დიდი მადლი...“

ღვთისმშობელი არ დატოვებს საქართველოს, დღეს უფალმა თავისი შესამოსელი ჩამოუშვა და შეეხო საქართველოს.“



სამთავროს ფერისცვალების დღესასწაული 2013 წ.

# DIDMOWAME QETEVANIS LOCVA-KURTXEVA

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია დიდი სიწმიდე – „იბაკონი (დაუჯდომელი, აკათისტო) ღვთისმშობლისანი“ – ლოცვა, რომელიც ხელთ ეპყრა დიდმოწამე ქეთევან დედოფალს წამების წინ და ლოცულობდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიმართ.



დიდმოწამე ქეთევანის კუთვნილი „იბაკონი“

ღვთისმშობლის დაუჯდომლის ხუცური ხელნაწერი (№284) მომცრო ზომის წიგნია (6,5X9), შავი ტყავის ყვავილოვანი ყდითა და ფერადი აშიებით შემკული, რომლის თავფურცელზეც მხედრული ხელით არის მინაწერი: „ეს დაუჯდომელი თვით წმიდის მოწამის ქეთევან დედოფლის ნაქონი არის“.

საისტორიო წყაროებით, ხსენებული ლოცვა, წმიდა ქეთევან დედოფლის დაკვეთით, 1609 წელს გადაუწერია და გაუმშვენებია მღვდელმონოზონ იოანე ავალიშვილს (შემდგომში აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომელიც ჯერ ქვათახევის მონასტრის წინამძღვარი იყო და შემდგომ – საფარის მონასტრისა). კათოლიკოს-პატრიარქი იოანე ცნობილი მწიგნობარი, კალიგრაფი და მხატვარი ყოფილა. იგი ერთხანს ქართლის მთავარეპისკოპოსადაც იხსენიება, რომელსაც მცხეთის სამთავროს სამთავარეპისკოპოსო ტაძარი ეპყრა.

კახეთის დედოფალს, დიდმოწამე ქეთევანს მღვდელ-მონოზონ იოანესთვის,

ღვთისმშობლის დაუჯდომლის გადაწერა და გამშვენება დაუვალებია, რაც მას დიდი რუდუნებით შეუსრულებია და ლოცვის ბოლოს მიუწერია:

„ქრისტე ღმერთო, აღიდენ ორთავე შინა ცხოვრებათა და ამხეგრძელე დედოფალთ-დედოფალი, პატრონი ქეთევან. რომლისა ბრძანებითა აღიწერა წმიდა ესე წიგნი, დღითი დღე სალოცველი, 1609 წელს. მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი. აღიწერა (?) ხელითა ფრიადცა, ღუდელისა ქვათახევის წინამძღვრისა ავალიშვილის იოანესა“. იქვე განსხვავებული ხელით, ვინმე ნიკოლოზის მინაწერია, რომელიც ითხოვს შეწვენას.

ღვთისმშობლის „იბაკონის“ ყდის შიდა მხარეს XIX საუკუნის ცნობილი საეკლესიო მწერლისა და ისტორიკოსის, მიხეილ საბინინის მინაწერია, სადაც იგი იუწყება: „წმიდა ესე დაუჯდომელი მიბოძა განსვენებულმან დავით ჩუბინაშვილმა, სახსოვრად, პეტერბურგს, 1890 წელს მე მივართვი მის ბრწყინვალეებას, თავად ნიკოლოზ ზაადის ძეს ჭავჭავაძეს – ოდეს წმიდა ეკლესიისათვის დევნილი ვიყავი და ვჰსცხოვრობდი დროებით მოსკოვს.

მის. საბინინი 1892 წ.“



დიდმოწამე ქეთევანის მიერ წამების წინ ხელთპყრობილი ღვთისმშობლის დაუჯდომელი, დიდი სიწმიდეა და ლოცვა-კურთხევა წმიდა ქეთევან დედოფლისა, ყოველთა მართლმადიდებელთა და სრულიად საქართველოზე.



ԵՆՆԵՆԻ

М. САБИНИНЪ.

**ՔՅՈՅ ՀԹԿԻՎԺ ՀՕՔԸՅՂ ՇՄՇՕՓԸՆԻ ԿԸԿՂԹԻՆԷ  
ԿՂԿԻՆԸ.**